Таким образом, мы разработали технологии для производства чая, полученные из различных растительных добавок. Было изучено чаинные листья и растительные добавки (шиповник и боярышник) для производство чая, их химический состав, рецептура нового продукта - „Чай с листьями с шиповник”, „Чай с плодами шиповника”, „Чай с листьями боярышника”, „Чай с плодами боярышника” соотношением -1: 1, 2: 1, 1: 1, 2: 1 и химико-органолептические показатели.

ტრანსპორტირების დაგეგმვა და ტრანსპორტირების სოციალური საკითხები

საჩამომსხმელო საჭარმოთა მზა პროდუქციის განაწილების საფრანსერო
ლოგისტიკური სისტემის განხოგადებული მათემატიკური მოდელი სძიმით:
„საჭარმო-საბითუმო ბაზა-სავაჭრო მსელი“

**მ. მებურიშვილი, თ, ცმიშვილიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ანოტაცია. სისტემური მიღვომით, ლოგისტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით და
ლოგისტიკური სისტემის უკელა მონაწილის ეკონომიკური ინტერესების
გათვალისწინებით შედგენილია განხოგადებული მათემატიკური მოდელი
საჩამომსხმელო საწარმოთა მზა პროდუქციის განაწილების, პირდაპირი და შუალე-
დური საბითუმო სუბიექტების ტვირთნაკადების დაგეგმვისა და მართვისთვის.

სისტემური მიღვომით საჩამომსხმელო საწარმოთა მზა პროდუქციის ტვირ-
თნაკადების განაწილების ოპტიმალური გეგმის შედგენის ამოცანების გადაჭ-
რისათვის, ლოგისტიკურ თვერატორებთან და მიწოდების უკელა მონაწილეთან
ურთიერთებულების პრინციპზე დაყრდნობით, შედგენილია ტვირთნაკადების
დაგეგმვისა და მართვის სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის განხოგადებული
მათემატიკური მოდელი. სატრანსპორტო ამოცანა წყდება წრფივი პროგრამის
სპეციალური მეთოდებით, რადგანაც მათი გადაწყვეტა დაიყვანება წრფივი უკუ-
ჯის მინიმუმის პოვნაზე არაურაყოფითი ცვლადებისაგან, რომლებიც აკმაყოფი-
ლებს წრფივ განტოლებათა სისტემას.

სატვირთო ნაკადები რომლებიც წარმოიშვება კვების საჩამომსხმელო
საწარმოთა (ლუდის, დვინის, დვინომასალების, უალკომოლო და მინერალური
სასმელების) მზა პროდუქციის განაწილებას, შეესაბამება სქემის კომბინაცია: „საწარმო-საბითუმო ბაზა-საცალო სავაჭრო ქსელი“. საბითმო და საცალო
სავაჭრო ქსელები განლაგებულია ქვეყნის მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებში.
ლოგისტიკური სატრანსპორტო-გამანაწილებელი სისტემების ეფექტური ფუნქციონი-
რება ხორციელდება სასაქონლო-მატერიალური და მასთან დაკავშირებული
საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების მართვისა და დაგეგმვის
განხორციელების გზით. მისი საფუძველია სისტემური მიღვომა და
ლოგისტიკური სისტემის უკელა მონაწილის ეკონომიკური ინტერესების
შეთანხმება. ლოგისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე განაწილება უნდა
ეფუძნებოდეს საავტომობილო სატვირთო ტვირთნაკადების (მიზიდვის)
რაციონალურ მარშრუტებს და სატრანსპორტო დანახარჯების მინიმიზაციას.

გასაღებისა და განაწილების სისტემა შედგება ლოგისტიკური და
ოპტიმიზაციური მოდელებისაგან: 1. გასაღების პროგნოზირების; 2. მზა პრო-
დუქციის კონტეინერული გადაზიდვების სატრანსპორტო ქვესისტემის; 3.
პაკეტური გადაზიდვების სატრანსპორტო ქვესისტემის; 4. მზა პროდუქციის გა-
მანაწილებელი საწყობების განლაგების; 5. გამანაწილებელი საწყობების უკუ-
ჯის მინიმუმისა და ტექნიკური აღჭურვილობის; 6. სხვადასხვა სახის ტრან-

სპორტის ურთიერთქმედების ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისაგან.

ძირითად გამომავალ პარამეტრებს, რომლებიც ახასიათებენ საჩამომსხმელო საწარმოთა მზა პროდუქციის გასაღებისა და განაწილების ლოგისტიკის ქვესისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირების ეფექტურობას მიეკუთვნება: სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმი; კაპიტალური, ინტეგრალური დანახარჯები და საექსპლუატაციო დანახარჯები; რენტაბელობა, საბალანსო მოგებიდან გადასახადებისა და გადასახდელების ჯამური თანხა, სამუშაოთა შესრულების საბითუმო ფასი, ლოგისტიკური პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების თანხა; სამორტიზაციო დანახარჯები და საერთო თვითდირებულებაა; გადაზიდული და შენახული პროდუქციის საერთო მოცულობაა, საერთო ტვირთბრუნვა და სატრანსპორტო მუშაობაა; საძირებისა და კონტენერების პარკის სიღიდეა; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის პარკის რიცხოვნობა, ავტოტრანსპორტის განწესში მუშაობის ფაქტიური დრო; შრომითი რესურსების მოცულობა, ელ დამტვირთავების რიცხვი, საერთო ფართობი და პერსონალის რიცხოვნობა; ამწე-დამწერობების, პაკეტმაცორმირებული და პაკეტდამშელელი მანქანების პარკის რიცხოვნობაა; შრომის ნაკონიერება, ფონდუკუგება, მექანიზაციის დონე და ხარისხი, სახელფასო ფონდი.

მათემატიკურ მოდელი, რომელიც დგება საჩამომსხმელო საწარმოთა მზა პროდუქციის ტვირთნაკადების განაწილების ოპტიმალური გეგმების შედგენის ამოცანების გადაჭრისათვის წარმოადგენს წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანას-T. ზოგადი სახით მოცემული ამოცანა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: საწარმოში m (A_1, A_2, \dots, A_m) ჩამოსხმული პროდუქცია A_i , რომლის მოცულობაა a_i ერთეული ($i=1,2,\dots,m$), საბითუმო და საცალო ქსელში B_1, B_2, \dots, B_n პუნქტებში ($j=1,2,\dots,n$), მოხმარების მოცულობა j -ურ საბითუმო-საცალო ქსელში შეადგენს b_j . ცნობილია A_i პუნქტიდან B_j პუნქტში სატრანსპორტო დანახარჯები ერთეული პროდუქციის გადაზიდვაზე, რომლებიც ტოლია C_{ij} და მოყვანილია სატრასნპორტო დანახარჯების მატრიცაში

$$\bar{C} = \begin{pmatrix} C_{11} & C_{12} & \dots & C_{1n} \\ C_{21} & C_{22} & \dots & C_{2n} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ C_{m1} & C_{m2} & \dots & C_{mn} \end{pmatrix}$$

საჭიროა შევადგინოთ ტვირთნაკადების ისეთი გეგმა, რომლის დროსაც წარმოებს ყველა ტვირთის გადაზიდვა საჩამომსხმელო საწარმოებიდან და კმაყოფილება ყველა მომხმარებლის მოთხოვნა, ხოლო სატრასნპორტო დანახარჯების საერთო სიღიდე წარმოადგენს მინიმალურს.

მოცემული ამოცანის მათემატიკური მოდელის შესადგენად, ტვირთნაკადი, რომელიც გადაადგილდება A_i პუნქტიდან B_j პუნქტში ტოლია X_{ij} . საჭიროა განვითაროთ ტვირთნაკადის სიღიდე $X_{ij} \geq 0$, რომელიც გადაადგილდება გენერაციის i -ური პუნქტიდან დანიშნულების j -ურ პუნქტში ისე, რომ:

ა) მიზიდულ იქნას ყველა მიმწოდებლის ტვირთი:

$$\sum_{i=1}^m X_{ij} = a_{ij} \quad (i=1,2,\dots,m),$$

ბ) დაკმაყოფილებულ იქნას ყველა მომხმარებელი:

$$\sum_{j=1}^n X_{ij} = b_j \quad (j=1,2,\dots,n),$$

გ) მიღწეულ იქნას უმცირესი სატრანსპორტო დანახარჯები:

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n C_{ij} X_{ij} \rightarrow \min,$$

სადაც C_{ij} – ერთეული ტვირთის გადაზიდვის ღირებულებაა і პუნქტიდან j პუნქტში;

ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელი და საკმარისი პირობა დაიყვანება საბალანსო პირობაზე

$$\sum_{i=1}^m a_i = \sum_{j=1}^n a_j,$$

სატრანსპორტო ამოცანები წყდება წრფივი პროგრამირების სპეციალური მეთოდებით, რადგანაც მათი გადაწყვეტა დაიყვანება წრფივი ფუნქციის მინიმუმის პროცესზე არაურაყოფითი ცვლადებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებს წრფივ განტოლებათა სისტემას. მაგრამ სატრანსპორტო ამოცანა, როგორც წრფივი პროგრამირების ნებისმიერი ამოცანა შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სიმპლექს-მეთოდის დახმარებით. ამავე დროს შეზღუდვათა სისტემის განსაკუთრებული აგებულებიდან გამომდინარე, ყველა შეზღუდვა მოცემულია განტოლებების სახით, ყოველი ცვლადი შედის მხოლოდ ორ განტოლებაში.

არსებობს სატრანსპორტო ამოცანის გადაწყვეტის უფრო მარტივი მეთოდები ვიდრე სიმპლექს მეთოდია. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს პოტენციალების მეთოდი. პოტენციალები წარმოადგენს რიცხვების სისტემას, რომლებიც მიწერილია შესაბამისად ყველა სტროფზე და ყველა j სვეტზე. პოტენციალების ეკონომიკური ინტერპრეტაცია შემდეგია: ა) პოტენციალი P_i , რომელიც დადგენილია ყველა i -ური სტროფისათვის შეიძლება პირობითად მივიღოთ პროდუქციის ფასად მისი წარმოების პუნქტში. ბ) პოტენციალი P_j , რომელიც დადგენილია თითოეული სექტისათვის, შეიძლება მივიღოთ პროდუქციის ფასად მოხმარების პუნქტში. უმარტივეს შემთხვევაში პროდუქციის ფასი მოხმარების პუნქტში ტოლია მისი ფასის წარმოების პუნქტში პლუს სატრანსპორტო დანახარჯები მის გადაზიდვაზე წარმოების პუნქტიდან მოხმარების პუნქტში. ეს ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$P_j = P_i + C_{ij},$$

სატრანსპორტო ამოცანის გადაწყვეტის დროს უნდა გავითვალისწინოთ ერთი თვისება წრფივი პროგრამირების თეორიიდან. ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს სატრანსპორტო ამოცანის ოპტიმალური ბაზისური ამონასსნი, რომელშიც გადაზიდვების რიცხვი არ შეიძლება აღემატებოდეს $(m+n-1)$. ტვირთაკადების ოპტიმალური გეგმის ანგარიშები სრულდება სპეციალური ცხრილის სახით, რომელშიც გარდა მიმწოდებლის რესურსების, მომხმარებელთა მოთხოვნებისა და სატრანსპორტო დანახარჯების გარდა მოცემულია ერთი სვეტი პოტენციალების ჩასაწერად.

თუ სრულდება პირობა

$$\sum_{i=1}^m a_i = \sum_{j=1}^n b_j,$$

მაშინ ასეთი T ამოცანა იწოდება დახურულად, ხოლო თუ აღნიშნული პირობა არაა დაცული, მოდელს ეწოდება დია. ასეთ მოდელებში შეზღუდვები გამოისახება უტოლობებით. ამ დროს შესაძლებელია ორი შემთხვევა: ა) რესურსები აღემატება

მოთხოვნას. ამ დროს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს ოურომელ მიმწოდებელთან და პროდუქციის რა რაოდენობა უნდა დაგტოვოთ სატრანსპორტო დანახარჯების მინიმუმიაციიდან გამომდინარე; ბ) რესურსები ნაკლებია მოთხოვნაზე. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლიდან პროდუქციის ასორტიმენტის რა რაოდენობა ვერ მიიღო სატარნსპორტო დანახარჯების მინიმუმის პირობებში.

ცხრილი

ტექნიკური მომენტების მიმდევარი გეგმის ანგარიშები

საჩამომსხმელო საწარმო	P_j	P_i	მომხმარებლები				რესურსები
			1	2	3	4	
C_{11}	C_{12}	X_3C_{13}	X_6C_{14}	Σb_1			
C_{21}	X_2C_{22}	C_{23}	C_{24}	Σb_2			
X_1C_{31}	C_{32}	X_5C_{33}	C_{34}	Σb_3			
მთლიანი მოთხოვნა		Σa_1	Σa_2	Σa_3	Σa_4		$\Sigma a_m = \Sigma b_n$

სადაც X – ჩამოსხმელი პროდუქციის ერთეულების რაოდენობაა;

a_m – მოთხოვნა რესურსებში;

b_n – რესურსების არსებობაა.

დია სატრანსპორტო ამოცანის ამოხსნისათვის ცხრილში უნდა შევიყვანოთ „ფიქტური“ მომხმარებელი, თუ რესურსები აღემატება მოთხოვნას, ანდა ფიქტური მომხმარებელი, თუ მოთხოვნა აღემატება რესურსებს. სატრანსპორტო დანახარჯების აღება ორივე ამოცანაში ხდება გაცილებით მეტი ოდენობით, რათა არ გაძნელდეს ტექნიკური გეგმის ძიება.

შედგენილი მოდელი გამოიყენება საჩამომსხმელო საწარმოთა მზა პროდუქციის განაწილების, პირდაპირი ტექნიკური გეგმისა და მართვისთვის.

მზა პროდუქციის ტექნიკური გეგმისა და მართვისთვის წარმოების შუალედური სუბიექტების საბითუმო საწყობების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება იყოს უმულოდ საჩამომსხმელო საწარმოების მართვისა ქვეშ ან საბითუმო პერაცორების განკარგვის, მართვის და ორგანიზაციის ქვეშ. ამ შემთხვევაში სატექნიკურო ნაკადებისთვის გამოიყენება სატრანსპორტო ამოცანა ქსელური დასმით. ამ ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად ყველა პუნქტი, რომელთა შორის ხორციელდება გადაზიდვები, ინორება განსაზღვრული წესით და ერთდება რკალებით ან ისრებით, რომლებიც მიუთითებენ გადაზიდვების მიმართულებებს. ამის შედეგად ვიღებთ წვეროების (სიმაღლეთა) სიმრავლეს. მომდევნო ეტაპზე აღგენენ ლოგისტიკური ქსელის შემდეგ რაოდენობრივ მახასიათებლებს a_i – ტექნიკური გეგმის ინტენსივობაა i -ურ პუნქტში (i -ური პუნქტიდან გადატექნიკური და გაგზავნილი ტექნიკის რაოდენობა). თუ $a_i > 0$, ტექნიკური i -ური პუნქტიდან გაგზავნილი უნდა იქნას a_i რაოდენობით; თუ $a_i = 0$ მაშინ ტექნიკის რაოდენობა, რომელიც შემოდის i -ურ პუნქტში, ტექნიკის გასული ტექნიკის რაოდენობის, ე.ი. ამ შემთხვევაში i -ური პუნქტი წარმოადგენს ტრანზიტულს; თუ $a_i < 0$, მაშინ i -ური პუნქტი იდებს ტექნიკის მომხმარებისათვის a_i რაოდენობით. ამ დროს:

a_{ij} – გზის (ij) მონაკვეთის გამშვებულებისათვის;

C_{ij} – გზის (ij) მონაკვეთის გეგმის ტექნიკის გადაზიდვის დირექტულება;

X_{ij} – i პუნქტიდან j პუნქტში გადაზიდვის ტექნიკის რაოდენობა.

მაშინ სატრანსპორტო ამოცანას ქსელური დასმით აქვს შემდეგი სახე: კიბო-კორ ისეთი ნაკადები $X_{ij} \geq 0$ ($i,j=1,2,\dots,n$), რომლის დროსაც მიიღწევა დანახარჯების მინიმუმი გადაზიდვაზე

$$\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m C_{ij} X_{ij} \rightarrow \min,$$

რომლის დროსაც უნდა შესრულდეს პირობები:

გადაზიდვების მიხედვით

$$\sum_j X_{ij} - \sum_i X_{ij} = a_i, \quad (i=1,2,\dots,n)$$

გამშვებუნარიანობის მიხედვით

$$X_{ij} \leq a_{ij}, \quad (i, j = 1,2,\dots,n)$$

ქსელური დასმით სატრანსპორტო ამოცანის გეგმის X_{ij} ოპტიმალობის კრიტერიუმს წარმოადგენს ისეთი რეზერვების (პოტენციალების) f_1, f_2, \dots, f_n არსებობას, რომ

$$\left\{ \begin{array}{ll} f_j - f_i = C_{ij}, h_{jtcfw} & 0 < X_{ij} < a_{ij} \quad (i, j = 1,2,\dots,n) \\ f_j - f_i \leq C_{ij}, h_{jtcfw} & X_{ij} = 0 \quad (i, j = 1,2,\dots,n) \\ f_j - f_i \geq C_{ij}, h_{jtcfw} & X_{ij} = a_{ij} \quad (i, j = 1,2,\dots,n) \end{array} \right\},$$

ამრიგად, ქსელური დასმით სატრანსპორტო ამოცანის გადაწყვეტა წარმოებს პოტენციალების მეთოდების დახმარებით მატრიცულ ფორმაში სატრანსპორტო ამოცანის გადაწყვეტის ანალოგის მიხედვით.

ქსელური დასმით სატრანსპორტო ამოცანა აღმოჩნდება მოხერხებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაზიდვების დირებულება აღმოჩნდება ადიტიური ($C_{ij}=C_{ik}+C_{kj}$). მაშინ შესაძლებელია პუნქტებს შორის გადაზიდვების საერთო დირებულების აღგორითმიზირების გაკეთება კომპიუტერის დახმარებით. გადაზიდვების საერთო თვითდირებულების მიხედვით ამოცანის გადაწყვეტის დროს შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის (საერთო თვითდირებულება) შედგება უბნების თვითდირებულებათა ჯამისაგან.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. მებურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკურ კომპლექსებში პაკეტური საავტომობილო გადაზიდვის სისტემის სრულყოფის მეთოდები (კვების მრგველობის საჩამომსხმელო საწარმოთა მაგალითზე). დისერტაცია ტექნ. კანდ. შიფრი: 05.22.10. თბილისი, 2004.
2. სატრანსპორტო ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები: საწარმო და განაწილების ლოგისტიკა: მონოგრაფია, წიგნი I /ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე, ო. გელაშვილი, ვ. ბოცვაძე. საქართველოს ბიზნესის აკადემია, თბილისი, 2014. - 576 გვ.
3. ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე, ვ. ბოცვაძე – ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება. სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „დიზაინარინგ“ ექსპრესი“ 2011. - 798 გვ.
4. Миронюк В.П. Теория и методология управления грузового-транспортно-логистическими системами в рамках территориально организационных комплексов. Дис... д-ра техн. наук, 2007.

5. Прокофьева Т.А. Методологические основы формирования и оценки транспортно-распределительных систем. Дис... д-ра экон. наук. –М.: 2007.
6. Резер С.М., Ловецкий С.Е., Меламед И.Х. Математические методы оптимального планирования в транспортных системах/ Итоги науки и техники/. -М.: ВИНИТИ, 1990.
7. Тарамыко А.Е. Оптимальное планирование доставки грузов в транспортно-логистических системах. Дис.... канд. техн. наук. Спец. 05.22. 01. СПб. 2002.
8. Хабибулин Р.Г., Макарова И.В., Мухамединов Э.М. Оптимизационные и имитационные модели на автомобильном транспорте и в автосервис. Учебн. пособие в 2-х томах. –Набережные Челны КАМПИ, 2005, 4.1. -161 с., 4.2 -112 с.
9. Якушев Н.В. Построение распределительных транспортно-складских систем с логистической организацией грузопотоков. Дис... на канд. техн. наук. Спец. 05.26.01. Екатеринбург, 2006.

Transport planning & social aspects of transport

**A GENERALIZED MATHEMATICAL MODEL OF TRANSPORT AND LOGISTICS
SYSTEM OF DISTRIBUTING FINISHED PRODUCTS OF POURING FACTORIES BY A
SCHEME: "ENTERPRISE-WHOLESALE MARKET-TRADE NETWORK"**

M. MEBURISHVILI, T. TSKIPURISHVILI

Akaki Tsereteli State University

Summary

To solve the problems of drawing up an optimal plan for the distribution of flows of finished products of foundries by a systemic approach, based on the principle of interaction between the logistics operators and all parts of the supply chain, there has been designed a generalized mathematical model of the transport and logistics system of freight traffic flows planning and management. A solution to the transport problem is sought by special methods of linear programming, since their solving comes down to finding the minimum of a linear function of nonnegative variables, which satisfy the requirements of a system of linear equations

**Планирование транспортирования и социальные вопросы транспортирования
ОБОБЩЁННАЯ МАТЕМАТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ ТРАНСПОРТНО-
ЛОГИСТИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ РАСПРЕДЕЛЕНИЯ ГОТОВОЙ ПРОДУКЦИИ
РАЗЛИВОЧНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ ПО СХЕМЕ: «ПРЕДПРИЯТИЕ-ОПТОВЫЙ
РЫНОК-ТОРГОВАЯ СЕТЬ»**

М. МЕБУРИШВИЛИ, Т. ЦКИПУРИШВИЛИ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Для решения задач по составлению оптимального плана распределения потоков готовой продукции литейных предприятий с помощью системного подхода, основываясь на принципе взаимодействия с логистическими операторами и со всеми участниками процесса поставки, создана обобществленная математическая модель транспортно-логистической системы планирования и управления грузопотоками. Решение транспортной проблемы происходит с помощью специальных методов линейного программирования, поскольку их решение сводится к нахождению минимума линейной функции от неотрицательных переменных, которые удовлетворяют требованиям системы линейных уравнений.

ტრანსპორტირების დაგეგმვა და ტრანსპორტირების სოციალური საკითხები

აზრო-ლოგისტიკური კლასტერის ლოგისტიკური ჯაჭვის მომსახურების,
მვემფშრი უზნებიობის და დანახარჯების ოპტიმიზაციის მეთოდური
საფუძვლები

მ. მებურიშვილი, თ. ცმიზურიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულია აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ინტეგრაციური-ლოგისტიკური ჯაჭვის სამეცნიერო კავშირები, ლოგისტიკურ მომსახურებაზე მოთხოვნის საბაზის მოდელი, განსაზღვრულია სასაქონლო მოძრაობის ლოგისტიკური ფასი, ლოგისტიკური დანახარჯების მდგრენელები, ლოგისტიკური დანახარჯები ლოგისტიკურ ჯაჭვში: მომარაგება სატრანსპორტო-სასაწყობო, სამეცნიერო საწარმოო-სატრანსპორტო ტექნოლოგიურ ჯაჭვში და დანახარჯები 13. ტვირთის გადაზიდვაზე შერეულ ვარიანტი ში. წარმოდგენილია ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიების ინტერპრეტაციები აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ლოგისტიკური ჯაჭვების მომსახურების ლოგისტიკურ სისტემებთან კავშირი. განსაზღვრულია აგრო-ლოგისტიკური კლასტერის შესაძლო ვარიანტების შედარების დროს მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ანგარიშებისა და საბოლოო შედეგების იდენტურობასა და სანდოობას.

რეგიონალური აგრო-ლოგისტიკური კლასტერი მოიცავს სასოფლო დანიშნულების მცირე სამეცნიერო საწარმოთა სიმრავლეს, მომსახურე ინფრასტრუქტურულ ობიექტებს სხვადასხვა ტიპის საწყობების, მექანიზაციის და სხვადასხვა დანიშნულების ტრანსპორტის, აგრო წარმოების პროდუქციის მიზიდვის, შენახვის, გასაყიდად მომზადების და გასაღების ობიექტების სახით. კვლევის ფარგლებში სინერგიული ეფექტის შესაქმნელად, ლოგისტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება, აგრო-კლასტერის ლოგისტიკური ჯაჭვების მომსახურების დანახარჯების ოპტიმიზაციის მეთოდური საფუძვლების დამუშავება.

არსებული მონაცემებისა და გაანალიზების საფუძველზე სისტემური მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით დგინდება უმნიშვნელოვანების ურთიერთკავშირების ხასიათი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე უზრუნველყოფას, ტრანსპორტს, გასაღებასა და სამეცნიერო საწარმოს შორის. ყველა ამ ელექტრონური ჰარმონიული ურთიერთქმედება შეადგენს ინტეგრაციურ ლოგისტიკურ ჯაჭვს.

აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ინტეგრაციურ-ლოგისტიკურ ჯაჭვს შეიძლება პქონდეს სამეცნიერო კავშირების როგორც ბუნებრივი, პირდაპირი, ისე უკუ ნაკადი, მარკეტინგული. მარკეტინგული ნაკადის საწყისი მონაცემების კონკრეტული საბაზო მოთხოვნა საქონელზე უზრუნველყოფილი ხდება ლოგისტიკური მომსახურებით. ამ შემთხვევაში ლოგისტიკური ჯაჭვის თითოეული ეტაპი გამოდის პირველად და მოთხოვნის საბაზისო მოდელი ლოგისტიკურ მომსახურებაზე (X) განისაზღვრება ფორმულით

$$X_{\text{ც}} = \sum_{i=1}^m M_i F_i \rightarrow \max(i=1, m) \quad \text{სადაც,}$$

m – ლოგისტიკური ჯაჭვის მომსახურებათა საერთო რაოდენობა; M_i - მოთხოვნა მომსახურებათა i -ურ რაოდენობაზე, რომელიც განპირობებულია მოცემულ აგროპროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნით; F_i - i -ური მომსახურების ლოგისტიკური დანახარჯები (ლოგისტიკური ფასია); $X_{\text{ც}}$ - ლოგისტიკური ჯაჭვის მომსახურებათა საერთო მოცულობა (ლოგისტიკური ჯაჭვის მომსახურებათა საერთო მოცულობა; რეგიონული და ადგილობრივი ლოგისტიკური ობიექტებისთვის.)

მიმოქცევის სფეროში აგრო წარმოების, კონკურენტუნარიანობის, მომავალი პრობლემების გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს დანახარჯების $F_{\text{ც}}$ (სასაქონლო მოძრაობის ლოგისტიკური ფასი) შემადგენელი ელემენტები. ლოგისტიკური ტექნოლოგიის თეორიიდან გამომდინარე ლოგისტიკური დანახარჯები მიმოქცევის სფეროში ყალიბდება შემდგან მდგრელებისაგან:

$$F_{\text{ც}} = \sum_{i=1}^n C_{\text{გ}} + C_{\text{სასაქონლო}} + C_{\text{მოძრაობი}} + C_{\text{მომდინარე}} + C_{\text{მდგრელები}}, \quad \text{სადაც,}$$

$C_{\text{გ}}$ -გადაზიდვის დირებულება (ტარიფია) i -ური სახის ტრანსპორტზე; $C_{\text{სასაქონლო}}$ - სასაქონლო დანახარჯებია; $C_{\text{მოძრაობი}}$ - საექსპედიტორო, ოპერატორული დანახარჯებია; $C_{\text{მდგრელები}}$ - დაზღვევის დანახარჯებია; $C_{\text{მომდინარე}}$ - საინფორმაციო დანახარჯებია; $C_{\text{მდგრელები}}$ - დანახარჯებია მიწოდებული, არაკონდიციური საქონლის მიწოდებაზე და განმეორებითი გადამუშავების რეციკლინგურ მიწოდებაზე.

ლოგისტიკური დანახარჯები მომარაგება სატრანსპორტო-სასაწყობო ჯაჭვებში ($L_{\text{დ1}}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$L_{\text{დ1}} = \sum_{i=1}^n C_{\text{სასაქონლო}} + C_{\text{მოძრაობი}} + C_{\text{მდგრელები}} + C_{\text{მდგრელები}}, \quad \text{სადაც,}$$

$C_{\text{მდგრელები}}$ - დანახარჯებია მიწოდებული არაკონდიციური მასალების, მაკომპლექტების დაბრუნებაზე დანახარჯებში $L_{\text{დ1}}$ ჩართულია მწარმოებლის გასაშვები ფასი $F_{\text{გ}}$.

ლოგისტიკური დანახარჯები სამეურნეო საწარმო-სატრანსპორტო ტექნოლოგიურ ჯაჭვში ($L_{\text{დ2}}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$L_{\text{დ2}} = \sum_{j=1}^n C_j + C_b + L + M \quad \text{სადაც,}$$

C_j - j -ური სახის ტექნოლოგიური ტრანსპორტით აგრო-სამეურნეო საწარმოთაშორისო გადაზიდვების დირებულება; $C_{\text{სასაქონლო}}$ - აგრო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სასაწყობო ხარჯებია; L - აგრო-სამეურნეო საწარმოთა ლოგისტიკური მომსახურება; M - მარკეტინგის ხარჯებია (თუ ისინი არაა ჩართული როგორც ხარჯების ნაწილი მოგებიდან).

აგრო-ლოგისტიკურ კლასტერში სამეურნეო საწარმოთა ლოგისტიკური დანახარჯები $L_{\text{დ1}}$ და $L_{\text{დ2}}$ ჩართულია საქონლის მწარმოებლის გასაშვებ ფასში.

საქართველოს მთიანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირი რეგიონებს

შორის ძირითადად ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტით. ასეთი გადაზიდვების შესრულების დროს დანახარჯების ძირითად მუხლებს მიეკუთვნება:

დანახარჯები საწვავზე საზეთ მასალებზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე, საბურავების ცვეთის აღდგენაზე, მოძრავი შემადგენლობის ამორტიზაციაზე; ზედნადები ხარჯები; მძღოლების „დღიური“ და „ბინის“ ხარჯები, საგზაო მოსაკრებლები, მძღოლების ხელფასი; ფასიანი მაგისტრალების, ხიდების, გვირაბების, საბორნე გადასასვლელების გავლის გადახდა;

დანახარჯები ტრანსპორტზე მოიცავს ყველა მდგრელს ელემენტარულ ლოგისტიკურ ოპერაციებზე, დანახარჯების უდიდესი ნაწილი მოდის გადაზიდვების პროცესზე. საერთო შემთხვევაში, შერეულ (კომბინირებულ) ვარიანტში დანახარჯები 1 ტ ტვირთის გადაზიდვაზე, საერთო სახით შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულით:

$$C = C_{\text{სა}} \cdot \ell_{\text{სა}} + C_{\text{გა}} \cdot \ell_{\text{გა}} + C_{\text{სხა}} + C_{\text{მო}} \cdot \ell_{\text{მო}}, \quad \text{სადაც,}$$

$C_{\text{სა}}$ - ერთი ტ.ქმ სრული თვითდირებულებაა დამხმარე ტრანსპორტით მიზიდვის დროს; $C_{\text{გა}}$ - აგრეთვე მაგისტრალური ტრანსპორტიდან ტვირთის გამოტანის დროს, მოსული 1ტმ-ზე; $C_{\text{სხა}}$ - ტრანსპორტზე საექსპლუატაციო დანახარჯებია საწყის და საბოლოო ოპერაციებზე, მოსული 1ტმ-ზე; $C_{\text{მო}}-საექსპლუატაციო დანახარჯებია მოძრაობის ოპერაციებზე გადაზიდვის დროს, მოსული 1 ტმ-ზე; $\ell_{\text{სა}}, \ell_{\text{გა}}$ - შესაბამისად ტრანსპორტთან ტვირთების მიტანისა და გამოტანის მანძილების სიგრძეა; $\ell_{\text{მო}}$ - გადაზიდვის მანძილია.$

თავის მხრივ, გადაზიდვაზე ყველა დანახარჯი შეიძლება დაყოფილ იქნას ცვალებადად და მუდმივად. გადაზიდვის მანძილზე დამოკიდებულ ცვალებად დანახარჯებს, მიეკუთვნება დანახარჯები: სათბობზე, შესაზეთ მასალებზე, მოძრაობის ოპერაციაზე; მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე; მძღოლების ხელსფასზე; მოძრავი შემადგენლობის ამორტიზაციაზე.

მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება: დანახარჯები მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის შენახვაზე (საარენდო გადასახადი); ხარჯები ადმინისტრაციულსამმართველო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე; ზედნადები და სხვა ხარჯები.

დანახარჯების ამა თუ იმ კონკრეტული ერთობლიობის არ არსებობა დამოკიდებულია მიწოდების საბაზისო პირობებზე, რომელიც დგინდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით სატრანსპორტო მდგრელი საქონლის ფასში. ტრანსპორტირებაში ცალკლული ლოგისტიკური დანახარჯები შეიძლება დიფერენცირებულ იქნას მიწოდებათა ჯაჭვში ცალკეული რეალის მიხედვით. სატრანსპორტო დანახარჯები წარმოადგენს ბაზას ლოგისტიკური შუამავლების მომსახურების ტარიფების განსაზღვრაზე;

მეთოდური რეკომენდაციების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მათში გაფართოებულია ცნება ინვესტიციების შესახებ, მოწესრიგებულია შედეგებისა და დანახარჯები დაყვანის (დისკონტირების) პროცესი დროში. ისინი აკავშირებენ ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების პროცესებს სახელმწიფოს საკრედიტო და ფინანსურ პოლიტიკასთან, ადაპტირებას უკეთებენ ინვესტიციების ანგარიშებს საგადასახადო პოლიტიკასთან.

მოვახდინოთ ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკის ინტერპრეტირება აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ლოგისტიკური ჯაჭვების მომსახურების ლოგისტიკურ სისტემებთან კავშირში. ლოგისტიკური სისტემების პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სტადიაზე, შედეგებისა (R_t) და და-

ნახარჯების (Z_t) დირებულებითი შეფასებისათვის ანგარიშები წარმოებს პროგნოზულ და საანგარიშო ფასებში. საანგარიშო ფასები გამოიყენება ეფექტურობის ინტეგრაციური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, თუ შედეგებისა და დანახარჯების მიმდინარე მნიშვნელობები გამოისახება პროგნოზულ ფასებში, ისინი მიიღებიან საერთო ინფლაციის ინდექსის შემოტანის გზით.

სხვადასხვა დროის მაჩვენებლების თანაშეზომვა ხორციელდება მათი დაყვანის (დისკონტირების) გზით, საწყის პერიოდში დირებულებასთან, როგორც წესი დაყვანით $t=0$ დროის მომენტთან, უშუალოდ მისი პირველი ბიჯის შემდეგ.

ლოგისტიკური სისტემების სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების (ანდა პროექტების ვარიანტების) შედარება და მათგან საუკეთესოს შერჩევა რეკომენდებული ვაწარმოოთ შემდეგი მაჩვენებლების: სუფთა დიკონტირებული შემოსავლის (SDH), შემოსავლიანობის შინაგანი ნორმის (MSN), შემოსავლიანობის ინდექსის (HI) და გამოსყიდვის ვადის (GV) საფუძველზე. სუფთა დისკონტირებული შემოსავალი (სდჰ) - განისაზღვრება, როგორც მიმდინარე ეფექტების ჯამი, დაყვანილი საწყის ბიჯზე, ანდა, როგორც ინტეგრალური შედეგების გადამეტება ინტეგრალურ დანახარჯებზე.

$$SDH_{LB} = \sum_{t=0}^T (R_t - Z_t^*) \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t} = \sum_{t=0}^T (R_t - Z_t^*) \alpha_t$$

სადაც, R_t - შედეგებია, მიღწეული გაანგარიშების i -ურ ბიჯზე; Z_t^* - დანახარჯებია, რომელიც განხორციელებულია იმავე ბიჯზე; T - გაანგარიშების პორიზონტია (ტოლია გაანგარიშების ბიჯის ნორმის, რომელზედაც წარმოებს ობიექტის ლიკვიდაცია); i - დისკონტის სიდიდე, ტოლია კაპიტალზე ინვესტორისათვის მისაღები შემოსავლის ნორმის; α_t - დისკონტირების კოეფიციენტია $\alpha_t = \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t}$; E_t - ეფექტია, რომელიც მიიღება ანგარიშის t -ურ ბიჯზე, $E_t = R_t - Z_t^*$; τ - ინფლაციის ტემპია.

აგრო-ლოგისტიკურ კლასტერის დონეზე ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშების დროს პროექტის შედეგების შემადგენლობაში ჩართულია წარმოებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. სუფთა დისკონტირებული შემოსავალი შეიძლება გადავწეროთ სხვა სახით:

$$SDH = \sum_{t=0}^T (R_t - Z_t^*) \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t} - K$$

სადაც, Z_t^* - დანახარჯები კაპიტალდაბანდებათა გათვალისწინების გარეშე; K - დისკონტირებული კაპიტალდაბანდებათა ჯამია.

$$K = \sum_{t=0}^T K_t \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t}$$

სადაც, K_t - კაპდაბანდებაა i -ურ ბიჯზე.

თუ საინვესტიციო პროექტის სუფთა დისკონტირებული შემოსავალი დადებითია, ე.ი. $SDH \geq 0$, პროექტი წარმოადგენს ეფექტურს (დისკონტის მოცემული ნორმის დროს), რაც მეტია SDH , მით უფრო ეფექტურია პროექტი.

შემოსავლიანობის ინდექსი (HI) - წარმოადგენს დაყვანილი ეფექტების ფარდობას კაპიტალდაბანდებათა სიდიდესთან.

$$HI = \frac{1}{K} \sum_{t=0}^T (R_t - Z_t^*) \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t}$$

$HI \geq 1$ პროექტი ეფექტურია, თუ $HI < 1$ - არაეფექტურია.

შემოსავლიანობის შინაგანი ნორმა (HHN) -წარმოადგენს დისკონტის იმ ნორმას, რომლის დროსაც დაყვანილი ეფექტების სიდიდე ტოლია დაყვანილი კაპდაბანდებების.

$$HHN = \sum_{t=0}^T \frac{R_t - Z_t^*}{[(1+i)(1+\tau)]^t} = \sum_{t=0}^T \frac{K_t}{[(1+i)(1+\tau)]^t}$$

თუ საინვესტიციო პროექტის SDH იძლევა პასუხს კითხვაზე, წარმოადგენს ის ეფექტურს თუ არა დისკონტის მოცემული ნორმის (E) დროს. პროექტის შინაგანი მომგებიანობის ნორმა განისაზღვრება გაანგარიშების პერიოდში და შემდეგ დარდება დაბანდებულ კაპიტალზე ინვესტორის მიერ მოთხოვნილი შემოსავლიანობის ნორმასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც $HHN \geq E$, ინვესტიციები მოცემულ პროექტში გამართლებულია და შეიძლება განხილულ იქნას საკითხი მისი მიღების შესახებ, წონააღმდეგ შემთხვევაში ინვესტიციები მოცემულ პროექტში არამიზანმიმართულია.

გამოსყიდვის ვადა - ესაა პერიოდი გაზომილი თვეებში, კვარტალებსა და წლებში, დაწყებული იქიდან, საიდანაც პირველდაწყებითი დაბანდებები და სხვა დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო პროექტთან, იფარება ჯამური შედეგებით. მის განხორციელებაზე აქვთ გამოსყიდვის ვადა შეიძლება წარმოვადგინოთ ტოლობის სახით:

$$\sum_{t=0}^T (R_t - Z_t^*) \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t} = \sum_{t=0}^T K_t \frac{1}{[(1+i)(1+\tau)]^t}$$

საბაზრო პირობების დროს გამოსყიდვის ვადა განისაზღვრება, როგორც პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში სუფთა შემოსავლების ჯამი, დისკონტირებული პროექტის დამთავრების მომენტისათვის, ტოლია ინვესტიციების ჯამის.

არც ერთი ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმთაგანი არაა საქმარისი პროექტის მისაღებად. გადაწყვეტილება პროექტზე საშუალებათა ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნას ყველა ჩამოთვლილი მაჩვენებლების მნიშვნელობათა და საინვესტიციო პროექტების მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ლოგისტიკური სისტემის ვარიანტების შერჩევა პირობითაა დამოკიდებული დისკონტის ნორმისაგან. საბაზრო ეკონომიკაში საკუთარი კაპიტალისათვის დისკონტის ნორმა ტოლია ანაბრებზე დეპოზიტური პროცენტის სიდიდის. პრაქტიკაში ის მიიღება მის მნიშვნელობაზე მეტი ინფლაციისა და რისკის გამო, რომელიც დაკავშირებულია ინფლაციასთან. აქვთ გამომდინარეობს ეკონომიკური წესი, ფულადი სახსრების ინვესტირებას აქვს აზრი, თუ ინვესტიციების რენტაბელობა აღემატება ინფლაციის ტემპებს.

სუფთა დისკონტირებული შემოსავლებისა და შინაგანი მომგებიანობის ნორმის (შმნ) გამოყენების დროს პროექტების საუკეთესო ვარიანტების შედარებისა და შერჩევისათვის რეკომენდებულია შემდეგი ალტერნატიული პროექტების (ანდა პროექტის ალტერნატივების) შეფასებისას, ე.ი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება შეინარჩუნოთ ერთი პროექტი (ანდა ერთი ვარიანტი) რამოდენიმესაგან, უნდა ვაწარმოოთ მათი რანჟირება შერჩევისათვის სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმის მიხედვით. შმნ როლი ამ შემთხვევაში ძირითადად მდგომარეობს იმ საზღვრების შეფასებაში, რომელშიც შეიძლება იმყოფებოდეს დისკონტის ნორმა (ფულის ფასის მაღალი განსაზღვრულობის დროს, ეს ძალზედ არსებითია).

დამოუკიდებელი პროექტების შერჩევის დროს, ე.ი. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტების ინვესტიციის ყველაზე მომგებიანი განაწილება უნდა ვაწარმოოთ შმნ-ის მნიშვნელობათა გამოყენებით.

აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ლოგისტიკური ჯაჭვების მომსახურების

დანახარჯების ოპტიმიზაციის დროს კრიტერიალური ფუნქციების სახით შეიძლება გამოვიდეს: ტგირობრუნვისა და სატრანსაპორტო მუშაობის მაქსიმუმი - $\max Q_{LM}$, $\max P_{LM}$, ინტეგრალური დანახარჯების მინიმუმი - $\min Z_{LM}^o$ დოგისტიკური პროცესების მოგების მაქსიმუმი $\max P_{LM}$, საექსპლუატაციო დანახარჯების მინიმუმი - $\min C_{LM}$, სუფთა დისკონტირებული შემოსავლების მაქსიმუმი $\max SDS_{LM}^M$, რენტაბელობის მაქსიმუმი;

დოგისტიკური ჯაჭვების ოპტიმიზაციის მრავალკრიტერიალური ამოცანა ვამტკიცება შემოსავლება წარმოვადგინოთ ასე:

$$T_{LM} = \gamma(\max Q_{LM}; \max P_{LM}; \min Z_{LM}^o; \max P_{LM}; \min C_{LM}; \max SDS_{LM}^M)$$

მრავალკრიტერიალური ამოცანების გადაწყვეტის სხვადასხვა ხერხების მე-
თოდოლოგია აღწერილია ლიტერატურაში [4].

ოპტიმიზაციის მოვანილი კრიტერიუმებიდან აგრო-ლოგისტიკური კლასტერისთვის ვიღებთ სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმს. აგრო-ლოგისტიკური კლასტერის შესაძლო გარიანტების შედარების დროს საჭიროა დავიცვათ მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ანგარიშებისა და საბოლოო შედეგების იღენტურობასა და სანდოობას: -განსაზღვრულ უნდა იყოს ყველა დანახარჯი ოპერაციების შესრულებაზე სამეურნეო საწარმოდან გასაღების ბაზრის ჩათვლით; -ანგარიშები ჩატარებულ უნდა იქნას წარმოების კონკრეტული პირობებისათვის; -გათვალისწინებული უნდა იქნას ხარისხობრივი და რაოდენობრივი დანახარჯები ოპერაციების შესრულების დროს; -გათვალისწინებული უნდა იქნას ზიდვის უნარიანობა და მწარმოებლობა ტრანსპორტის დატვირთვა - განტვირთვის, სასაწყობო და ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალებათა შესაძარებელი სახეების, ყველა სახის სასაწყობო ობიექტების ლოგისტიკური გამანაწილებელი ცენტრების გამშვებუნარიანობა; -გამოვლენილი უნდა იქნას აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ქვესისტემების ფუნქციონირების ოპტიმალური გარიანტები სხვადასხვა სახის ფაქტორების კომბინირებული ზემოქმედების შემთხვევაში;-გათვალისწინებულ უნდა იქნას პროდუქციაზე მოთხოვნის, ბაზრი კონსუმებურის რეევალობა, მოსავლიანობა, სეზონურობა და სხვა ფაქტორების გავლენა კლასტერის ფუნქციონირებაზე; -გათვალისწინებული უნდა იქნას სამეურნაო საწარმოთა სიმძლავრეების რეზერვები წარმოებაში, ტრანსპორტზე, ლოგისტიკურ და გამანაწილენელ ქსელებში, საბაზო სტრუქტურებში, ვაჭრობაში; -შესაძარებელ ვარიანტში ყველა ჯამური დანახარჯი მიკუთვნებული უნდა იქნას შესანახი ანდა ტრანსპორტირებადი პროდუქციის ერთ ტონაზე.

დასკვნა

სისტემური მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით, შედგენილია აგრო-
ლოგისტიკური კლასტერის ინტეგრალურ-ლოგისტიკური ჯაჭვის ლოგისტიკურ მომ-
სახურებაზე სამეურნეო კავშირების და მოთხოვნის საბაზოსო მოდელი, გაანალი-
ზებული და შემოთავაზებულია აგრო-ლოგისტიკური კლასტერის ფუნქციონირე-
ბის ეფექტურობის შეფასების ძირითად მაჩვენებლები საბაზო ურთიერთობათა პი-
რობებში. ჩამოყალიბებულია ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების, შედარების
და ოპტიმალური გარიანტის შერჩევის კრიტერიუმები დისკონტირების კოეფიციენ-
ტისა და ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით. ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს სუფ-
თა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმი.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. მ.ებურიშვილი, თ. ცქიფურიშვილი. კონცეპტუალურ ასპექტში რეგიონის გაერთიანებული სატრანსპორტო ბაზრის ფორმირება სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის შექმნის გზით. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“ №27. თბილისი 2014წ.
2. გ. მებურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკურ კომპლექსებში პაკეტური საავტომობილო გადაზიდვის სისტემის სრულყოფის მეთოდები. დის. თბილისი. 2004წ.
3. Джеймс Харингтон, К.С. Эсилинг, Харм Ван Ним Верген. Оптимизация управления бизнес-процессами /Пер. с англ. – М.: Бизнес-Микро, 1999. – 269 с.
4. Емельянов С.В., Ларичев О.И. Многокритериальные методы принятия решений. – М.: Экономика, 1984. – 320 с.
5. Завлин П.Н., Васильев А.В., Кноль А.И. Оценка экономической эффективности инвестиционных проектов (современные подходы) – СПб: Наука, 1995 – 248с.
6. Логистика и управление цепями поставок. Теория и практика управление цепями поставок /Под ред. Б.А. Аникина. – М.: Проспект, 2011. – 216 с.

Transport planning & social aspects of transport

THE METHODICAL UNDERPINNING OF SERVICES, EFFECTIVE FUNCTIONING AND COST OPTIMIZATION OF LOGISTICS CHAINS OF THE AGRO- LOGISTICS CLUSTER

M. MEBURISHVILI, T. TSKIPURISHVILI

Akaki Tsereteli State University

Summary

Based on the principles of the system approach, a basic model of economic links and the demand for logistics services of the integrated logistics chain of the agro-logistics cluster was constructed, and the main indicators for assessing the effectiveness the functioning of the agro-logistics cluster in market conditions were analyzed and proposed. There were formed the criteria for assessing the effectiveness of the functioning, comparison and selecting the optimal option, taking into account the discount factor and inflation rate. Such a criterion is the maximum of the discounted income.

Планирование транспортирования и социальные вопросы транспортирования **МЕТОДИЧЕСКИЕ ОСНОВЫ УСЛУГ, ЭФФЕКТИВНОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ И ОПТИМИЗАЦИИ ЗАТРАТ ЛОГИСТИЧЕСКИХ ЦЕПЕЙ АГРОЛОГИСТИЧЕСКОГО КЛАСТЕРА** **М. МЕБУРИШВИЛИ, Т. ЦКИПУРИШВИЛИ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

На основе принципов системного подхода, построена базовая модель хозяйственных связей и спроса на логистические услуги интегрально-логистической цепи агрологистического кластера, проанализированы и предложены основные показатели оценки эффективности функционирования агрологистического кластера в условиях рыночных отношений. Сформированы критерии оценки эффективности функционирования, сравнения и выбора оптимального варианта с учетом коэффициента дисконтирования и темпа инфляции. Таким критерием является максимум дисконтированного дохода.

საავტომობილო გზების პროექტირების არსებული ტექნიკური რჩეულებების
გამოყენების მოსალოდნელი შედეგები

ბარათაშვილი ა.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში მოცემულია გზების ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრების თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობები. გზის ოპტიმალური მახასიათებლების მიღწევის შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფებ ექსპლუატაციის მაღალ ხარისხს და სავტომობილო გზის ხათანადო ხაიმედობას. წარმოდგენილია ავტომატური პროექტირებით გზის ხათანადო დიზაინის სისტემების მიღწევის შესაძლებლობები, მისი გამოყენების წინაპირობები და მოსალოდნელი პოზიციური შედეგები. ახალი ტექნოლოგიებით დახმარების მიღწეული შედეგების მოსალოდნელი ხარჯები და სავარაუდო უარყოფითი შესაძლო შედეგები. გზის მაღალი საიმედოობის და სათანადო ტექნიკურ გკონომიკური პარამეტრების მიღწევის მიზნით ამ შედეგების აღმოფხვრის პირობები

თანამედროვე მაღალი საექსპლოატაციო მახასიათებლების მქონე საავტომობილო გზების როლს ქვეყნის ეკონომიკაში ერთ ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აკისრია ეს შესაბამის საექსპერტო კვლევების მიერ დადასტურებული ფაქტია. გზების მიმართ წაყენებული ტექნიკურ ეკონომიკური და საიმედობის მაჩვენებლების გაზრდილი მოთხოვნების უზრუნველყოფა შესაძლებელია პროექტირების ყველა სტადიაზე სისტემური მიდგომის პირობებში. რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას;

– ადგილის შესახებ ამომწურავი მონაცემების შეგროვებისას თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;

– პროექტირების ნებისმიერ სტადიაზე ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტიას პროექტირების ავტომატიზირებული სისტემების გამოყენებით ყველაზე ოპტიმალური გარიანტის შერჩევის მეშვეობით.

პროექტირების ყველა სტადიაზე მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული არსებული თამაჯდროვე ტექნიკური საშუალებები, სათანადო პროგრამები, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული არსებული გარემო ფაქტორები, რელიეფური და კლიმატური პირობები, გზის კორიდორის ქვეშ გრუნტის ფიზიკო მექანიკური მახასიათებლები, პიდროლოგიური პირობები, გრუნტის წლეუბი, თანამედროვე კომპიუტრული პროგრამებით ვერტიკალურ და პორიზონტალურ სწორად უნდა შეირჩეს მოხვევის რადიუსები, ეს განსაკუთრებით საყურადღებო მარალი კატეგორიის გზების მთაგორიან რელიეფზე მშენებლობის შემთხვევაში. მიზ უფრო რომ მაღალი კატეგორიის გზების შემთხვევაში მოხვევის რადიუსების მნიშვნელობა ორივე სიბრტყეში სამშენებლო ნორმების მიხედვითაა შეზღუდული

და ის მინიმალური უნდა იყოს. მის სიდიდეზე არსებითადაა დამოკიდებული გზის ისეთი ტექნიკურ ეკომომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა მოძრაობის უსაფრთხოება, გზაზე გადატანილ ერთ პირობით ტონა ტვირთზე მოსული დანახარჯებს სიდიდე. და პროექტირების სტადიაზე მათი შერეჩისას სათანადო ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გამოყენება იძლევა ოპტიმალურ ეფექტს. ეს განსაკუთრებით საინტრესოა ჩვენ პირობებში, მაშინ როცა უმოკლეს დროში იწყება სურამი-ზესტაფონი ავტობანის ურთულები მონაკვეთის მშენებლობა. და უკვე აშენებულმა მონაკვეთებმა გამოავლინა პრიექტირების სტადიაზე დაშვებული ხარჯები, რაც ართულებს გზის ექსპლუატაციას, ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების არასათანადო პირობებს. საავტომობილო გზაზე ტრანსპორტის ნაკადის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება სისტემატიურად დიდ მოცულობის სამუშაოების შესრულება, რაც იტხოვს დამატებით დამატებით დანახარჯებს და მნიშვნელოვნად ზრდის საავტომობილო გზის საექსპლუატაციო ხარჯებს.

ავტობანის ნაშირდებულუკანეთის მონაბეჭოზე სოფელ ჭოგნართან გზის მონაკვეთის მთის ძირთან მიახლოებებისას გზის კორიდორის მოწყობის მიზნით საჭირო გახდა ფერდობის დიდ ფართზე გახსნა, რისთვისაც ჯერ მშენებლობის სტადიაზე წარმოებდა დიდ მოცულობის მიწის სამუშაოების ჩატარება. ამ მიზეზისა და იმის გამო რომ მოკვლევითი სამუშაოების ჩატარებისას სათანადო დონეზე არ იქნა ჩატარებული დერფენის ქვეშ გეოლოგიური სამუშაოები, აღმოჩნდა რომ ფერობზე განლაგებულია სხვადასხვა სტრუქტურის მქონე მცოცავი ქანები, და ამინდის ცვლილებების გამო სისტემატიურად ხდება ფერდობიდან ქანების დაცურება. დაცურებულმა მიწის მასამ რამდენჯერმე გაარდგია გზის დამცავი ჯებირი, რის გამოც დრის წესრიგში დადგა გზის რამდენჯერმე დაკეტვის აუცილებლობა. ამასტან გახსნილი ფერდობი მეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე და საფრთხეს უქმნის იქ არსებულ ბიო მრავალფეროვნებას. გახსნილი ფერდობის ფართი გზის გახსნიდან დღემდე საავტომობილო გზის ექსპლუატაციისას ოთხ წელიწადში სამჯერ გაიზარდა. ახლა მიღებული იქნა გადაწყვეტილება და გახსნილ ფერდობზე დიდი ტემპით და მაღალი დინამიკით მიმდინარე ერთზიული პროცესის შესახერებლად მოზადებული იქნა ახალი პროექტი, გამოიყო ფინანსური რესურსი და გამოცხადებული ტენდერით შერჩეული კომპანია უახლოეს პერიოდში იწყებს ფერდობის გამაგრების სამუშაოებს. გეოსაინფორმაციო სისტემების კომპლექსური გამოყენება ტაგიდან აგვაცილებდა გზის ამ მონაკვეთზე არსებულ სერიოზულ ხარჯებს და საჭიროარ იქნებოდა დამატებითი სამუშაოების გაწევა და ფინანსური რესურსების ხარჯვა. ეს მაგალითი გათვალისწინებული უნდა იქნას რიკოთის გადასახვლელზე მდინარე ძირულას ვიწრო ხეობაში ურთიერთ შემხვედრი ორზოლიანი ავტობანის მშენებლობისას. რათა თავიდან მთლიანად იქნას აცილებული მკეთრად დახრილი ფერდობით შეზღუდულ ხეობაში საავტომობილო გზის კორიდორის მოწყობისას ექსპლუატაციის პირობებში მსგავსი და სხვა ტიპის ხარჯების გამოვლინება

გეოსაინფორმაციო სისტემება საპროექტო სამუშაოები მნიშვნელოვნად გაამარტივა და ეფექტური გახსადა. პროექტირების ავტომატიზირებული სისტემიდან განსხვავებით ამ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება მისი მონაცემთა ბაზის აღგორითმულ შესაძლებლობებით წარმოდგენილი დიდ რაოდენობის გრაფიკული პრიმიტივები, წერტილები, ხაზები, ზედაპირები, ეს კი საშუალებას იძლევა შერჩეული იქნას ადგილის შესაბამისი გეომეტრიული ტანის საუკეთესო

ვარიანტის საშუალებას იძლევა დროის და ფინასური რესურსების დაზოგვით მიღებული იქნას ადგილმდებარეობის რაციონალური ციფრული მოდელი.

ას მეშვეობით საუკეთესო ვარიანტი მიიღწევა ტანგენციალური სვლის პრინციპის გამოყენებით. ტრასა წარმოდგენილია ტეხნიკური საზოგადო მოდელი, რომლებიც წარმოადგენენ კუთხეებში დატანილი მრუდების მხებს. ეს მეთოდი იძლევა გზის ნებისმიერი მონაკვეთის სამგანზომილებიან ტრასირების შესაძლებლობას. პროექტირებისას ასევე ეფუქტურად გამოიყენება „საყრდენი ელემენტების“ და „ტრასის ესკიზური ხაზების დაყვანის“ მეთოდები, პირველ შემთხვევაში შაბლონების მეშვეობით წარმოებს გზის საყრდენი მონაკვეთების შერჩევა, ხოლო მეორე შემთხვევაში აიღება საფარულო წერტილების მეტი რაოდენობა და მათგან უკეთესის შერჩევით წარმოებს გზის კონკრეტული მონაკვეთის შერჩევა. ნებისმიერ შემთხვევაში პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას გზის კატეგორია, რელიეფის თავისებურებები, გეოლოგიური და პიდროლოგიური კვლევის შედეგები. პროექტირებისას გადამწყვეტია ყველა მონაცემის ანალიზის შედეგად იქნას შერჩეული გზის განივი და გრძივი პროფილის ოპტიმალური ვარიანტი. ასევე გადამწყვეტია პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გზის მიწის ყრილის და საფარის მოწყობის დაგეგმვას, მათ გეომეტრიულ პარამეტრებს, მასალის შერჩევის კრიტერიუმებს და მათ ფიზიკო-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით ადგილზე მოწყობის თავისებურებებს, შემწიდროების ხარისხს, მათ ზომების მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს. დღეს არსებული პროექტირების ავტომატიზირებული სისტემებს აქვთ იდენტური სტრუქტურა, მათ გააჩნიათ სხვადასხვა მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდეგი საპროექტო დავალების შესრულებას: მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად წარმოებს; გზის ტარსირება, მიწის ყრილის, განივი პროფილის გზის საფარის, საინჯინრო ნაგებეობის პროექტირება, საპროექტო გადაწყვეტის შეფასება, ხარჯთახრიცხვის დოკუმენტაციის მომზადება. ამჟამად გამოყენება ისეთი აპს როგორიცაა inodorCAD/Road, ROBUR, GIP, AvtoCAD Civil 3D.CARD/1, MXROAD, CGS, CREDO. პროგრამები გამოიყენება საავტომობილო გზების საავტომობილო გზების პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რემონტის სტადიაზე. გეოდეზიური კვლევის მონაცემები და ადგილმდებარეობის რუქა ყველა პროგრამის საწყის მონაცემს წარმოადგენს, შედეგად კი მიიღება გზის სამგანზომილებიანი მოდელი და საპროექტო დოკუმენტაცია. აღნიშნული პროგრამების შესაბამისი მოდულის რესურსები მთლიანად უზრუნველყოფს საპროექტო სამუშაოებისას ნებისმიერი სახის ამოცანის გადაწყვეტას მონაცემთა დიდი მოცულობის დამუშავების შედეგად არსებული მრავალრიცხვანი ვარიანტიდან ყველაზე ოპტიმალურის შერჩევის შესაძლებლობას. ყველა ამ პროგრამას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნია, საგზაო საფარისა და მიწის ყრილის პროექტირებისას გაანგარიშებისას გამოიყენება მინერალური მასალების დრეკადობის მოდულის სტატიკური მნიშვნელობა რაც არ იძლევა გამოყენებული მასალების ფიზიკო-მექანიკური თვისებების აღექატურად შეფასების და შესაბამისად მისი რესურსის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას, საავტომობილო გზების პროექტირებისას ავტომატიზირებული პროგრამების გამოყენება იძლევა გეოდეზიური მონაცემების და გზაზე ყველა მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხასიათის, მასშტაბის და პერიოდულობის ბოლომდე გათვალისწინების შესაძლებლობას, ამის შედეგად წარმოებს გზის ნებისმიერი მონაკვეთის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, რაც მაქსიმალურად ზრდის გზის კაპიტალური რემონტების გარეშე საექსპლუატაციო

რესურს და სამედობას. ამასთან მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული დეფორმაციის მოდულის სტატიკური მაჩვენებელზე დაყრდნობით წარმოებული ანგარისას მიღებული შედეგების სავარაუდო ხარვეზები, რათა მაქსიმალურად ზუსტად იქნას განსაზღვრული პლასტიკური დეფორმაციის ზემოქმედებით დადლილობის ზღვრის მიღწევის გამო მასალის დესრუქციული პროცესების განვითარების ვადები და პირობები.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. ბარათაშვილი. საავტომობილო გზების ციფრული მოდელის აგების შესაძლებლობები. სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი, "Georgian Engineering News ", 2015
2. გ. ბარათაშვილი. მსუბუქ გრუნტებზე საავტომობილოგზების პროექტირების თავისებურებები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „გონი“ 4. ქუთასი, 2016
3. გ. ბარათაშვილი. საავტომობილო გზების ციფრული მოდელის არსი და მისი აგების შესაძლებლობები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი “ხანძთა”. 2015.11(16), გვ. 141–145
4. Справочная энциклопедия дорожника. Проектирование автомобильных дорог/Под редакции Федотова. –М., 2009
5. А.В. Скворцов. Трудности перехода от автоматизированного проектирования к информационному моделированию дорог. ТОМК, 2017, [HTTPS://CYBERLENINKA.RU/SCIENTIST/SKV](https://cyberleninka.ru/scientist/skv)

Гражданское строительство

ОЖИДАЕМЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ СУЩЕСТВУЮЩИХ ТЕХНИЧЕСКИХ РЕСУРСОВ ДЛЯ ПРОЕКТИРОВАНИЯ

М. БАРАТАШВИЛИ

Государственный университет Акакий Церетели

Резюме

В статье представлена информация о технических требованиях современных технических требований к дорогам. Защищенные условия обеспечивают высококачественную эксплуатацию и надлежащую надежность дороги. Возможности создания соответствующих систем проектирования, условий использования программ и неожиданных результатов представлены с автоматическим дизайном. В статье представлены ожидаемые недостатки в работе, связанной с использованием новых технологий, и возможные негативные последствия. В целях обеспечения надлежащей надежности и высоких технических экономических показателей дороги представлены поправки к ущербу, вызванному этими отрицательными результатами.

Civil engineering

EXPECTED RESULTS OF USING EXISTING TECHNICAL RESOURCES FOR THE DESIGN OF HIGHWAYS

M. BARATASHVILI

Akaki Tsereteli State Universitet

Summary

The article presents information on technical requirements of modern technical requirements for roads. Protected conditions ensure high-quality operation and proper road safety. The possibilities of creating appropriate design systems, program conditions and unexpected results are presented with an automatic design. The article presents expected shortcomings in work related to the use of new technologies and possible negative consequences. In order to ensure proper reliability and high technical economic indicators of the road, corrections are made to the damage caused by these negative results.

გვების პირამიდა

ჯიშია მაგდანა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანის ჯანმრთელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სრულფასოვან და რაციონალურ კვებასთან. რაციონალურ კვებაზე თანამედროვე მეცნიერული შეხედულების ჩამოყალიბება განაპირობა ბიოქიმიის განვითარებას.

კვების სრულფასოვნება განიხილავს ისეთი საჯერო ნივთიერებების ბალანსით, როგორებიცაა: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და მიერალური ნივთიერებები.

ბიოქიმიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად კვების თანამედროვე შეხედულებების ფორმირება შეიძლება ჩაითვალოს. ჯანმრთელ კვებას შეუძლია შეამციროს გარკვეული დაავადებების რისკი გრძელვადიან პერიოდში და ასევე შეამციროს ზოგიერთი სიმსივნის განვითარების რისკი.

კვება ადამიანის ძირითადი ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ხოლო საკვები, როგორც კვების საშუალება, გარემოს უმნიშვნელოვანებს ფაქტორებს განეკუთნება [1].

რაციონალური, ხარისხობრივად და რაოდენობრივად სრულყოფილი კვება სოციალური გარემოს ფაქტორებთან ერთად უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ განვითარებას, მის ფიზიკურ და გონებრივ შრომისუნარიანობას, გამძლეობას. უარყოფითად მოქმედი ფაქტორების მიმართ საკმარისად მაღალ წინააღმდეგობას იჩენს. ცნობილია, რომ სრულფასოვანი კვება ცილებისა და ვიტამინების ოპტიმალური შემადგენლობით კეთილსასურველ გავლენას ახდენს ორგანიზმის იმუნოლოგიურ თვისებებზე და აძლიერებს მის მდგრადობას ინფექციური აგენტებისა და ტოქსიკური ნივთიერებების მიმართ.

მეორე მხრივ, არასწორი, არარაციონალური და არასაკმარისი კვება უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებაზე, მის შრომისუნარიანობაზე და შესამჩნევად აქვეითებს ადამიანის მდგრადობას ტოქსიკური და ინფექციური აგენტების მიმართ, არღვევს ნივთიერებათა ცვლას, ადრეულად აბერებს ორგანიზმს, იწვევს სისხლის, ღვიძლის დაავადებას და ა. შ.

არარაციონალური კვება ცუდად მოქმედებს აგრეთვე დაავადების მიმდინარეობაზე და აყოვნებს გამოჯამრთელებას.

სტატისტიკური მონაცემებით ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 15% შეიძლება. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ნაწილი ავადდება არა საკვების ნაკლებობით, არამედ გადაჭარბებული კვების გამო.

ცხოველქმედებისა და სხვადასხვა სახის მუშაობის შესრულების დროს ადამიანის ორგანიზმი ხარჯავს მნიშვნელოვანი რაოდენობის მექანიკურ და სითბურ ენერგიას. ამ ენერგიების წარმოქმნის ძირითადი წყაროა ის ქიმიური ენერგია, რომელიც ორგანიზმში არსებული ორგანული ნივთიერებების უწყვეტი ჟანგის შედეგად წარმოქმნება.

ორგანიზმი მოხვედრილი საკვები ნივთიერებანი არამარტო ენერგეტიკული დანახარჯის შესავსებად გამოიყენება, არამედ წარმოაღენს იმ პლასტიკურ მასალასაც, რომელიც განაპირობებს სხვადასახვა ორგანოთა და ქსოვილთა უჯრედოვან შენებას.

სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ზრდა-განვითარებასა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ადამიანის ორგანიზმს ესაჭირობა სხვადასხვა საკვები ნივთიერება, რომელთა პოტენციური ენერგია მას შეუძლია გარდაქმნას ორგანიზმისათვის საჭირო კინეტიკური ენერგიის წყაროდ. გარდა ამისა, ადამიანის ორგანიზმი თავისი ფუნქციების შესრულების დროს ცვეთს და კარგავს შემადგენელ ქსოვილებს. ამიტომ დანაკარგის შესავსებად ორგანიზმს უნდა მივაწოდოთ ისეთი მასალა, რომელიც, ერთი მხრივ, დაიშლება, დაიუანგება და წარმოქნის ორგანოთა სამოქმედო ენერგიას, ხოლო, მეორე მხრივ, გამოდგება საშენ მასალად (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები). საკვებთან ერთად ორგანიზმში ხვდება აგრეთვე ნივთიერებები (ვიტამინები და მინერალური მარილები), რომლებიც უზრუნველყოფენ ნივთიერებათა ცვლის პროცესის ოპტიმალურ მიმდინარეობას. გარდა ამისა, საკვებ პროდუქტებში არის უჯრედისი, რომელიც აუცილებელია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, და ე.წ. გემოვნებითი ნივთიერებები, რომლებიც იწვევს მადის აღვრას და ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას.

ორგანიზმში საკვების მოთხოვნილება განისაზღვრება შრომითი მოღვაწეობის ხასიათის, წლოვანების, სხეულის მასის, ფიზიოლოგიური მდგომარეობის (ორსულობა, ბავშვის ძუძუთი კვება), კლიმატური პირობებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით.

ჯანმრთელი, რაციონალური კვება უნდა უზრუნველყოთ: ხარისხობრივი სრულფასოვნებით, რომელიც განისაზღვრება საკვები ნივთიერებების ყველა აუცილებელი კომპონენტის (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მინერალური მარილები) ჩართვით. [2, 3]

სიცოცხლის მანძილზე (საშუალოდ 60 წელი) ადამიანი ჭამს 6000 კგ პურს, სვამს 6000 ლ რეჟს, 10000 ლიტრზე მეტ წყალს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სასმელების მნიშვნელოვან რაოდენობაზე „საუზმეზე“ ადამიანს სჭირდება კარაქის ორტონიანი ნაჭერი, ხოლო „სადილისათვის“ 30000 კილოგრამამდე მეტი ბოსტნეული და ხილი, 2,5 ტ ცილა, 2 ტ ცხიმი, 10 ტ ნახშირწყლები, ვიტამინების რაოდენობა კი, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე, განიზომება არა ლიტრობით ან კილოგრამობით, არამედ გრამობით.

თუ ცილები და ნახშირწყლები საწვავია მანქანისათვის, ვიტამინები მისი ბორბლებია და გაცვეთილი საბურავებით შორს ვერ წავა კაცი.

ვიტამინები ქიმიური პროცესების აქტიური რეგულატორებია. მათ შექმნაზე ორგანიზმი ენერგიას არ ხარჯავს, ისინი საკვებს გარედან შემოაქვს. ცხიმებსა და ნახშირწყლებს ორგანიზმი საწვავ მასალად იყენებს, ცილები ახალი უჯრედების შენებას ხმარდება, მაგრამ არის სამი სახის ნივთიერება, რომლებიც აბსოლუტურად საჭიროა ორგანიზმისათვის - ესენია: წყალი, მინერალური მარილები და ვიტამინები. [4]

ცილები. ცილები ანუ პროტეინები უმნიშვნელოვანესი საკვები ნივთიერებაა, რომელიც ამარავებს ორგანიზმს საშენი - პლასტიკური მასალით. ცილა ორგანიზმის მრავალი ფერმენტისა და პორმონის შემადგენელი ნაწილია. ცილების საგრძნობი ნაწილი იხარჯება ორგანიზმში შრატისა და ლორწოს წარმოქმნაზე, ნაწილი კი ე.წ. შინაგან ბრუნვას განიცდის.

საკვებში ცილების ხანგრძლივად შეცვლა ნახშირწყლებით ან ცხიმებით შეუძლებელია, მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია ე. წ. საშენ, ანუ „მატერიალურ“ ცილებზე. ცილებს კი თავის მხრივ, შეუძლიათ საკმაოდ ხანგრძლივად შეცვალონ როგორც ნახშირწყლები, ისე ცხიმები.

ცილები არსებობს როგორც ცხოველური (ხორცი, თევზეულში, კვერცხში, რქეში და სხვ.), ისე მცენარეული წარმოშობის (ლობიოში, ბოსტნეულში, ხორბლეულში). ცილების დიდი გამოუყენებელი მარაგი მოიპოვება ზღვებისა და ოკეანების წყალმცენარეებში. მცენარე, მართალია, ცილების სინთეზს ძირითადად ფოთლებში ახდენს, მაგრამ მათს საგრძნობ ნაწილს იგი მიწისქვეშა ნაწილებშიც ასინთეზებს.

ორგანიზმის ზრდა და განვითარება დამოკიდებულია როგორც მიღებული ცილების რაოდენობაზე, ისე მასში შემავალი ამინომჟავების სრულფასოვნებაზე.

ადამიანის ორგანიზმის ცილოვანი კვებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება მაშინ, როცა ის დებულობს ცილის იმ რაოდენობას, რომელიც შეესაბამება ორგანიზმის მოთხოვნილებას. ორგანიზმის მიერ ზემოაღნიშნული რაოდენობით მიღებული ცილა ნერგული სისტემის საშუალებით ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს ინფექციური დაავადების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს, დადებით გავლენას ახდენს გონებრივ მოღვაწეობაზე. წლოვანების შესაბამისად ბავშვთა ორგანიზმის მიერ ცილის საშუალო დღიური დოზა შეადგენს 25-106 გ. ცხადია, ფიზიკური დატვირთვისას ორგანიზმი საჭიროებს ცილის დღიური ნორმის გაზრდას. მაღალი ტემპერატურით მიმდინარე დაავადების შემდგომ პერიოდში ორგანიზმის მოთხოვნილება ცილების მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება.

ცხიმები. ცხიმები ენერგეტიკული ნივთიერებებია. ცხიმების არასაკმარისი რაოდენობის დროს საჭირო ხდება ნახშირწყლების რაოდენობის გაზრდა, აქედან გამომდინარე საკვების მოცულობის გაზრდაც, რაც იწვევს საჭმლის მომნელებელი ორგანოების გადატვირთვას და საბაგების ცუდ შეთვისებას.

საკვებში ცხიმების არსებობა აუმჯობესებს მის გემოს, ქმნის დანაყრების შეგრძნებას, ზღუდავს ცილების დაშლას ორგანიზმში. ცხიმების ზოგიერთი ფორმა მაგალითად, ლიპოიდები, რომლებიც თავის შემადგენლობაში შეიცავენ ფოსფორსაც, მნიშვნელოვნანია ნერგული სისტემისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, რძესა და რძის პროდუქტებში (კარაქში, ნაღებში, არაჟანში) შემავალ ცხიმებს. ცხიმს, რომელიც შედის კვერცხის გულისა და ზოგიერთ ვიტამინის შემადგენლობაში, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის.

გარდა უშუალო კვებითი დამოკიდებულებისა, ცხიმები ორგანიზმს ეხმარება სახსრების ზედაპირული ხახუნის შემცირებაში. შემაერთებელ ქსოვილში ის ავსებს თავისუფლად დარჩენილ სივრცეებს და ამით ამრგვალებს სხეულის ფორმას, ხელს უწყობს ორგანოთა ფიქსაციას და ქმნის საწვავი მასალის მთავარ სამარაგო დეპონებს. გარდა ამისა, ცხიმის განსაზღვრული რაოდენობა, როგორც სამშენებლო მასალა შედის ქსოვილთა და ორგანოთა პროტოპლაზმაში.

სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის დადგენილი ცხიმების რაოდენობის დღიური ფიზიოლოგიური ნორმა 25-106 გ უპირატესად უზრუნველყოფილი უნდა იყოს რძისა და რძის პროდუქტებში შემავალი ცხიმებით.

ცხიმის გადაჭარბებული გამოყენება და აგრეთვე მისი ნაკლებობა საკვებში არასასურველ გავლენას ახდეს მოზარდის თრგანიზმის განვითარებასა და ზრდაზე.

სიმსუქნეს, რომელიც გადამეტებულად ცხიმიანი საკვების მიღების შედეგად ვთარდება, ორგანიზმის ამტანობის დაქვეითებასა და ნივთიერებათა ცვლის დრმა დარღვევამდე მივყავართ.

ასაკის მატებასთან ერთად რეკომენდირებულია ცხიმოვან ულუფაში თანდათან შემცირდეს ცხოველური ცხიმები და გადიდდეს მცენარეული ცხიმების რაოდენობა. მაგალითად, 40-50 წლის ასაკში რეკომენდებულია ცხოველური ცხიმი 60%, მცენარეული - 40%, 50-60 წლის ასაკში მათი რაოდენობა თანაბარია: 50-50%. უფრო მაღალ ასაკში ცხოველური ცხიმის ხვედრითი წონა კიდევ უფრო უნდა შემცირდეს, მაგრამ ეს რეკომენდაციები ადამიანს უნდა მისცეს მქურნალმა ექიმმა. ბიოქიმიკოსთა მტიცებით, ცხიმის სიუხვე ერთორციტების ირგვლივ ქმნის ერთგვარ აპკს, რითაც აქვეითებს ქსოვილებისათვის ჟანგბადის გაცემას, ე. ი. წვას.

ნახშირწყლები. ადამიანის საკვებად სადღედამისო ულუფით მიღებულ კალორიებში ნახშირწყლები 60-70%-მდე შეადგენს. ორგანიზმში ნახშირწყლები არსებითად მხოლოდ მცენარეული საკვებით შეიტანება. გამონაკლისია თაფლი, რძე თავისი შაქრით და ზოგიერთი სხვა ცხოველური პროდუქტები, რომლებიც ასე თუ ისე საგრნობი რაოდენობით შეიცავენ ნახშირწყლებს (მაგალითად ხბოს ხორცი, ცხენის ხორცი და სხვა).

არჩევენ სამი სახის ნახშირწყლებს, ესენია 1) პოლისაქარიდები - სახამებელი, გლიკოგენი, დექსტრინი, უჯრედისი და ნაწილობრივ პექტინური ნივთიერებებიც; 2) დისაქარიდები - საქაროზა, ლაქტოზა და სხვ... 3) მონოსაქარიდები - გლუკოზა, ფრუქტოზა და სხვა.

ცნობილია, რომ ორგანიზმში ნახშირწყლები შეიწოვება მხოლოდ მონოსაქარიდების სახით. ამიტომ პოლი და დისაქარიდებმა წინასწარი დაშლა უნდა განიცადოს საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, გარდაიქმნას მონოსაქარიდებად და ისე იქნეს შესწავლილი.

ბიოქიმიკოსებისა და ფიზიოლოგების აზრით, როგორც ცილები, ისე ცხიმები და ნახშირწყლები შეწოვის წინ დაფორსფორებას განიცდის.

ნახშირწყლების სადღედამისო ნორმად 430-630 გ ითვლება. ულუფის სწორი შედგენის დროს მონო და დისაქარიდების (ჩვეულებრივი შაქრის) რაოდენობა დაახლოებით 50-80 გრამი უნდა იყოს, რათა სხეულმა შეძლოს დანარჩენი საენერგიო პოლისაქარიდული მასალა გამოიზოგოს და თანდათანობით დაშლის გზით გამოიყენოს. გამონაკლისის სახით სპორტსმენებს შეჯიბრების დღეებში შეიძლება მიეცეთ 200-300 გ შაქარი.

არსებობს მოსაზრებები, რომ თითქოს მონო და დისაქარიდები მოხუცებულთათვის კანცელოგენულად იყო საშიში. ამიტომ მოხუცებულობის ასაკში და არა ფიზიკური შრომის პირობებში ტკბილი ნახშირწყლების ანუ შაქრის ნორმა უნდა შემცირდეს. ამავე ასაკში მცენარეულის უხვად მიღებას მეცნიერები იმიტომ მოგვიწოდებენ, რომ ხილბოსტეულის ტარტონის მჟავა სხეულში ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას.

მინერალური ნივთიერებები. ბავშვის ორგანიზმი საჭიროებს ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის მარილებს, ფოსფორს, რკინას, მარგანეცს, ნიკელს და სხვ, რის გარეშეც ორგანიზმის ზრდა და განვითარება შეუძლებელია. გაზრდილი ფიზიკური დატვირთვის დროს რეკომენდებულია მინერალური ნივთიერებების დღიური რაციონის გაზრდა. [5, 6]

მინერალური მარილები საკვები პროდუქტების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ რაციონალური კვებისას არ არის აუცილებელი ორგანიზმში

მისი დამატებითი რაოდენობით შეფანა. მინერალური მარილებიდან მხოლოდ ნატრიუმის ქლორიდი (სუფრის მარილი) შეგვაჭვს დამატებით საკვებში, განსაკუთრებით - მცენარეულში, რადგან მცენარეები ნატრიუმის ქლორიდით ღარიბია.

ბავშვთა და მოზარდთა მიერ სუფრის მარილის მოხმარების საშუალო დღიური მოთხოვნილება შეადგენს 8-10 გ.

კალციუმისა და ფოსფორის მარილები ძვლოვანი ქსოვილის მთავარი შემაღებელი ნაწილია, მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონერებისათვის.

ბავშვის ორგანიზმში კალციუმის მარილის, ფოსფორისა და ვიტამინის ნაკლებობის დროს ირდვევა ძლოვანი ქსოვილის ნორმალური განვითარება, ყოვნდება ზრდის პროცესი. გარდა ამისა, ფოსფორი, რომელიც ცილებისა და ცხიმების ნაერთებშია, შედის ნერვული ქსოვილის უჯრედისა და ზოგიერთი სხვა ორგანოს შემაღებელობაში.

ბავშვის საკვებ ნივთიერებაში ფტორის მარილების საკმარისი რაოდენობა დადებითად მოქმედებს კალციუმისა და ფოსფორის დაბალანსებასა და ათვისებაში.

ბავშვთა საკვები რაციონის შემაღებელობაში შემავალი მარგანეცისა და სპილენძის შემცველობა არსებითად მოქმედებს სისხლის სურათზე. ორგანიზმში მარგანეცის, ნიკელის, სპილენძის ძირითადად მომწოდებლად ითვლება მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, მაშინ როცა მოლიბდენისა და თუთიის მიმწოდებელია ცხოველური წარმოშობის პროდუქტები. საშემოდგომო რაციონთან შედარებით, რომელიც მდიდარია მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით, საგაზაფხულო რაციონში მარგანეცის რაოდენობა კლებულობს. დამყარებულია პირდაპირი კავშირი გაზაფხულზე მარგანეცის შემცირებასა და ორგანიზმში პერიგლობინის, ერითროციტების, ფერადობის მაჩვენებლის შემცირებისა და რეტიკულოციტების გაზრდას შორის.

ბავშვთა და მოზარდთა მრავალფეროვანი კვება, რომელიც შეიცავს საკმაო რაოდენობით რძეს და რძის პროდუქტებს, ხილს, ბოსტნეულს, უზრუნველყოფს ორგანიზმის მზარდ მოთხოვნილებას მინერალური მარილებისადმი.

ვიტამინები. სპეციალური ცდებით დამტკიცებულია, რომ ქიმიურად სუფთა მდგრმარეობაში წარმოდგენილი საკვები ნივთიერებებისაგან, ე. ი. ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და მინერალური მარილებისაგან შედგენილი ულუფა ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმის წესიერ განვითარებას და ორგანოთა ნორმალურ მოქმედებას. ადმოჩნდა, რომ არსებობს კიდევ რაღაც სხვა ნივთიერებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია სასიცოცხლო ფუნქციების ნორმალურად შენარჩუნება.

პოლონელმა მეცნიერმა ფუნქმა დაამტიცა საკვებ პროდუქტებში სიცოცხლისათვის აუცილებელ ნივთიერებათა არსებობა და მათ ვიტამინები უწოდა. [4]

ვიტამინები ორგანული ნივთიერებაა, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ვიტამინები შედის მრავალი ფერმენტის შემაღებელობაში. ვიტამინები ღია როლს ასრულებენ ნივთიერებათა ცვლაში. ისინი უზრუნველყოფენ პორმონების მოქმედებას.

ვიტამინები უზრუნველყოფენ ორგანიზმის წინააღმდეგობის ამაღლებას გარემო არასასურველი ფაქტორების მიმართ. ვიტამინები აუცილებელია ზრდის

სტიმულირებისათვის, უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენისათვის ტრაგმებისა და ოპერაციის შემდეგ.

ვიტამინების მთავარი წყაროა ბოსტნეული, ხილი, კენკრა. ვიტამინებია აგრეთვე რძეში, ხორცში, თევზში. ვიტამინები თრგანიზმისათვის საჭიროა ძალიან მცირე რაოდენობებში, მაგრამ მათი უკმარისობა არღვევს შესაბამისი ფერმენტების წარმოქმნას რაც ავიტამინოზს იწვევს.

ამრიგად, ბიოქიმიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად კვების თანამედროვე შეხედულებების ფორმირება შეიძლება ჩაითვალოს. ჯანმრთელ კვებას შეუძლია შეამციროს გარკვეული დაავადებების რისკი გრძელვადიან პერიოდში, ასევე შეამციროს ზოგიერთი სიმსივნის განვითარების რისკი.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ალექსიძე ნ. - ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია სტომატოლოგებისათვის. თბილისი. 2005.
2. კოკიჩაშვილი გ. - სამედიცინო ბიოქიმია (1). თბილისი. 1996.
3. ბოლქვაძე ა. - ბიოქიმია. თბილისი. 1999.
4. ყიფიანი ე. - ვიტამინები. თბილისი. 1993.
5. ჯიქია მ., ყიფიანი ე. - სიბერემდე ჯანმრთელობა და ხალისი. ქუთაისი. 2010.
6. Марри Р., Греннер Д., Мейес П., Родуэлл В. - Биохимия человека. т. 2. Москва. 1993.

Biochemistry

FOOD BIOCHEMISTRY

M. JIKIA

Akkai Tsereteli State University

Summary

Diet is the main biological demand of human and the food itself, as a source of food diet, is the important factor of environment.

Eating perfectly is defined with a balance of the following food substances: proteins, fat, carbohydrates , vitamins and minerals.

One of the important achievements of biochemistry may be concerned a formulation of modern viewpoints. Healthy food can reduce risks of diseases and also can reduce the risks of cancer development.

Биохимия

БИОХИМИЯ ПИТАНИЯ

М. ДЖИКИЯ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Питание – основная биологическая потребность человека, а пища, как средство питания, относится к важнейшим факторам окружающей среды.

Полноценность питания определяется балансом таких пищевых веществ, как белки, жиры, углеводы, витамины и минеральные вещества.

Одним из главных достижений биохимии можно признать формирование современных взглядов на питание. Здоровому питанию под силу сокращение риска определенных заболеваний в долгосрочном периоде, а также сокращение риска распространения некоторых опухолей.

სამედიცინო ტექსტილური პროგრესიული მასალების
ტრიკოფაზული გარემონტი

თ. მოსეშვილი, ე. ბამბარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამედიცინო დანიშნულების მრავალფენიანი კომპოზიციური მასალებისათვის ტრიკოტაჟული კარგასების შერჩევა ხორციელდება არსებული სხვადასხვა სახის მასალების ანალიზის საფუძველზე. კომპოზიციურ მასალებში გამოყენებულ ტრიკოტაჟს შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა სტრუქტურა, რაც განპირობებულია სხვადასხვა სახის ხლართებითა და ზედაპირული სიმჭიდროვით. ისინი განსხვავდებიან გამოყენებული ძაფების ან ბოჭკოების სახით, ფერით, პოლიმერების ხაზობრივი სიმჭიდროვით. მაარმირებელი კომპონენტის და პოლიმერული მატრიცის სხვადასხვა სახის კონსტრუქციის ინდივიდუალურობა განიხაზღვება მთავრობით მთავრობით კონსტრუქციის კონკრეტული დანიშნულებით და პროექტირების საწყისი ეტაპით.


პოლიმერული აფსკების, საფარების და მათ ფუძეზე შექმნილი არმირებული პოლიმერული მასალების საექსპლუატაციო თვისებების მათი გამოყენების სფერო განსაზღვრავს. ეს თვისებები შეიძლება იყოს: გარეგნული სახის შეფასება, სისქის განსაზღვრა, სიმტკიცე გაჭიმვისას, ფარდობითი წაგრძელება, ზედაპირული სიმჭიდროვე, ჰაერშედწევადობა, მოქნილობა, წყლის შთანთქმა, თბომედეგობა, ორთქლშედწევადობა, წინააღმდეგობა სტაბიკური დატვირთვის მიმართ, კარგასის ძაფების დაჭიმვის უნარი, აღგეზია და ა.შ.

ნებისმიერი ტექნიკური გადაწყვეტილების დამუშავებისას, (მათ შორის მრავალფენოვანი კომპოზიციური ტრიკოტაჟის), აუცილებელია ჯერ დადგინდეს კომპოზიციის სტრუქტურა, რაც მოიცავს: არსებული სხვადასხვა სახის მასალების ანალიზის საფუძველზე ყველა კომპონენტის მახასიათებლების სწორ შერჩევას, მათი ურთიერთდაქვემდებარების და შევსებადობის უზრუნველყოფას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო დანიშნულების მრავალფენიანი კომპოზიციური მასალებისათვის, რომლებშიც ტრიკოტაჟული ფერა შესაძლოა დამუშავებული იყოს სპეციალური რეაგენტებით ან სამკურნალო საშუალებებით.

კომპოზიციურ მასალებში გამოყენებულ ტრიკოტაჟს შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა სტრუქტურა, რაც განპირობებულია სხვადასხვა სახის ხლართებითა და ზედაპირული სიმჭიდროვით. ისინი განსხვავდებიან გამოყენებული ძაფების ან ბოჭკოების სახით, ფერით, პოლიმერების ხაზობრივი სიმჭიდროვით. მაარმირებელი კომპონენტის და პოლიმერული მატრიცის სხვადასხვა სახის კონსტრუქციის ინდივიდუალურობა განიხაზღვება მთავრობით კონკრეტული დანიშნულებით და პროექტირების საწყისი ეტაპით [1].

პრაქტიკაში ხშირად გვხდება კომპოზიციური მასალები, რომლებშიც მაარმირებელ შემავსებელს წარმოადგენს ბადისებრი ქსოვილი. მათ

გამოიყენებენ სხვადასხვა დანიშნულების საფეიქრო ნაკეთობებში, რადგან ჩვეულებრივ ქსოვილებთან შედარებით ისინი უფრო მდგრადი არიან ძაფების ძვრის მიმართ. ასეთ ქსოვით კონსტრუქციას ეწოდება წვნული ხლართი (ნახ.1).



ნახ.1. ქსოვითი სტრუქტურის წვნული ხლართის აღნაგობა.

როგორც ცნობილია, ქსოვილი – წარმოადგენს ძაფთა ორი პერპენდიკულარული სისტემისგან შემდგარ კონსტრუქციას – საფეიქრო ტილოს. ჩვეულებრივ ქსოვილში ქსელის ძაფების გადახლართვა მისაქსელის ძაფებთან, მათ შორის არსებული სივრცე (ფორი) ქმნის ბადისებრ ფაქტურას. წვნული ხლართის ქსოვილი კი შეიცავს ორი სახის ქსელის ძაფებს – ფუძის ქსელის ძაფებს და წნული ქსელის ძაფებს. ფუძის ქსელის ძაფები ყოველთვის განლაგდებიან მისაქსელის ძაფების ქვემოთ და ქმნიან ქვედა ხახას. წნული ქსელის ძაფები კი განლაგდებიან მისაქსელის ძაფების ზემოთ და ქმნიან ზედა ხახას. წნული ხლართის ქსოვილის წარმოება ხდება იმ დროს, როდესაც ხახაში მისაქსელის ძაფის შეუვანის შემდეგ წნული ქსელის ძაფი განლაგდება ფუძის ქსელის ძაფისაგან ხან ერთ მხარეს და ხან მეორე მხარეს. როდესაც გვაქვს ასეთი სახით ქსელისა და მისაქსელის ძაფების გადახლართვა, ბადისებრი ფაქტურის ქსოვილი ხდება უფრო მდგრადი გაწევის მიმართ, აქვს ბადისებრი კონსტრუქცია და თავისუფალი განლაგება ქსელის და მისაქსელის მიმართულებით.


გარდა წნული ქსოვილისა, არსებობს კიდევ ბადისებრი ტრიკოტაჟული ტილოების მრავალი სახეობა. ისინი, ჩვეულებრივად, შედგებიან: მხოლოდ მარყუჟებისაგან, მარყუჟებისა და ნამატებისაგან ან განაბმებისაგან, მარყუჟებისაგან, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან დამატებით ძაფებთან და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სწორედ მარყუჟი აძლევს ნებისმიერ ტრიკოტაჟულ ტილოს ან ნაწარმს ბადისებრ ფაქტურას, ანუ კულირების სიღრმე იძლევა მარყუჟის განსაზღვრულ სირგძეს. მაგრამ მარყუჟის თანაბრიანობა მკაცრად შეზღუდულია საქსოვი მანქანის კლასითა და გადასამუშავებელი ნედლეულის ხაზობრივი სიმკვრივით. ბადის უჯრედის თანაბრიანობისა და გეომეტრიული ფორმის შეცვლა შესაძლებელია ქსოვის პროცესში.

სტრუქტურის წარმოქმნის დროს ქსელნაქსოვი ფილეური ტრიკოტაჟი წარმოადგენს ტრიკოტაჟულ ხლართს, რომელსაც გააჩნია ბადისებრი სტრუქტურა. ფილეური ხლართი წარმოადგენს ქსელნაქსოვ, ძნელად დასაშლელ ტრიკოტაჟს ბადისებრი ფაქტურით, რომელშიც მეზობელ მარყუჟების სვეტებს შორის ერთ ან რამოდენიმე რიგში არ არსებობს კავშირი. აღნიშნული ტრიკოტაჟის გამომუშავება ხდება ერთ ან ორფანტურიან ქსელნაქსოვ ტრიკოტაჟულ მანქანებზე. ასეთი სახის ტრიკოტაჟის წარმოება ხდება ერთი ან რამოდენიმე სისტემის ძაფებისაგან. ფილეური ტრიკოტაჟში ღრებო წარმოიქნება მარყუჟთა რიგებში, შებრუნებული მარყუჟებით. ღრებოების

განლაგება, ზომები და გეომეტრიული ფორმა დამოკიდებულია ხლართზე, ძაფების სავარცხელში გატარებაზე, რის შედეგად იქმნება სიმაღლის რაპორტი – R_H და განის რაპორტი – R_e .

მაგალითად, ძაფების განლაგება „მაუდი-მაუდი“ წესით ქმნის რომბის ფორმის წვრილ უჯრედებს. ყოველი უჯრედი ასეთ ტილოში შემოკავებულია მარყუჯების C , C_1 , Π , Π_1 ოთხი ღეროსა

და ოთხი განაბმით (ნახ.2). უჯრედის გვერდის მაქსიმალური ზომა a უდრის მარყუჯის ღეროს სიმაღლეს.



ნახ. 2. მარტივი ფილეური ტრიკოტაჟის „მაუდი-მაუდის“ ხლართის სტრუქტურა და გრაფიკული ჩანახაზი. t_b – უჯრედის სიმაღლე; t_r – უჯრედის სიგანე; C, C_1, Π, Π_1 - მარყუჯების ღეროები; a - ღეროს სიმაღლე; Γ_1 და Γ_2 – სავარცხლები; R_H და R_e – სიმაღლის და სიგანის რაპორტი.

მარმილებელი შემავსებლის გამოყენება რამოდენიმეჯერ აუმჯობესებს პოლიმერული მასალის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. მაგრამ ბადისებრ ქსოვილს გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანება, რომელიც გამოწვეულია ქსელის და მისაქსელის გადაკვეთის ადგილებში ძაფების ძვრის უნარით (გაწევით), რის შედეგად წარმოიქმნება დაბაბულობა და მასალის განშრევება. გარდა ამისა, ბადისებრი კარკასის უჯრედები არ არიან ერთგვაროვანი და არ გააჩნიათ ერთნაირი ფორმა. ნახევარფაბრიკატებში ქსელისა და მისაქსელის ძაფების ხაზობრივი განლაგების გამო აღინიშნება ცალკეული ძაფების ამოწევა მასალის ზედაპირიდან. ფენოვან მასალებში გაკერვისას კი ასეთი ქსოვილის უარყოფითი თვისება – „ძაფების ძვრა“ თავს იჩენს, რაც აქვეითებს მათ საექსპლუატაციო მახასიათებლებს [1].

ბადისებრი ტრიკოტაჟული ტილოების უპირატესობა ბადისებრ ქსოვილებთან შედარებით იმაშია, რომ მათ არ გააჩნიათ გაწევის, ჩამოშლის უნარი, უჯრედების ზომების და გეომეტრიული ფორმის, ზედაპირული სიმჭიდროვის ფართო ვარირების შესაძლებლობა.

ფილეური ხლართის ტრიკოტაჟის თვისებები განისაზღვრება ტრიკოტაჟის საბაზო ხლართებით, მაკროსტრუქტურის ტიპით, რომელზე დამოკიდებულია ზომები, ფორმა და ღრებოების წარმოქმნის წესი ქსოვის ღროს. მარყუჯების სტრუქტურის ორიენტაცია, რომელიც ასასიათებს ყველა სახის ტრიკოტაჟს, ანიჭებს ტილოებს სხვადასხვა თვისებებს. საბაზო ხლართის სახეზე, ქსოვის მეთოდზე დამოკიდებულია ტილოს გარე და უკუდმა პირის აღნაგობის ხასიათი,

ფაქტურა, სისქე, ჭიმვადობა, დრეკადობა, ჩამოშლის უნარი, ფორიანობა და სხვა [2].

მრავალფენიანი კომპოზიტების კარგასის ერთგვარ სახეობად შესაძლებელია გამოყენებული იყოს უგრეხი (შეწებილი ნართისაგან) მიღებული ტრიკოტაჟი [3]. უგრეხი ნართი ფორმირდება დისკრეტული ბოჭკოებისაგან, რომლებიც ნაცვლად შეგრეხისა, ერთმანეთთან დაკავშირებული არიან შეწებვით. მზა ტრიკოტაჟის გამოყვანის პროცესში შემწებავი ნივთიერება გამოდის მასალიდან და ნაწარმში რჩება პარალელურად განლაგებული ბოჭკოთა კონები, რომლებიც ხლართით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ნახ.3 მოცემულია უგრეხი ნართისაგან დამზადებული ტრიკოტაჟული ტილოს მიკროსურათი.



ნახ.3. უგრეხი ნართისაგან დამზადებული ტრიკოტაჟული ტილოს
მიკროსურათი.

როგორც ფოტოსურათიდან ჩანს, მარყუეთა შორისი ფორები და ასევე, ბოჭკოთაშორისი ფორების სიდიდეები განაპირობებენ მატრიცის მაქსიმალურ შეღწევადობას ტრიკოტაჟის სტრუქტურაში. იმის გამო, რომ ნაწარმში დარჩენილია მხოლოდ ბოჭკოთა კონები და მაფი, როგორც მისი შემადგენელი აღარ არსებობს, შეუძლებელია ტრიკოტაჟის რდვევა. ეს კი ძალზე დადებითი თვისებაა, რაც განაპირობებს კარგასის მდგრადობას და კომპოზიტის სიმტკიცეს [4].

ამრიგად, ტრიკოტაჟული კარგასების შერჩევისას საჭიროა დადგინდეს ნაწარმის გამოყენების სფერო და დანიშნულება. ეს მნიშვნელოვანია სამედიცინი დანიშნულების ტექსტილისათვის, განსაკუთრებით მრავალფენიანი მრავალფუნქციური ტექსტილისათვის, სადაც ერთერთ ფენად შესაძლოა გამოყენებული იყოს სპეციალური პრეპარატებით ან სამკურნალო საშუალებებით დამუშავებული ტრიკოტაჟი.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Ф. Рахимов . «Основы разработки конструкций и технологий трикотажноармированных полифункциональных композитов». «Янги аср авлоди», 2013 г;
2. Трикотаж филейный. Двухслойный основовязаный филейный трикотаж.
http://inquaid.clan.su/news/trikotazh_filejnyj_dvukhslojnyj_osnovovjazanyj_filejnyj_trikotazh/2014-06-03-29,

3. Т. Мосешвили, Е. Гамкелидзе. Исследование структуры бескруточной пряжи. Национальная академия наук Азербайджана, Гянджинское отделение. «Сборник известий». № 52. 2013
4. Т. Мосешвили. Возможности использования бескруточных текстильных материалов при формировании трансдермальных терапевтических систем. "novacia". quTasis samecniero centri. №11 2013

Композиты

ТРИКОТАЖНЫЕ КАРКАСЫ ДЛЯ ТЕКСТИЛЬНЫХ КОМПОЗИЦИОННЫХ МАТЕРИАЛОВ МЕДИЦИНСКОГО НАЗНАЧЕНИЯ

Т. МОСЕШВИЛИ, Е. ГАМКРЕЛИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Выбор трикотажных армирующих материалов для композитов медицинского назначения происходит на основе анализа свойств и структур разных видов текстильных материалов. Структура трикотажа обусловлена видами переплетения и поверхностной плотностью. Они отличаются волокнистым составом, структурой и линейной плотностью нитей. В зависимости от назначения готовой продукции и сферы применения композита определяется вид армирующих компонентов и полимерной матрицы.

Composites

THE KNITTED REINFORCEMENTS OF MEDICAL-PURPOSE

TEXTILE COMPOSITE MATERIALS

T. MOSESHVILI, E. GAMKRELIDZE

Akaki Tsereteli State University

Summary

Selection of the knitted reinforcements for medical-purpose multi-layer composite materials is based on the analysis of various types of materials. The knitted fabric used in the composite materials may have different structures, which is due to different types of weavings and surface density. They differ in the types of used threads or fibers, color, and polymers' linear density. The distinction of the different types of the design of the reinforcing components and a polymer matrix is determined by the specific purpose of finished products and the initial stage of design.

იმპრეტის რეგიონში განხორციელებული პროექტები

დალი სილაბამ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ხტატიაშვილი განხილულია იმერეთის რეგიონში განხორციელებული პროექტები აგრობიზნესის განვითარების მიმართულებით, რამდენადაც რეგიონებში და მათ შორის იმერეთში, უნდა მოხდეს პრიორიტეტებული დარგების განვითარება და სახელმწიფოსაცან გარკვეული ხელშეწყობა.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა სოფლის მურნეობის სამინისტროს სხვადასხვა პროექტების (მცირემიწიან ფერმერთა, საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, შედავათიანი აგროკურედიტი, დანერგვა მომავალი, აგროდაზღვევის პროცესი, სოფლის მურნეობის პროექციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესი, ახალი და გაფართოებული საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის წყალთუზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღწერვის პროცესი) შესწავლა, მათი დაფინანსება, თანადაფინანსება და განხორციელება.

დასკვნის სახით გვინდა კოქვათ რომ როგორც წარმოადგენილი მასალებიდან ჩანს, იმერეთის რეგიონში გარკვეული პროექტებია განხორციელებული, თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ აგრობიზნესის ხელშეწყობა ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ჩამოაყალიბოს და შექმნას გლეხისთვის თავისუფალი და წამახალისებელი გარემო. დღევანდველი სიტუაცია ძალზედ მძიმეა რეგიონებში, სადაც ახალგაზრდა თაობის მიგრაცია პიქს აღწევს. სოფლად მხოლოდ ხანში შესულები ცხოვრობენ. სახელმწიფომ უკურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საკითხი და მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდა ცოცხალი ძალის რეგიონებში დაბრუნება. სახელმწიფომ უნდა განხაზღვროს უპირველესად თუ რა პოტენციალი გააჩნია ამა თუ იმ რეგიონს, ხოლო შემდგომ უნდა გადადგას კონკურენციული ნაბიჯი, მოცემული პოტენციალის გამოყენებისათვის.

აგრობიზნესის განვითარება უნდა მოხდეს რეგიონებში პრიორიტეტული დარგების მიხედვით. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი რელიეფური და კლიმატური პირობების ფონზე ეს კველაფერი დიდ ძალის მემკვავე და მკაფიო დაგეგმარებას მოითხოვს. ყოველი რეგიონი გამოირჩევა თავისებურებებითა და განვითარების სპეციფიკური კუთხით. იმერეთის მხარე გამოირჩევა ცერეცოს, და სხვა სასათბურე მეურნეობებით, მევენახობის, მეფრინველების და მესაქონლეობის დარგებით.

განვიხილოთ იმერეთის რეგიონში განხორციელებული პროექტები:

პროექტების მართვის სააგენტო

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

პროექტის მიზანი: სოფლად მცხოვრები ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე მძიმე ეკონომიკური კითარების გამო სასოფლო-

სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ, ხვნის პროცესში დახმარება. პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასეყიდლოდ მირეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე.წ. „აგრობარათი“. სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში იმერეთის რეგიონის ბენეფიციართათვის გამოყოფილი სარგებელი:

2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში იმერეთის რეგიონში განისაზღვრა 165,697 ბენეფიციარი. 2016 წელს

ბენეფიციარებმა მიიღეს 9,830,215 ლარის ღირებულების სარგებელი. დამუშავდა 40,174 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2015 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში განისაზღვრა 165,079 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს 9,755,629 ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 41,372 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2014 წელს, იმერეთის რეგიონში, პროექტის ფარგლებში, განისაზღვრა 164,458 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს 15,162,554 ლარის

ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 40,420 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2013 წელს, საგაზაფხულო სამუშაოების პროექტში იმერეთის რეგიონში განისაზღვრა 154,270 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს 35,477,365 ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 39,472

ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

შედაგათიანი აგროკრედიტი

პროექტის მიზანი: აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. დღეისათვის, შედაგათიანი აგროკრედიტის პროექტში 13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაციაა ჩართული. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი.

შედაგათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში,

31.01.2017 წლის მდგომარეობით, იმერეთში გაიცა:

საბრუნავი საშუალების მიზნობრიბით • 6,310,337 ლარის ღირებულების 341 სესხი • 150,286 დოლარის ღირებულების 4 სესხი ძირითადი საშუალების მიზნობრიბით • 21,108,065 ლარის ღირებულების 973 სესხი • 11,359,789 დოლარის ღირებულების 183 სესხი

ყველაზე მეტი სესხი იმერეთის რეგიონში აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიცა შემდეგი მიმართულების დარგებზე: სასათბურე მეურნეობა, მეფრინველეობა, მესაქონლეობა.

პროექტი დანერგე მომავალი პროექტი მიზანად ისახავს: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-გაონომიკური მდგომარეობა.

20.02.2017 მდგომარეობით, იმერეთის რეგიონში, პროექტის ფარგლებში, დამტკიცებულია 22 პროექტი.

სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 691,189 ლარი. ბალების გასაშენებელი ფართობი შეადგენს 154 ჰა-ს. პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში, დაფინანსებული აულტურის ყველაზე დიდი წილი უკავია კაკლის, თხილის, ლურჯი მოცვის, ტყემლის და მაყვლის ბაღებს.

აგროდაზღვევის პროგრამა პროგრამის მიზანი: აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს. აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვეო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

იმერეთის რეგიონში, 2014-2015 წლებში. გაცემულია 95 პოლისი. დაზღვეულ იქნა 115,101 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 40 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ 5,948 ლარი შეადგინა.

2016 წელს გაცემულია 492 პოლისი. დაზღვეულ იქნა 173,772 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 77 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ 9,633 ლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი

პროექტის მიზანი: საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

31.12.2016 მდგომარეობით, იმერეთის რეგიონში დამტკიცებულია 3 პროექტი ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 1,552,482 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 620,993 აშშ დოლარი. ასევე, პროექტი ემსახურება სანედლეულო ბაზის განვითარებას.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა პროგრამის მიზანი:

ჩაის, როგორც აგრარული კულტურის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა და შედეგად, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

09.02.2017 წლის მდგომარეობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში დამტკიცებულია 4 განაცხადი. ჯამური ფართობი შეადგენს 44 ჰა-ს. პროგრამის ჯამური ღირებულება შეადგენს 123,198 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 98,559 ლარს.

ახალი და გაფართოებული საწარმოები იმერეთის რეგიონში გაიხსნა 10 ახალი საწარმო და გაფართოვდა 65 საწარმო.

- ახალი საწარმო (7 აგროპრედიტი, 1 აწარმოება საქართველოში, 2 თანადაფინანსება) სრული ინვესტიცია - 3,174,987 აშშ დოლარი • საბუთარი წილი - 1,545,156 აშშ დოლარი • შედავათიანი აგროკრედიტი - 1,208,838 აშშ დოლარი. გრანტი - 420,993 აშშ დოლარი

2012 წლისთვის, იმერეთის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 970 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო დაშრობა 1 200 ჰექტარზე ხდებოდა. 2012 წლიდან დღემდე, რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 16 სარეაბილიტაციო პროექტი, სამუშაოების ჯამური ღირებულებით 9 702700 ლარი. რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 219,4 კმ საირიგაციო არხს, 112,3 კმ სადრენაჟე არხს, 6 ერთეულ სათავე ნაგებობასა და სხვა პიდროტექნიკურ ნაგებობებს. ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში, 2013-2015 წლებში, იმერეთის რეგიონში გაიწმინდა და მოწესრიგდა 450 კმ სამელიორაციო არხი. სულ მოწესრიგდა 666 ერთეული სხვადასხვა პიდროტექნიკური ნაგებობა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, იმერეთის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი ფართობი 13 760 ჰექტარამდე გაიზარდა, ხოლო დამშრობი სისტემები 4 450 ჰექტარს ემსახურება. დღისათვის რეგიონში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 9 681 800 ლარის ღირებულების 5 სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის დასრულების შედეგში, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 3 460 ჰექტარით გაიზრდება, ხოლო დამშრობი სისტემები დამატებით 515 ჰექტარს მოემსახურება.

2017 წლის მარტის მდგომარეობით რეგიონის სულ 1505 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის, იმერეთის რეგიონში - 126, აქვთან:

- სამტრედია -15 • ზესტაფონი - 5 • ვანი -21 • ბაღდათი -12 • ტყიბული -9 • წყალტუბო -14 • ხონი -12 • თერჯოლა-7 • ჭიათურა -15 • ხარაგაული -3 • საჩხერე -11 • ქუთაისი2.

იმერეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის ძირითადი დარგებია: მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და მემარცვლეობა.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამა“ მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკის შედავათიან ფასად, 900 ლარად (რაც მისი ღირებულების 24%-ს შეადგენს) კოოპერატივებისათვის გადაცემას ითვალისწინებს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი სათიბით, გუთნით, კულტივატორით და ხელის სათეხი. ევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას, დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათეხი 1ლარად. იმერეთის რეგიონში 55 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 119 აგროკომპლექტი და 3 ხელის სათეხი.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სკები, თაფლის საწური (ციბრუტი) და ჯამურად 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ჭურჭელი 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცემათ. პროგრამაში მონაწილე კოოპერატივები იღებენ ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის 714 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე, პროგრამაში მონაწილეს უფლება აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში გამოსაკვლევად წარმოადგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ.

იმერეთის რეგიონში 30 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო 2782 სკა, 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა 3 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), 3 კოოპერატივიდან, თითოეულმა ჯამურად, 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მენეჯერებისა და წევრების გადამზადების სპეციალური პროგრამა 2016 წელს იმერეთის რეგიონში 89 კოოპერატივის წარმომადგენელმა გაიარა.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, იმერეთის რეგიონში გარკვეული პროექტებია განხორციელებული, თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ

აგრობიზნესის ხელშეწყობა ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბოს და შექმნას გლეხთათვის თავისუფალი და წამახალისებელი გარემო. დღევანდელი სიტუაცია ძალზედ მძიმეა რეგიონებში, სადაც ახალგაზრდა თაობის მიგრაცია პიკს აღწევს. სოფლიდ მხოლოდ სანში შესულები ცხოვრობენ. სახელმწიფომ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საკითხი და მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდა ცოცხალი ძალის რეგიონებში დაბრუნება. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს უპირველესად თუ რა პოტენციალი გააჩნია ამა თუ იმ რეგიონს, ხოლო შემდგომ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯი, მოცემული პოტენციალის გამოყენებისთვის.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. იმერეთის რეგიონში განხორციელებული პროექტები-ჩვენი სოფლი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა, მარტი 2017
2. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021
3. სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moa.gov.ge.
4. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო acada. gov. Ge

Economics & business

PROJECTS IMPLEMENTED IN IMERETI REGION

D. SILAGADZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Summary

The article examines projects implemented in the Imereti region in the direction of agribusiness development, because in regions, and in particular in the Imereti region, it is necessary to promote the priority sector with the assistance of the state.

Our objective consists in studying questions of financing, joint financing and realization of various projects of the Ministry of Agriculture (The project of promotion of small farmers; Preferential agrocredit; Transition to the future; The program of agricultural insurance; The project of joint financing of the enterprises of processing and storehouses of agricultural production; The program of rehabilitation of tea plantations; The new and expanded enterprises; Water supply of the agricultural grounds; The program for the establishment of agricultural cooperatives with mini-size agrotechnics.) their financing, co-financing and implementation

In summary we would like to tell, that the presented materials prove realization of the certain projects in Imereti region, but we should note, that the State support of agrobusiness is, as a matter of fact, creation of the free and favorable environment for the peasant.

Today's situation in the regions is very difficult, because migration of the younger generation reaches its peak. In villages live only aged. The state should not leave this problem unnoticed and should aspire to return of young alive force in regions. First of all the State should define potential of specific region, and then make a specific step for use of this potential.

Экономика и бизнес

ПРОЕКТЫ, РЕАЛИЗОВАННЫЕ В ИМЕРЕТИНСКОМ РЕГИОНЕ

Д. СИЛАГАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматриваются проекты, осуществляемые в Имеретинском регионе в направлении развития агробизнеса, так как в регионах, а в частности в Имеретинском регионе необходимо продвижение приоритетного сектора при содействии государства.

Наша цель состоит в изучении вопросов финансирования, совместного финансирования и осуществления различных проектов Министерства сельского хозяйства (Проект продвижения мелких фермеров; Льготный агрокредит; Переход к будущему; Программа сельскохозяйственного страхования; Проект совместного финансирования предприятий переработки и хранилищ сельскохозяйственной продукции; Программа реабилитации чайных плантаций; Новые и расширенные предприятия; Водоснабжение сельскохозяйственных земель; Программа оснащения сельскохозяйственных кооперативов минигабаритной агротехникой.

В заключение мы хотели бы сказать, что представленные материалы доказывают реализацию определенных проектов в Имеретинском регионе, но мы должны отметить, что Государственная поддержка агробизнеса - это, по сути, создание свободной и благоприятной среды для крестьянина.

Сегодняшняя ситуация в регионах очень сложная, т.к. миграция молодого поколения достигает пика. В деревнях живут только престарелые. Государство не должно оставлять эту проблему незамеченной и должно стремиться к возвращению молодой живой силы в регионах. В первую очередь Государство должно определить потенциал конкретного региона, а затем сделать конкретный шаг для использования этого потенциала.

06ტერნეტის ბაზითარების ტენდენციები

ცირა ბერაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში აღნიშვნულია რომ, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ადამიანის ცხოვრებაში დიდი ტემპით იზრდება, იცვლება სწავლის გარემოს ხედვა, მისი ეფექტიანობა განსაკუთრებით იზრდება Web 2.0-ის ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში ხმრავად განვითარდება. გასათვალისწინებელია, რომ მომზადებები ახალგაზრდები დროის მოთხოვნილებების შესაბამისად. კველას, კისაც კი შეხება აქვს ინტერნეტის საზოგადოებრივი დაშეგძის მოწყობილობების შეთავაზებაზე, უნდა აღიარებდეს ტექნოლოგიების განახლებით ხიცოცხლისუნარიანი ხიხტების დაგეგმვისა და ამ მიზნით დაფინანსების მოპოვების აუცილებლობას.

ინტერნეტი განათლების მიღებისა და კომუნიკაციის ყველაზე ეფექტუანი საშუალებაა. ინტერნეტი უზრუნველყოფს ადამიანის მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში და არის მისი თავისუფლების ერთ-ერთი ატრიბუტი, ეს არის ცოდნის საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობის ძირითადი საშუალება. ყველა მოქალაქისათვის ინტერნეტის წვდომის უზრუნველყოფა უნდა გახდეს მთავრობის ზრუნვის და პასუხისმგებლობის საგანი.

კვლევის თანახმად 2008 წელს ამერიკელები მოიხმარდნენ ინფორმაციას 1,3 ტრილიონი საათის განმავლობაში ანუ საშუალოდ 12 საათი დღეში. მოხმარებულმა ინფორმაციამ შეადგინა 3.6 zettabyt-i (1 zettabyt-ი შეადგენს მილიონ მილიონ გიგაბაიტს) და 10845 ტრილიონი სიტყვა, საშუალოდ 100500 სიტყვა ან 34 გიგაბაიტი ინფორმაცია ერთ მოქალაქეზე ერთ დღეში. კვლევა არ ითვალისწინებს სამსახურში მოხმარებულ ინფორმაციას. მოხმარებული ინფორმაციის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, ჩვენი ცხოვრება სულ უფრო მულტიმედიური ხდება. დღის განმავლობაში ინფორმაციას ვიღებთ მრავალი სახის წყაროდან, აქედან ინტერაქტიური წყაროების როლი სულ უფრო იზრდება.

ორწლიანი კვლევის Internet Observatory Report) თანახმად მსოფლიო ინტერნეტ-ტრაფიკი კონცენტრირებულია 30 უმსხვილესი საიტის ირგვლივ, რომლებზეც მოდის ტრაფიკის 30%. მათ შორის ყველაზე მსხვილია Google - ტრაფიკის 6%-ით.

ხუთი წლის წინად ტრაფიკი თანაბრად იყო განაწილებული ათი ათასობით ქსელს შორის. დღეს 100 უმსხვილეს ქსელზე მოდის ინტერნეტის ტრაფიკის 60%. ტრაფიკის ზრდას თანსდევს მონაცემთა გადაცემის ღირებულების შემცირება. ყოველწლიურად New Media Consortium-mi Horizon პროექტის ფარგლებში ატარებს კვლევას რათა დადგინოს, თუ რა ტექნოლოგიები მოახდენენ ყველაზე დიდ გავლენას სწავლა/სწავლებაზე უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. კვლევის

შედეგები ქვეყნიდება სპეციალური ანგარიშის (Horizon Report) სახით. ინოვაციებისა და კრეატულობის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. სულ უფრო იზრდება იმ სამუშაოების რიცხვი, სადაც მუშაკებისგან პირველ რიგში მოითხოვენ იმპროექტაციას, შემოქმედებას. აღნიშნულია, რომ განათლების სისტემამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ტენდენცია, რათა მოამზადოს ახალგაზრდები დროის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ინტერნეტი ფაქტიურად შედის საზღვრებს ვირტუალურ და რეალურ სამყაროს შორის, რომელიც გადაიქცა ვირტუალურ სივრცედ. იცვლება სწავლის გარემოს ხედვა. სწავლის გარემო აღარ არის შეზღუდული ფიზიკური სივრცით, მისი შემადგენელი ნაწილია ვირტუალური სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს „გავიდნენ“ ოთახის კედლებს გარეთ და დაუკავშირდნენ მსოფლიოს. აქვე აღნიშნულია, რომ ვირტუალურ სივრცე გაცილებით მიმზიდველია, მოქნილი, თავისუფალი ინსტრუმენტები და არა კომურციული პროდუქტები, მაგალითად, სხვადასხვა სახის სწავლის მართვის სისტემები (learning management systems).

დიდი პოპულარობით სარგებლობები ბლოგები. ვებ-გვერდების ნებისმიერ თემაზე შექმნა და განახლება მარტივი და ადვილად სელმისაწვდომია მითითებების გამოყენებით მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ყველაზე რეპრესიულ ქვეყნებშიც კი. ჭიკი-ვებ-საიტების მზარდი გამოყენება მომხმარებელს ნებისმიერი შინაარსის ადგილად დამატების საშუალებას აძლევს, ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელია ერთობლივი წერისთვის, მათ გაზარდეს ინფორმაციის ერთობლივად შექმნის შესაძლებლობა და ხელი შეუწმვეს დიდი წარმატების მქონე ონლაინ-ენციკლოპედიების შექმნას, რომელთა რაოდენობა სულ უფრო სწრაფად იზრდება. ჩნდება ონლაინ-ბიზნესის ახალი ფორმები, ელექტრონული მმართველობის ახალი ინტერაქტიული სამსახურები ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი ხდება, რაც თავის მხრივ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეების მონაწილეობის მეტ შესაძლებლობებს იძლევა. საზოგადოებრივი რესურსებისადმი გაზრდილი ყურადღების საფუძველს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დია წყაროები, რაც ცალკეულ მომხმარებელს აძლევს რეალური პოტენციალის გამოყენების საშუალებას და ანიჭებს ფართო შესაძლებლობებს.

ინტერნეტი, რომელსაც ანალოგიის მიხედვით ვალურ დასავლეთსაც უწოდებენ, შეიძლება აღქმული იყოს დანაღმულ ველად, სადაც ნაღმებად გვევლინება (დეზ)ინფორმაცია. ამგვარმა სიტუაციამ გამოიწვია პროგრამული ფილტრების უფრო ფართოდ გამოყენება როგორც ეროვნული ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის დონეზე, ასევე ბიბლიოთეკებშიც. პროგრამული ფილტრების გამოყენება თანდათან მისაღები ხდება საბიბლიოთეკო ასოციაციებისთვის.

გამოყოფილია ექსი ტექნოლოგია, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას მოახდენენ განათლებაში უახლოეს ხუთ წელიწადში. ეს ტექნოლოგიებია:

ინტერნეტის მობილური მოწყობილობები (რომელთა საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის სრული კონტენტი)

პრივატული “ლრუბელი” (cloud computing-ის უსაფრთხო გარემო) და **კონტენტი** (ტრადიციულ სახლმძღვანელოებთან ერთად სწავლაში ფართოდ გამოიყენება ინტერნეტში არსებული დია საგანმანათლებლო ინფორმაცია. ბლოგები ასეთი გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია)

ვირტუალური, გაფართოებული და ალტერნატიული რეალობები (ეს არის სხვადასხვა სიმულატორების, ვირტუალური ექსპერიმენტების, ვირტუალური თამაშების გამოყენების ფართე შესაძლებლობები)

ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სწავლა (მობილური მოწყობილობები ადვილად დაადგენენ მოსწავლის ფიზიკურ ადგილმდებარეობას და მიაწვდიან მას ამ ადგილისათვის რელევანტურ ინფორმაციას ანუ შესაძლებელი ხდება სწავლის სოციალურ კონტექსტთან დაკავშირება)

"ჰკიანი" ობიექტები და მოწყობილობები (ეს მოწყობილობები ადგილად დაუკავშირდებიან ერთმანეთს, ინფორმაციისა და მედიის სხვადასხვა ობიექტებს)

აშშ-ს განათლების დეპარტამენტის დაკავშირით SRI International-მა ჩაატარა საკმაოდ ფართომასშტაბიანი კვლევა, რომლის მიზანი იყო თნლაინ სწავლების ეფექტიანობის დადგენა, საკმაოდ საინტერესოა კვლევის დასკვნა, რომელ შიც აღნიშნულია, რომ საშუალოდ თნლაინ სწავლების პირობებში შედეგები უფრო მაღალია. უდავოა, რომ უახლოეს წლებში თნლაინ სწავლა მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. თნლაინ სწავლის ეფექტიანობა განსაკუთრებით იზრდება ჭებ 2.0-ის ტექნოლოგიების გამოყენებით. ბევრი მეცნიერი და პრაქტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს ტენდენცია სწრაფად განვითარდება. ნაციონალური მეცნიერების ორგანიზაციამ (National Science Foundation ([NSF](#))) შექმნა [56 კილობიტი/წამში](#) სიჩქარის მქონე ქსელი, რომელსაც იყენებდნენ კომპიუტერები სახელად "fuzzballs". მიმდინარე წელში შ -მა დაასპონსორა მაღალ სიჩქარიანი 1.5 [მეგაბიტი/წამში](#) სიჩქარის ქსელი, რომელიც შემდგომ გახდა [NSFNet](#). ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა 43 %-ით გაიზარდა. აღნიშნულის შესახებ საუბარია Facebook -ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევა „State of Connectivity 2015: A Report on Global Internet Access“. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, წლის ბოლოს 3,2 მლრდ ადამიანს ქონდა წვდომა ინტერნეტთან. 2014 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი - 2,9 მლრდ-ს შეადგენდა, შესაბამისად ზრდა 43 %-ის დონეზე Facebook-ის შეფასებით, ბოლო 10 წლის იზრდებოდა.

ქვეყნების მიერ გამოქვეყნებულ კვლევა „State of Connectivity 2015: A Report on Global Internet Access“ მომხმარებელთა რაოდენობა უფრო უფრო და 200-300 მლნ-ით ის ელექტრონული მზადებელის შეფასების მეთოდებს შორის შეიძლება გამოიყოს პარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია „Readiness for the Networked World: A Guide for Developing Countries“ (<http://www.readinessguide.org>), რომელიც ეფუძნება მზადებელის ინდიკატორების შემდეგ ხელში:

1. ქსელური მიღწევადობა (განისაზღვრება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელებთან მიღწევადობის დონე, ღირებულება და ხარისხი, ფასდება აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან მიღწევადობა და არსებული. სერვისები);

2. ქსელური (დისტანციური) სწავლება (ინტეგრირებულია თუ არა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლების სისტემაში სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით? არსებობს თუ არა საზოგადოებაში - ქვეყანაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამები?);

3. ქსელური საზოგადოება (რა დონით იყენებს მოსახლეობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სამუშაოზე და პირადი საჭიროებისათვის, უფრო დღიურ ცხოვრებაში? როგორია საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიებზე მიღწევადობისა და მათი გამოყენების დონე სამუშაო ადგილებზე?)

4. ქსელური ეკონომიკა (რა დონით იყენებენ ბიზნეს და სახელმწიფო სტრუქტურები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საზოგადოებასა და ერთმანეთთან ურთიერთობისას?)

5. ქსელური პოლიტიკა (რა დონით ხორციელდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისთვის ხელშეწყობა ან ხელის შეშლა?)

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ზ. ბაიაშვილი, „საოცისე კომპიუტერული პრიგრამები“, თბ., 2011
2. <http://www.internetworldstats.com/asia/ge.htm>
3. <http://www.internetworldstats.com/stats3.htm>

Наука о информации

ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ ИНТЕРНЕТА

Ц. БЕРАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье отмечается, что роль информационных технологий возрастает в жизни человека, меняет видение учебной среды, а его эффективность возрастает, особенно с использованием технологий Web 2.0, эта тенденция будет быстро развиваться в ближайшем будущем.

Следует учитывать, что молодые люди готовятся в соответствии с требованиями времени. Любой, кто имеет доступ к оборудованию доступа в Интернет в Интернете, должен признать необходимость планирования жизнеспособной системы для модернизации технологий и получения финансирования для этой цели.

Informacion science

TRENDS IN THE DEVELOPMENT OF THE INTERNET

TS. BERADZE

Akaki Tsereteli StateUniversity

Summary

The article notes that the role of information technology is growing in a person's life, changing the vision of the learning environment, and its effectiveness is increasing, especially with the use of Web 2.0. believe that this trend will develop rapidly in the near future.

It should be borne in mind that young people are trained in accordance with the requirements of the times. Anyone who has access to Internet access equipment on the Internet must recognize the need for planning a viable system for upgrading technology and obtaining funding for this purpose.

06ტერნეტ ტურიზმის მსოფლიო ბაზარი

ნათელა ლომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ონლაინ მოძიების და დაჯავშნის შესაძლებლობამ რადიკალურად შეცვალა ტურიზმის გლობალური ტენდენციები. იგი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მარტივად და სწრაფად მოიძიოს და დაჯავშნოს მისთვის სახურველი ტურისტული პროდუქტით თუ მომსახურება. შესაბამისად, ის მოიხმარს იმ პროდუქტს, რომელიც მსგავსი კომფორტის საშუალებას უქმნის. აქედან გამომდინარე, ინტერნეტ საინფორმაციო და დაჯავშნის სისტემებში წარმომადგენლობითობა კომპანიისთვის გადამზევები მნიშვნელობისაა.

სტატიის მიზანს წარმოადგენს მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია ინტერნეტისა და სოციალური შეფასებების საშუალებებზე, რომლითაც მომხმარებელი გახდა ინდუსტრიის ცენტრალური მოთამაშე. სტატიიდან გამომდინარე კომპანიას უწევს მაქსიმუმის გაკეთება, რათა მომხმარებელმა დადგებითი შეფასებები გაავრცელოს მისი პროდუქტის შესახებ ინტერნეტ სივრცეში კებ-გერდის საშუალებით, რომლის წარმატების მიზეზი და მომხარებელთა ნდობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთი მარტივი ფაქტორით - მომხმარებლების შეფასებებით.

ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს გლობალურ მოვლენას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწრაფი განვითარება, გაფართოება და დივერსიფიკაცია. იგი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას, სიღარიბის შემცირებას, დასაქმების ზრდას და იძლევა პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომოკურ სარგებელს.

რამდენიმე ათეულ წელიწადზე მეტია რაც ტურიზმის ინდუსტრია ორიენტირებულია Iსტ-ის პოტენციალის ათვისებაზე, თუკი ადრეულ პერიოდში ტურისტული ინდუსტრიის ნახევარი ელექტრონულად საქმიანობდა ტურიზმის ბიზნესში, დღეს კომპანიების ძირითადი ნაწილი (95%) პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ინტერნეტთან.

ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა უნარ-ჩვევები საჭიროა იმისათვის, რომ ტურიზმის საწარმოები გაუმკლავდნენ გამოწვევებს და ცვლილებებს ელექტრონულ ბაზარზე. ერთ-ერთი უმთავრესი უნარია ძირითადი მარკენტინგული პრიციპების გაგება (მიზანი, სტრატეგია, ტაქტიკა) და წლიური შემოსავლების ეფექტიანობის მართვა ყოველდღიური ანალიზის მეთოდით.

ტურიზმში ინტერნეტის როლი აქტუალურია შემდეგი მიმართულებით: კვლევები, ინფორმირება, პროდუქტების წარდგენა/გაცნობა, მომსახურების გაწევა, ინტერაქტიული ურთიერთქმედება, ტურისტული ადგილების აღწერა, ტურისტული

პოტენციალის წარმოჩენა, ვიდეო ტურებისა და მარშრუტების ვიზუალური წარმოდგენა, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთქმედება და დასენტრიზაცია დაგენერირება

დღეს, ტურისტული კომპანიების ფუნქციები ინტეგრირებულია ინტრანეტ და ექსტრანეტ ქსელის რესურსში. შედეგად, ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ კომპანიებს მოუწიათ რეორგანიზება, უკვე არსებულ გარემოსთან ადაპტირება. ტურისტულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი პროფილური საქმიანობის გადატანა ინტერნეტ სივრცეში და გლობალურ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

ინტერნეტმა გარდაქმნა ტურიზმის ლანდშაფტი და წარმოდგა ახალი ტურისტული პროდუქტებითა და მომსახურებით. ონლაინ ტექნოლოგიურ წესრიგში ტურისტულ კომპანიებს აქვს განსაკუთრებული სარგებელი.

დღესდღეობით, ონლაინ მოძიების და დაჯავშნის შესაძლებლობამ რადიკალურად შეცვალა ტურიზმის გლობალური ტენდენციები. იგი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მარტივად და სწრაფად მოიძიოს და დაჯავშნოს მისთვის სასურველი ტურისტული პროდუქტი თუ მომსახურება. შესაბამისად, ის მოიხმარს იმ პროდუქტს, რომელიც მსგავსი კომფორტის საშუალებას უქმნის. აქედან გამომდინარე, ინტერნეტ საინფორმაციო და დაჯავშნის სისტემებში წარმომადგენლობითობა კომპანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, თუ მას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება სურს. სწორ დროს, სწორ ადგილზე განთავსებულ ტურისტულ ინფორმაციას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს და გაზარდოს პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნა კომპანიის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანია, ტურიზმის და მასპინძლობის სფეროში ჩართულმა კომპანიებმა განსაზღვრონ:

1) რამდენად სრულფასოვნად იყენებენ იმ შესაძლებლობების სპეციალისტების სამსახურებს;

2) უზრუნველყოფები თუ არა ისინი მომხმარებლისთვის სრულფასოვან ინფორმირებულობას მათი პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ ინტერნეტის საშუალებით;

3) ახდენენ თუ არა ისინი ამ ინფორმაციის მიწოდებას სხვაზე მარტივად, სწრაფად და ეფექტუანად.

სამწუხაროდ, ქართული კომპანიები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, ნაკლებ უზრადღებას აქცევენ ინტერნეტის საშუალებით გაყიდვების სტიმულირებას. დაჯავშნის სისტემებზე ზედმეტია საუბარი, როდესაც ხშირად ვებ-გვერდსაც კი ვერ ვპოულობთ, სადაც კომპანიის შეთავაზებებს გავეცნობოდთ. ბლოგის მიზანია, გააცნოს მოგზაურობის დაგეგმვის თანამედროვე ტენდენციები ტურიზმის და მასპინძლობის სფეროში ჩართულ კერძო სექტორს, რაც მათ დაეხმარება სწორად დაგეგმონ საერთაშორისო ინტერნეტ საინფორმაციო სისტემებში წარმომადგენლობითობა.

წარმოგიდგენთ საერთაშორისო ვებ-გვერდებს, რომლებიც გაგიადვილებთ თქვენი ტურისტული პროდუქტის თუ მომსახურებისთვის ეფექტუანი საინფორმაციო უზრუნველყოფის ფორმირების პროცესს:

1. Booking.com - ნებისმიერი ტიპის განთავსების საშუალების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.

2. TripAdvisor - პვების ობიექტებისა და სასტუმროების მოძიების სისტემა.

3. Yahoo!Travel - ტურისტული დირშესანიშნაობებისა და ტურების საძიებო სისტემა.

4. xpedia - ტურ-პაკეტების და ტურისტული შეთავაზებების საძიებო და დაჯავშნის სისტემა.
5. riceline - ტურისტულ მომსახურებებზე ფასდაკლებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
6. otels - სასტუმროების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
7. Travelocity - ტურ-პაკეტების და ტურისტული შეთავაზებების საძიებო და დაჯავშნის სისტემა.
8. ayak - სატრანსპორტო და განთავსების საშუალებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
9. rbitz - სატრანსპორტო და განთავსების საშუალებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
10. Hotwire - ტურისტულ მომსახურებებზე ფასდაკლებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
11. HomeAway - ტურისტულ მომსახურებებზე ფასდაკლებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
12. TravelZoo - ტურ-პაკეტების და ტურისტული აქტივობების საძიებო და დაჯავშნის სისტემა.
13. AirBnB - ბინების, კოტეჯების და საოჯახო სასტუმროების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
14. onelyPlanet - ტურისტული ღირშესანიშნაობების და აქტივობების საძიებო სისტემა.
15. Vaitor - ინდივიდუალური ტურისტული კონსულტაციებისა და ტურების საძიებო სისტემა.

ყველა ზემოთ აღნიშნული ვებ-გვერდის წარმატების მიზეზი და მომსახურებელთა ნდობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთი მარტივი ფაქტორით - მომსახურებლების შეფასებებით. მომსახურებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ პროდუქციაზე სხვა მომსახურებელი, რომელმაც უკვე გამოსცადა ის. ვინაიდან, აღნიშნული საიტები წარმოადგენერ საძიებო სისტემებს, მათი მიზანი არ არის ნება გამოიყენოს ინფორმაციის დამალვა (როგორც ამას კომპანიების უმრავლესობა აკეთებენ საკუთარ სოციალურ პროფილებზე). ეს საიტები, მომსახურებელს აძლევენ შესაძლებლობას ნახონ პროდუქციის შესახებ როგორც დადგითი ასევე უარყოფითი შეფასებები, რაც მათ ოპტიმალური არჩევანის გაკეთებაში ეხმარებათ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიებს ინტერნეტის მეშვეობით საშუალება ეძლევათ შეაღწიონ საზღვარგარეთის ბაზრებზე, ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც არეგულირებს ექსპორტსა და იმპორტს, გარკვეულ ზეგავლენას მაინც ახდენს ელექტრონულ ბიზნესზე. ელექტრონულ ვაჭრობას გააჩნია დიდი პოტენციალი, რადგან ინტერნეტით მომსახურებელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ინტერნეტისა და სოციალური შეფასებების საშუალებით მომსახურებელი გახდა ინდუსტრიის ცენტრალური მოთამაშე. კომპანიას უწევს მაქსიმუმის გაკეთება, რათა მომსახურებელმა დადებითი შეფასებები გაავრცელოს მისი პროდუქციის შესახებ ინტერნეტ სივრცეში, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტურისტული ბაზრის და ყველა ტიპის სამომსახურებლო სეგმენტის წარმოამადგენელი არის თავმოყრილი. ამ გლობალური ტენდენციის

უგულვებელყოფა კომპანიის მხრიდან არარაციონალურია და დროა ქართულმა კომპანიებმაც გააცნობიერობ მისი მნიშვნელობა.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. შებლაძე, ლ. დოლიკაშვილი - ტურიზმის მარკეტინგი. სახელმძღვანელო თბილისი 2009წ.
2. საერთაშორისო მოგზაურობის ქსელი <http://www.itn.com>.
3. რ. აბულაძე, ლ. ბერიკაშვილი - ონლაინ ტურიზმის განვითარების პრობლემები და ტენდენციები. ბათუმი 2014წ.

Наука о информации

ИНТЕРНЕТ-ТУРИЗМ МИРОВОЙ РЫНКОК

НАТЕЛА ЛОМИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Возможности онлайн-поиска и бронирования резко изменили глобальные тенденции в сфере туризма. Это позволяет пользователю легко и быстро найти и пометить свой желаемый туристический продукт или услугу. Соответственно, он потребляет продукт, который создает такой же комфорт. Следовательно, представление в интернет-информации и системах бронирования имеет решающее значение для компании.

Информация об Интернете и социальных оценках, что потребитель стал центральными игроками отрасли. В зависимости от статьи компания должна прилагать максимум усилий для распространения положительных отзывов о своих продуктах через веб-сайт, успех которых и высокий уровень доверия клиентов определяется одним простым фактором - отзывами клиентов.

Informacion science

INTERNET TOURISM WORLD MARKET

NATELA LOMIDZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The opportunities of online search and booking have dramatically changed the global trends in tourism. This allows the user to easily and quickly find and mark their desired tourist product or service. Accordingly, it consumes a product that creates the same comfort. Consequently, the presentation in online information and booking systems is critical to the company.

Information about the Internet and social assessments that the consumer has become the central players of the industry. Depending on the article, the company should make every effort to distribute positive feedback about its products through the website, the success of which and the high level of customer confidence is determined by one simple factor - customer feedback.

ონლაინ ტურიზმი

ნინო ჭომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საინფორმაციო ონლაინ გექნოლოგიების გამოყენება ტურიზმში, რომელთა საშუალებითაც ხდება ინფორმაციის დამუშავების დაჩქარება და ტურისტულ ბაზარზე მომსახურების ხარისხის გაზრდა. საინფორმაციო ონლაინ გექნოლოგიების გამოყენება ტურიზმში იძლევა ბიზნესის ეფექტური წარმართვის საშუალებას.

სტატიის მიზანია აჩვენოს, რომ ონლაინ ონლაინ გექნოლოგიების შექმნა და დანერგვა იწვევს ტურისტული ნაკადების მკვეთრ ზრდას, აგრეთვე სარგებელის მრავალფეროვნებას ბიზნესისა და მომხმარებლისათვის. ინტერნეტ-ტურისტული კომპანიების საქმიანობა გაგებული უნდა იქნას, როგორც კომუნიკაციის, კლიენტებთან და მიმწოდებლებთან ურთიერთქმედების, მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ბიზნეს საქმიანობის სპეციალისტის.

ინტერნეტის განვითარებამდე, ტურისტული ინდუსტრია დამოკიდებული იყო ტრადიციული მომარაგების ჯაჭვზე, ბროშურებზე, თავისუფალ განთავსებაზე, დეპეშასა თუ სხვა კლასიკურ ტექნოლოგიებზე. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებამ, ფუნდამენტურად შეცვალა ტურიზმის ინდუსტრია და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტურიზმის ეკოსისტემაზე. დღეს კომპანიების ძირითადი ნაწილი პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ინტერნეტთან. ტურიზმში ინტერნეტის როლი აქტუალურია შემდეგი მიმართულებით: კვლევები, ინფორმირება, პროდუქტების წარდგენა/გაცნობა, მომსახურების გაწევა, ტურისტული ადგილების აღწერა, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, ვიდეო ტურებისა და მარშრუტების ვიზუალური წარმოდგენა, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთქმედება და დასვენების დაგეგმვა. ინტერნეტი განიხილება სამოგზაურო ინფორმაციის ძირითად წყაროდ, რომელიც თავისი ფასეულობით აღემატება ტრადიციული მედიის ფორმებსა და მარკეტინგის ინსტრუმენტებს. ტურისტების ნახევარი სამოგზაურო ინფორმაციის მიღებისათვის მიმართავს ინტერნეტ-საიტებსა და სოციალურ მედიას, 10% ბეჭდურ მედიას, 10% რადიოსა და 10% ტელევიზიას, ხოლო 20% ტურისტულ სააგენტოებს.

დღეს ტურისტული კომპანიების ფუნქციები ინტეგრირებულია ინტრანეტ და ექსტრანეტ ქსელის რესურსში. შედეგად, ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ კომპანიებს მოუწიათ რეორგანიზება, უკვე არსებულ გარემოსთან ადაპტირება. ტურისტულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი პროფილური საქმიანობის

გადატანა ინტერნეტ სივრცეში და გლობალურ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ტურიზმის ინდუსტრია იყენებს DM DMS (Computer Reservation Systems) სისტემებს. DMS სისტემით მომხმარებლისთვის ინფორმაცია ლოკალურ ატრაქციებზე და პროდუქტებზე უფრო ხელმისაწვდომი გახდა, - CRSs (Computer Reservation Systems) სისტემების გამოყენებით კი ამაღლდა ტურისტული კომპანიების ეფექტიანობა, ხელი შეეწყო კომპანიების საქმიანობის ტრანსფორმირებასა და ინტერნეტ-აქტივობის ზრდას.

ტურისტული პროდუქციის გაყიდვა, კომპანიების შერწყმა და შესყიდვები გლობალური გამანაწილებელი სისტემების წარმოქმნის შედეგია. მათგან ცნობილია 4 ძირითადი სისტემა: Sabre Holding Corporation (აშშ); 2. Worldspan (აშშ); 3. Amadeus

Global Travel Distribution (ევროპა); 4. Galileo Internacional (ევროპა); ამ სისტემების წყალობით გაფართოვდა მომსახურების მოცულობა და სპეციალისტი. Sabre Holding Corporation პირველი გამანაწილებელი სისტემაა, რომელიც ონლაინ რეჟიმში გადავიდა, შექმნა ვირტუალური ტურისტული სააგენტო და გახდა ლიდერი ტურისტულ ელექტრონულ ვაჭრობაში. დღეისათვის მის დაქვემდებარებაში 700-ზე მეტი ვებ-საიტია.

1962 წელს ამერიკის ავიახაზებმა პირველმა წარმოგვიდგინა „საბრე“- SABRE CRS ალტერნატიული დაჯაგშნის სისტემა. ონლაინ ტურიზმის სფეროში, ავიაკომპანიები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ყველადღება გაამახვილეს მომხმარებელთა ქცევასა და ტექნოლოგიებზე. საპარტნერო მიმოსვლის ზრდამ განაპირობა ის, რომ CRS - ები გადაიქცნენ გიგანტ კომპიუტერულ ქსელებად. CRS - მომავალში განვითარება ჰქონდა GD GDS - ს სახით. GD GDS თავისთვად წარმოადგენს ერთგვარ სტრატეგიულ ბიზნესს ხელსაწყოს strategic business units (SBU), ეს სისტემა საშუალებას იძლევა კონკურენციის პირობებში ავიაკომპანიას გაუზარდოს გაყიდვები. GD GDS არხი ითვლება მომხმარებელთან საუკეთესო წვდომის ხელსაწყოდ, შესაბამისად ამგვარი პლატფორმა ავიაკომპანიისთვისაც ძვირი ჯდება. დისტრიბუციის ხარჯების ზრდამ და ფასების კონკურენციამ, ავიაკომპანიებს დაწყებინა მომხმარებელთან წვდომის ახალი ხერხების ძიება, დღესდღეობით ასეთ გამოსავალს წარმოადგენს ICT, ისინი შეიძლება სამუშაოებისთვის იყენებენ CRS და ICT ინტერფეისს. საკომუნიკაციო ხარჯების დაზოგვა ახასიათებს დაბალბიუკეტურ ავიაკომპანიებს, თუმცა იგივე სტრატეგიით ამუშავდა ისეთი ძლიერი ავიაკომპანია, როგორიცაა ბრიტანული ეროვნული და ერთგული აქციების გამომდინარე ასეთი ავიაკომპანიები ინტერნეტს ეფექტურად იყენებენ: ინტერაქტიულობის, მომხმარებელთან და პარტნიორთან ურთიერთობისათვის, ონლაინ რეზერვაციების, ბილეთების ონლაინ დაჯავშნის, მართვის, აუქციონებისა და აქციების გამართვის, ინტერნეტ მედიის მაქსიმალურად პროდუქტიულად გამოყენების მიზნით.

ონლაინ ტურიზმის სარგებელი მრავალფეროვანია ბიზნესისა და მომხმარებლისათვის კერძოდ:

- ონლაინ ტურიზმის სარგებელი ბიზნესისათვის: მომხმარებლის მსოფლიო მასშტაბით პოზიციონირება, პროდუქტისა და ფასის ნახვა. ინფორმაციის მიღების, გავრცელების და ამ პროცესში დახარჯული დროის საფასურის შემცირება. ნაკლები საოფისე/აღმინისტრაციული ხარჯი, ბაზრის მოთხოვნის კონტროლი და

დროული რეაგირება, მომხმარებელთან ურთიერთობისა და მომსახურების გაუმჯობესება, განახლებული ინფორმაცია და მონაცემები, მიწოდების დირებულების შემცირება - ონლაინ მიწოდებით;

- ონლაინ ტურიზმის სარგებელი მომხმარებლისთვის: ვაჭრობის შესაძლებლობა ნებისმიერი ადგილიდან, პროდუქტის არჩევის მრავალფეროვანი არხები, მრავალფეროვანი სახეობის პროდუქტი და მომსახურება, ფასების შედარების შესაძლებლობა. აქცია/აუქციონი - საუკეთესო შემოთავაზების შეძენის ხელმისაწვდომობა, შესაძლებელია მუშაობა ან სწავლა სახლიდან გაუსვლელად, სხვადასხვა საზოგადოებებთან ურთიერთობა, უნიკალური ადგილების, მომსახურების, ინოვაციური პროდუქტის მოძებნა და დათვალიერება.

დასკვნა: ტურიზმი მნიშვნელოვანი ბერკეტია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. ახალი ონლაინ ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა ტურიზმში კი იწვევს ტურისტული ნაკადების მკვეთრ ზრდას.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. საერთაშორისო მოგზაურობის ქსელი. <http://www.itn.com>
2. გ.შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი, ტურიზმის მარკეტინგი. სახელმძღვანელო, უნივერსალი თბილისი, 2009.

Наука о информации

ИНТЕРНЕТ-ТУРИЗМ НИНО ЛОМИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматривается использование информационных технологий в туризме, посредством которых увеличивается обработка информации и качество услуг на туристическом рынке. Использование информационных технологий в туризме дает возможность сделать бизнес эффективным.

Цель статьи - показать, что создание и внедрение онлайн-технологий приводит к резкому увеличению потоков туризма, а также к разнообразию преимуществ для бизнеса и потребителей. Деятельность компаний интернет-туризма должна пониматься как взаимодействие с коммуникациями, клиентами и поставщиками, потребности клиентов, а также широкий спектр контента и удовлетворенности.

Informacion science

INTERNET TOURISM**NINO LOMIDZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

The article deals with the use of information technologies in tourism, through which the processing of information and the quality of services in the tourism market is increased. The use of information technology in tourism makes it possible to make business effective.

The purpose of the article is to show that the creation and introduction of online technologies leads to a sharp increase in the flow of tourism, as well as to a variety of benefits for business and consumers. The activities of Internet tourism companies should be understood as interaction with communications, customers and suppliers, customer needs, as well as a wide range of content and satisfaction.

ონლაინ ტურიზმი საქართველოში

ნიმუში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმის ინდუსტრიისათვის დამახასიათებელია სწრაფი განვითარება, გაფართოება და დივერსიფიკაცია. იგი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებისა და კუთილდღეობის ზრდას, სიღარიბის შემცირებას, ინგენიერიული მოზიდვას და იძლევა პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს.

სტატიიდან ჩანს, რომ ქვეყანაში ონლაინ ტურიზმის განვითარებისათვის კომპანიების მხრიდან საჭიროა ხწორი მარკეტინგული კამპანია, ამასთანავე მომხმარებლის სანდოობის გაზრდა მომხსახურების ხარისხის გაუმჯობესებით; ინტერნეტ წიგნიერების ზრდა, ტელეკომუნიკაციის მიხარვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსახლეობის კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის გაფართოება, მობილური ონლაინ აპლიკაციების განვითარება.

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია ცხადყოფს, რომ სიახლეები და მათთან ადაპტირების პროცესი დაჩქარებულია და მათი უზრუნველყოფით თანამედროვე ტურისტი მეტად ინტეგრირებული ხდება დაგეგმვის პროცესში და მეტად ინფორმირებული გეოგრაფიულ საკითხებში. ინტერნეტ ბიზნესი ამგვარად იქცევა დინამიურ და განვითარებულ მიმართულებად, რომლის წარმატებასაც პირველ რიგში მომხმარებლის მოთხოვნების, სურვილებისა და ახირებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება წარმოადგენს. გლობალური ტური ზმის კომპოზიციაში განსაკუთრებული აღვიდი უბავია ქართულ ტურისტულ პოტენციალს.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა. ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩნა, რომელიც თავისი პოტენციალითა და მრავალფეროვნებით ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღმრავს.

ქართული ტურისტული სივრცის პოტენციალშია ონლაინ ტურიზმის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, ტურისტულ კომპანიებს შორის კონკურენტული სივრცის ფორმირება, ტურისტებისათვის ხელსაყრელი და მოქნილი ფასწარმოქმნის პოლიტიკის გატარება, მრავალფეროვანი ანგარიშსწორების ფორმები, პროდუქტის/მომსახურების პერსონალიზაცია, ფასეული კულტურული და ინფორმაციული სივრცე.

საქართველოს ბიზნეს სექტორის ონლაინ მომსახურების ბაზრის განვითარების

ტენდენციების შესწავლის მიზნით ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. შეგროვილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას განისაზღვრა:

მოქალაქეთა მიერ გლექტრონული მომსახურებისადმი წაყენებული მოთხოვნები; გამოვლინდა სეგმენტის მოთხოვნის სტრუქტურა და თავისებურებები, ელექტრონული მომსახურების მიღების არხები, ონლაინ ტურიზმით სარგებლობის მიზეზები, ტუროპერატორების შერჩევის კრიტერიუმები, ონლაინ ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, ონლაინ ტურიზმის სანდოობა, მომხმარებლების დანახარჯი ტურისტულ პროდუქტზე. თუ დღეისთვის ჩვენი ქვეყნის მარკეტინგული აქტივობა შეჯრებული, გათვლილი და განხორციელებულია, სასურველია, შიდა ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო საკითხები უფრო მეტად დაიხვეწოს. დღევანდელ ტურისტულ სექტორს ბევრი მტკიცნებული პრობლემა დაუგროვდა: ტურიზმის შესახებ კანონის არ არსებობა, ლიცენზირებული ტურისტული კომპანიებისა და ტუროპერატორების ნაკლებობა, დიდი რაოდენობით არალიცენზირებული გიდი, სასტუმროებისათვის ვარსკვლავის მინიჭების გაუგებარი სისტემა, გაუგონარი სიმარტივით გახსნილი ფირმები და ამ სექტორში ნებართვის გარეშე მომუშავე უამრავი უცხოელი მოქალაქე.

ყველა ეს საკითხი, რასაკირველია, გადასაჭრელია. რეალურად მომუშავე (და არა მხოლოდ დარეგისტრირებული) ფირმების რაოდენობაზე სტატისტიკა არ გაგვაჩნია. მათი რაოდენობის დადგენა როგორიცაც ტურიზმის სფეროში მომუშავე ასოციაციების მეშვეობითაც, რადგანაც ისინი მრავალრიცხოვანია და საქმიანობაც, ძირითად მიმართულებებში, ერთმანეთს ემთხვევა. ყველა მოქმედი დაწესებულება (ტურისტული ფირმები, ასოციაციები, ამ სფეროს შემსწავლელი კათედრები, ტრენინგ ცენტრები) კამაყოფილდება არსებული რეალობით და პრაქტიკულად არავინ ფიქრობს ტურიზმის სფეროში უკვე მოქმედი ფირმების სწორ ორიენტაციაზე, მათი საქმიანობის მომავალზე, უხალოეს მომავალში ამ სფეროში მოსახლეობის ჩართულობაზე (კერძო, რომელ პროფესიაზე გაიზრდება მოთხოვნილება ტურიზმის დარგში). საქართველოში ტურისტულ სფეროში რეგისტრირებულია დაახლოებით 1000 ფირმა, ათეულობით ასოციაცია, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რამდენიმე კათედრა და დამოუკიდებელი ტრენინგ ცენტრი. სამწუხაროდ, ქართული კომპანიები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, ნაკლებ უურადღებას აქცევენ ინტერნეტის საშუალებით გაყიდვების სტიმულირებას. დაჯავშნის სისტემებზე ზედმეტია საუბარი, როდესაც ხშირად ვებ-გვერდსაც კი ვერ ვპოულობთ, სადაც კომპანიის შეთავაზებებს გავეცნობოდით.

ტურიზმი მნიშვნელოვანი ბერკეტია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. საქართველოში ამ სექტორის განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი სტიმული მისცეს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას. ქართულმა ბიზნესმა ინტერნეტ-სივრცეში უნდა მოახდინოს სრული ინტეგრირება, აითვისოს ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტები, ტურისტული პროდუქტების ეფექტურად წარდგენისა და რეალიზების არხები. განვითაროს ვებ-საიტი, სოციალური მედიის ტექნოლოგიები, ტურისტული ონლაინ აპლიკაციები, შეიმუშაოს ონლაინ ყიდვისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების ფორმები, შექმნას ონლაინ-გიდის მომსახურება. კომპანიების ონლაინ ტურისტული მომსახურება უნდა განხორციელდეს ელექტრონული მთავრობის პლატფორმით, ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენებით. ციფრული ტექნოლოგიების ფართო სპექტრით გავრცელების კვალდაკვალ აქტივურად იცვლება ტურისტული ინდუსტრია და ჩვენი მიზანია, ერთ-ერთმა პირველებმა განვითარისტოთ მომავალი, –

აცხადებს კომპანია „Skyscanner“-ის მარკეტინგის მენეჯერი ილარიონ კოპალეიშვილი – ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა დასვენება, ყოველგვარი ძალის ხმელის გარეშე, ყველასთვის პერსონალური გახდებს“

ქართული ტურისტული ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ონლაინ ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა: მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საპარტო მგზავრობის გამარტივება.

შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის; ქვეყნის პულტურული და ბუნებრივი სიძლიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, რაზეც მზარდი მოთხოვნაა მსოფლიოს ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებზე; ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და უცხო ენის ფლობის თვალსაზრისით), რათა ქვეყნის შესახებ მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გამართლდეს, ხოლო, ჩამოსულმა ვიზიტორებმა პოზიტიური გზავნილები გაავრცელონ საქართველოზე და განმეორებით ესტუმრონ ქვეყანას; ასევე პროგრამები და ინიციატივები, როგორც ინტერნეტ-ბიზნეს საქმიანობის სტიმულირების ინტერუმენტები. ინტერნეტ-ბაზრის განვითარება, მათ შორის ონლაინ ტურიზმის განვითარება საჭიროებს სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ახალ პარადიგმას, როგორიცაა ელექტრონული მთავრობის განვითარების სტრატეგია.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. საერთაშორისო მოგზაურობის ქსელი. <http://www.itn.com>
2. გ. შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი, ტურიზმის მარკეტინგი. სახელმძღვანელო, უნივერსალი თბილისი, 2009.

Наука о информации

ИНТЕРНЕТ-ТУРИЗМ В ГРУЗИИ

НИНО ЛОМИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Индустрия туризма характеризуется быстрым развитием, расширением и диверсификацией. Это важный сектор экономики, который способствует занятости и благосостоянию населения, сокращению бедности, привлечению инвестиций и предоставляет прямые и косвенные экономические выгоды.

В статье показано, что компаниям необходимо продвигать правильную маркетинговую кампанию для развития онлайн-туризма и повышать доверие клиентов, улучшая качество обслуживания клиентов. Улучшение проникновения в Интернет, улучшение доступа к телекоммуникациям, расширение компьютеризации и доступа в Интернет, разработка мобильных онлайн-приложений.

Informacion science

INTERNET TOURISM IN GEORGIA

NINO LOMIDZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The tourism industry is characterized by rapid development, expansion and diversification. This is an important sector of the economy that promotes employment and the welfare of the population, reduces poverty, attracts investment and provides direct and indirect economic benefits.

The article shows that companies need to promote the right marketing campaign for the development of online tourism and increase customer confidence, improving the quality of customer service. Improve Internet penetration, improve access to telecommunications, expand computerization and Internet access, develop mobile online applications.

ძლიერი სოფელი – საქართველოს ეკონომიკის
განვითარების საფუძვლი

ზეინაბ ახალაშვილი, მანანა შალაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მყარი ეკონომიკური განვითარება სასოფლო-სამეურნეო სექტორით იწყება. სოფლის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% სოფლად ცხოვრობს. დასაქმებისა და შემოსავლის ძირითად წყაროს კი სოფლის მოსახლეობისთვის, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სამწუხაროდ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის აღტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები ძალზედ დაბალია.

წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სოფლის განვითარების სტრატეგია მოიცავს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, გარემოს დაცვას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, სოფლის ინფრასტრუქტურას, სოფლის ეკონომიკურ განვითარებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ამასთანავე, ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა. თითოეული უწყების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, აღვილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისეთი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სოფლის განვითარების მიმართულებით ეფექტური პოლიტიკის განხორციელებას.

მყარი ეკონომიკური განვითარება სასოფლო-სამეურნეო სექტორით იწყება. ნებისმიერ ქაუკანაში ინდუსტრიალიზაცია სოფლის მეურნეობის სექტორში ნაყოფიერების ზრდას ეფუძნება, რასაც, ზოგ შემთხვევაში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაც ემატება. სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდის გარეშე კონკრეტული ეკონომიკა ადგილობრივი მუშახელის დასასაქმებლად, სოფლის და სუბრეგიონული მომსახურებისა და სავაჭრო ცენტრების შესაქმნელად ან სოფლის მეურნეობის, მომსახურებისა და მრეწველობის სფეროებს შორის სიცოცხლისუნარიანი კავშირის დასამყარებლად აუცილებელ რესურსებს ვერ აწარმოებს. სოფლის მეურნეობა ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას უყრის საფუძველს და მას საქონლის იმპორტზე, უცხოურ ვალებზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის. სოფლის განვითარების გარეშე დიდი მრეწველობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის უპირატესობის მინიჭებას შრომის ნაყოფიერების კრიზისამდე და უმუშევრობის ზრდამდე მივყავართ.

სოფლის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,589.6 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2017

წლის მდგომარეობით). დასაქმებისა და შემოსავლის ძირითად წყაროს კი სოფლის მოსახლეობისთვის, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. სამწუხაოდ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის აღტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები ძალზედ დაბალია. შესაბამისად, ქვეყანაში დასაქმების ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკის გაძლიერებისთვის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

უმუშევრობა ზოგადად სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. 2016 წელს უმუშევრობის საშუალო დონე სოფლად (5.0) მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ქალაქში (21.1), რაც გამოწვეულია იმით, რომ რეგიონებში მცხოვრები აქტიური მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულად ითვლება საოჯახო მეურნეობებში.




დიაგრამა 1. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%)

რა თქმა უნდა, უმუშევრობა აისახება დაბალ შემოსავლებში, სოფლად მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალაქის შემთხვევაში.

2016 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე ქალაქის მოსახლეობისათვის შეადგენდა 300.7 ლარს, ხოლო სოფლის მოსახლეობისათვის - 223.3 ლარს. ფაქტიურად, ქალაქის მაცხოვრებლის თვიური შემოსავალი 25.7%-ით აღემატება სოფლის მაცხოვრებლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სოფლის მეურნეობის არასახარბიერო სტრუქტურის მიუხედავად სოფლის შემოსავლები იზრდება, რაშიც გარკვეულ როლს ემიგრანტების ფულადი გზავნილები თამაშობს. ამ გარემოებამ გარკვეულწილად შეარბილა სოფლის (სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს) მაცხოვრებლებზე უარყოფითი სასოფლო-სამურნეო მაჩვენებლების ზემოქმედება.

სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი შედარებით დაბალია. კერძოდ, 2016 წლის მონაცემებით, აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება 4.6 მლრდ ლარს აჭარბებს. 2015 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 4.4 მლრდ ლარს შეადგენდა. აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდის მაჩვენებელი 2016 წლისათვის, 2015 წელთან შედარებით, 6.2%-ს შეადგენს, ხოლო 2012 წელთან შედარებით - 40.9%-ს. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში, 2016 წლის მონაცემებით, 15.8%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 14.6%-ს შეადგენდა.



დიაგრამა 2. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე
ქალაქ-სოფლის მიხედვით (ლარი)

ცხრილი 1.
აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება
(მლნ. ლარი)

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
პირველი წარმოება	1,509.9	1,854.9	1,933.3	2,195.0	2,328.1	2,507.6	2,703.2
აგროსასურსათო პროდუქციის გადამუშავება	1,082.3	1,339.3	1,346.6	1,586.1	1,796.9	1,845.4	1,918.0
სულ აგროსასურსათო სექტორში	2,592.1	3,194.2	3,279.9	3,781.1	4,125.0	4,353.0	4,621.2

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მისი სხვადასხვა სააგენტოს ეგიდით უამრავი სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, რომელთა მიზანიც სოფლის აღორძინებასა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობაში მდგომარეობს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს პროექტებს: დანერგე მომავალი; აწარმოე საქართველოში; აგროდაზღვევა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება; შეღავათიანი აგრო-კრედიტი; პროგრამა - ქართული ჩაი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერ პროგრამებს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფა; თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა; რის მწარდაჭერი სასოფლო-

სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ასევე მეგენახეობა-მედვინეობის განვითარების კუთხით, კერძოდ, ვენახების კადასტრის პროგრამა, ბაზრების დივერსიფიკაცია. ასევე ხორციელდება ღონისძიებები სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის, ლაბორატორიული კვლევებისა და დიაგნოსტიკის მიმართულებებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბების და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის კუთხით და სხვა.

გარდა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროგრამებისა, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ბიზნესის, მათ შორის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისკენ და ითვალისწინებს როგორც ფინანსებსა და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას. მათ შორის: აწარმოე საქართველოში; მიკრო და მცირე მეწარმეების განვითარების ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარება განსაკუთრებით დროულია ახლა, როდესაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შეთანხმება სრულად ამოქმედდა, ხოლო ევროკავშირთან ლრმა და უოვლისმომცველი თვისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 500 მილიონი ევროპელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის. შეთანხმების ფარგლებში, საქართველო იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევის გზით. აღნიშნული ასევე გულისხმობს, სოფლის განვითარების შესახებ ევროპის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის და მასთან, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკას 2020 წლამდე 6 ძირითადი პრიორიტეტი აქვს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური, სოციალური და გარემოს კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევისკენ. ესენია:

➤ სოფლად, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

➤ ყველა რეგიონში, ყველა ტიპის სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა;

➤ სურსათის წარმოებაში დირებულებათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და მარკეტინგი, საქონლის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობაში რისკების მართვა;

➤ სოფლის მეურნეობასა და ტყის რესურსებთან დაკავშირებული კონსისტენტების აღდგენა, დაცვა და გაუმჯობესება;

➤ რესურსების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, სურსათის წარმოებასა და მეტეევობაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის მხარდაჭერა;

➤ სოფლად სოციალური ჩართულობის, სიდარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ევროკავშირის მიღებომის მთავარი მახასიათებელი და გაცხადებული მიზანია საზოგადოების ძალისხმევით გამოვლინდეს ადგილობრივი პრიორიტეტები, განისაზღვროს სტრატეგიები, საითკენაც შემდგომში მიმართული იქნება ინვესტიციები. წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. სოფლის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან. სტრატეგიის თანახმად განსაზღვრულია სამი პრიორიტეტული მიმართულება: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. ამ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განსაზღვრულია ამოცანები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით; სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთნ დაკავშირებული დირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით; სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე და ა.შ.

სოფლის განვითარების სტრატეგია მოიცავს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, გარემოს დაცვას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, სოფლის ინფრასტრუქტურას, სოფლის ეკონომიკურ განვითარებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ამასთანავე, ფუნქციების მკაფიო გამოჯვენა. თითოეული უწყების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისეთი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სოფლის განვითარების მიმართულებით ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწლებული 2017 წ.
3. ინტერნეტრესურსები

Экономика и бизнес

СИЛЬНОЕ СЕЛО – ОСНОВА РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ**З. АХАЛАДЗЕ, М. ШАЛАМБЕРИДЗЕ**

Государственный Университета Акакия Церетели

Резюме

Экономическое развитие начинается с сельскохозяйственного сектора. Развитие сельского хозяйства в Грузии сегодня очень важно, поскольку 42,8% населения проживает в сельской местности. Основным источником занятости и доходов для сельского населения является сельское хозяйство. К сожалению альтернативные возможности трудоустройства для сельских жителей очень низки.

Стратегия развития сельских районов и соответствующий план действий можно рассматривать как шаг вперед. Стратегия развития сельских районов включает в себя множество направлений, связанных с развитием сельских районов, включая охрану окружающей среды, туризм, сельское хозяйство, сельскую инфраструктуру, экономическое развитие в сельской местности и т. д. следовательно, важно иметь тесное сотрудничество между государственными учреждениями и в то же время, четкое разделение функций. Каждое учреждение отвечает за осуществление таких мероприятий и программ с учетом местных потребностей, которое будет способствовать выполнению задач, определенных стратегией и осуществлению эффективной политики в направлении развития сельских районов.

Economics & business

STRONG VILLAGE - THE BASIS FOR THE DEVELOPMENT OF THE GEORGIA'S ECONOMY**Z. AKHALADZE, M. SHALAMBERIDZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

Economic development begins with the agricultural sector. The development of agriculture in Georgia is very important today, as 42.8% of the population lives in rural areas. The main source of employment and income for the rural population is agriculture. Unfortunately, alternative employment opportunities for rural residents are very low.

The rural development strategy and the corresponding action plan can be seen as a step forward. The rural development strategy includes many areas related to rural development, including environmental protection, tourism, agriculture, rural infrastructure, economic development in rural areas, etc. Therefore, it is important to have close cooperation between government agencies and the same time, a clear division of functions. Each agency is responsible for the implementation of such activities and programs, taking into account local needs, which will contribute to the achievement of the objectives identified by the strategy and the implementation of effective policies towards rural development.

ციტაციების ერთეული ფიზიკური და მოლებული
პროცესის გამოყენება სილიკონის რაციონალურისათვის

ციტრი გეგუჩაძე, ნიპა დავლამა (მაგისტრანტი)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი


ნაშრომში განხილულია ნარჩენი წილის დამუშავების ტექნოლოგია და მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა. ექსპრიმენტულად დადასტურებულია, რომ ფოსფორის მაქსიმალური შემცირება ხდება მაშინ, როდენის წილის რაოდენობა დასამუშავებელი ლითონის რაოდენობის 20% შეადგენს. ხოლო ტემპერატურა 1600°-ია.

გამოდნობილი ფოლადის, ხარისხობრივი სტრუქტურის შეცლის ტენდენცია, ლეგირებულ და მაღალეგირებულ ფოლადების გამოშვების ხარჯზე, ადინიშნება ყველა ტექნიკურად გავითარებულ ქვეყნებში. განსაკუთრებით ჩერი ტემპით იზრდება, მანგანუმიანი ფეროშენადნობთა გამოდნობის რაოდენობა, რაც განპირობებულია იმით, რომ მანგანუმით ითვლება კარგ განმუანგველ და მალეგირილებელ ელემენტად.

შავ მეტალურგიაში მანგანუმის საშუალო ხარჯი, ფეროშენადნობთა სახით, ფოლადის დნობისას შადგენს 9 კგ. ერთ ტონა ფოლადზე. როგორც ცნობიალი სილიკომანგანუმი წარმოადგენს კომპლექსურ განმუანგველს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფოლადების განუანგვისათვის.

აღსანიშნავია, რომ სილიკომანგანუმი გარდა წამყვანი ელემენტების-სილიციუმის და მანგანუმისა, შეიცავს ფოსფორს, ნახშიბადს და რკინას. მათგან ფოსფორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფოლადების ხარისხზე. ფოსფორის გაზრდილი რაოდენობა მაღალმანგანუმიან ფოლადებში, მკვეთრად აუარესებს მისგან დამზადებული ნადნობების, ფიზიკო - ქიმიურ თვისებებს, ასევე საექსპლუატაციო მახასიათებლებს. ფოსფორის გაზრდილი რაოდენობა ფოლადებში იწვევს რკინისა და მანგანუმის ფოსფიდების კომპლექსის არსებობას, რომელიც გამოიყოფა მარცვლების საზღვარზე, ფოლადების კრისტალიზაციის დროს. რაც მნიშვნელოვნად აუარესებს ფოლადის საექსპლუატაციო მაჩვენებლებს.

მრიგად, *Trichoderma lignorum*-ის გავლენით იზღუდება წიწაკის ჭკნობის გამომწვევი სოკოების განვითარება, როგორც წმინდა კულტურის პირობებში, ისე მცენარეში. *Trichoderma lignorum*-ის გავლენით ძლიერდება მცენარის თავდაცვითი რეაქციები, რის შედეგად მცირდება ჭკნობის გამოვლინება.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ყანჩაველ ლ., ბალდავაძე ა., გეგენავა გ., ფერაძე ი., ბუაჩიძე პ. ჭაია 6. მცენარეთა დაცვა. თბილისი. 1977წ.
2. ყანჩაველი ლ. - სახოფლო-სამეურნეოფიტოპათოლოგია. თბილისი. 1987წ.
3. ჩაჩხიანი ბ. - მცენარეთა დაცვა. შალექციო კურსი. ქუთაისი. 2012წ.

Аграрные науки

ВЛИЯНИЕ ГРИБКА АНТАГОНИСТА TRICHODERMA LIGNORUM НА УВЯДАНИЕ ПЕРЦА ВЫЗВАННОЕ ГРИБКАМИ

Н. ЧАЧХИАНИ-АНАСАШВИЛИ, М. КУБАНЕИШВИЛИ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье представлены результаты исследования, которые были проведены для установления эффективности биологического метода борьбы против увядания перца. Было изучено влияние этого грибка на увядание перца вызванное грибками и на индукцию фитоалексинов в различных сортах. Установлено, что внесение грибка антагониста *Trichoderma lignorum* в почву, усиливает защитные реакции растений и происходит ограничение выявления-развития увядания.

Agricultural sciences

INFLUENCE OF A FUNGUS OF THE ANTAGONIST OF TRICHODERMA LIGNORUM ON THE WITHERING OF PEPPER CAUSED BY FUNGI

N. CHACHKIANI-ANASASHVILI, M. KUBANEISHVILI

Akaki Tsereteli State University

Summary

Results of a research which was conducted for establishment of efficiency of a biological method of fight against withering of pepper are presented in article. Influence of this fungus on the withering of pepper caused by fungi and on induction of phytoalexins in various grades has been studied. It is established that entering of a fungus of the antagonist of *Trichoderma lignorum* into the soil, strengthens protective reactions of plants and there is a withering identification development restriction.

თხილის კვირტის ფაინას (PHYTOPTUSA VELLANAENAL) მავნეობა

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი - ასოც.პროფესორი,
ნატალია სანიშვნაძე – აპ. ღოზტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნამრობები მოცემულია თხილის კვირტის ტკიბას და ზიანებების და უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა. მავნებლის ბიო-ეკოლოგია და ბრძოლის ღონისძიებები. მავნებელი აზიანებს სოხილის თითქმის უკეთა, და ზიანებული კვირტი დიამეტრში 10 სმ-მდე ვირტების შიგნით ტკიბები დიდი რაოდენობითაა. გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში იმყოფებიან ფოთლება და ყლორტებზე, შემდეგ კი სახლდებია ნმომავალი წლის კვირტებში. ინგენიური გამრავლების ასეთ და ზიანებულ კვირტში 100-1000-მდე ტკიბა შეიძლება აღმოჩნდეს. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით და ზიანებულ კვირტში 30000 ტკიბაც შესაძლებელია ბინადრობდეს. თკიბას საწინააღმდეგოდ უნდა გამოვიყენოთ შემდეგი პრეპარატები: მასაი, ენგიდორი, ტალავი, ომაიტი, კერტიმეკი, აქტელიკი, ალპაკი და სხვა.


თხილის კულტურაზე ოთხფეხა ტკიბების 8 სახეობაა ცნობილი, რომლებიც იყოფიან ორ ჯგუფად: კვირტისა და ფოთლის ჯგუფებად. რივე ტკიბა ინგენიურად ვითარდება ჩვეულებრივი და პონტური თხილის კვირტებში. აზიანებული კვირტები გაზაფხულზე არ იშლება, ხმება და ცვივა, ზოგჯერ იძლევა განუვითარებელ ფოთლებს და ნაყოფს.

თხილის კვირტის ტკიბა მდედრი ჭიისებრია, სიგრძით — 0,25 მმ, მამრი კი — 0,18 მმ; ფარი ნახევრად მომრგვალოა, ორი წევილი წინ მიმართული, მოკლე ჯაგრებით. მუცელი 70 რგოლისაგან შედგება.

გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში იმყოფებიან ფოთლება და ყლორტებზე, შემდეგ კი სახლდებიან მომავალი წლის კვირტებში. ინგენიური გამრავლებისას ერთ დაზიანებულ კვირტში 100-1000-მდე ტკიბა შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგიერთი ავტორის მონაცემებით და ზიანებულ კვირტში 30000 ტკიბაც შესაძლებელია აღმოჩნდეს.

აზიანებს სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის თხილის საყვავილე და საფოთლე კვირტებს. აზიანებული კვირტები ძლიერ იბერება, მრგვალდება და ადვილად გამოირჩევა ლორტზე. აზიანებული კვირტი დიამეტრში 10 სმ-მდე დიდდება. ჯერ მწვანე ბაცი ფერისაა, შემდეგ წითლდება და ბოლოს ყავისფერი ხდება. დაბერილი კვირტების შიგნით დიდი რაოდენობითაა ტკიბები. დაზიანებული კვირტები გაზაფხულზე არ იშლება, ხმება და ცვივა, ზოგჯერ იძლევა განუვითარებელ ფოთლებს და ნაყოფს. თკიბა სახლდება ახალფორმირებულკ ვირტებში და იქ იზამთრებს. კვირტში იწყებს კვერცხის დებას, ხოლო როდესაც პაერის დღე-დამური ტემპერატურა მიაღწევს 10-12 გრადუსს, ტკიბები იწყებენ გამოსვლას

დაზიანებული კვირტებიდან, იწყება გამოზამთრებული ტკიპების გაზაფხულის მიგრაცია მცენარეზე.



სურ. 1. თხილი სკვირტის ტკიპა



სურ.2. დაზიანებული და გამხმარი კვირტი



სურ.3. დაზიანებული და გამხმარი კვირტი

ტკიპა აზიანებს მდედრობით საყვავილე და საფოთლე კვირტებს, მჭადა ყვავილებს იშვიათად. აზიანებული კვირტების ქერქების შიდა მხრიდან ვითარდება ღია მწვანე ფერის გალები, რომლებიც შემდეგ წითლდება და ბოლოს ყავისფერში გადადის. ვირტები დეფორმირდება, ზომაში 5-6 ჯერ მატულობს საღთან შედარებით. საფოთლე კვირტებიდან ვითარდება უფორმო ფოთლები.

ძრდასრული ტკიპა ზამთარს კვირტში ატარებს. ქტიურ ცხოვრებას იწყებ ყვავილობის პერიოდში; ნაყოფის ფორმირების პერიოდში (აპრილის ბოლო). თკიპები გამოდიან კვირტებიდან, სახლდებიან ფოთლებზე და ყლორტებზე. ს პერიოდი გაზაფხულის მიგრაციაა. ჟლისის მეორე ნახევრიდან, როდესაც თხილის მიმდინარე წლის ნაზარდებზე მომავალი წლის ნაზარდები ფორმირდება, ტკიპები ისევ სახლდებიან კვირტში და აგრძელებენ დაზიანებას. წელიწადში იძლევა 6-7 თაობას. აზიანებული კვირტებიდან ნაყოფი აღარ ვითარდება ან დეფორმირებულია.

თხილში ოთხფეხა ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებათა დროს, საჭიროა მათი თავისებურებების გათვალისწინება.

ვირტის ტკიპასთან წარმატებით ბრძოლას აბრკოლებს ის გარემოება, რომ იგი კვირტში ცხოვრობს და დაცულია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებისაგან.

დრე გაზაფხულზე მექანიკური მეოთოდებით, მოვაცილოთ მოყავისფრო, წითლად შეფერილი და ძლიერ გადიდებული დაშლილი კვირტები, გავიტანოთ პლანტაციის გარეთ და დაგწვათ. თხილშიკ ვირტის ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეოთოდების დროს, როცა იგი კვირტში ცხოვრობს ნაკლებადე ვექტურია მათ წინააღმდეგ კონტაქტური მოქმედების პრეპარატების გამოყენება. დოცა საშუალო სადღედამისო ტემპერატურა მიაღწევს 10-12 გრადუსს, ტკიპები იწყებენ მიგრაციას კვირტიდან მთლიანად მცენარეზე. მ პერიოდში მათ მიმართ ქიმიური დონისძიებები სგატარება მართებულია. თკიპას საწინააღმდეგოდ უნდა გამოვიყენოთ შემდეგი პრეპარატები: მასაი, ენვიდორი, ტალავი, ომაიტი, კერტიმეკი, აქტელიკი, ალპაკი და სხვა.

1. მარტი-აპრილი ვიწყებთ შესხურებას, როცა დღედამური ტემპერატურა მიაღწევს 10-12 გრადუსს. მ პერიოდში იწყება ტკიპების მიგრაცია დაზიანებული კვირტიდან მცენარის ფოთლებზე და ყლორტებზე.

2. აპრილი-მაისი ფოთლებსა და ყლორტებზე კვირტის ტკიპას კვლავ გამოვლენისას მაკორექტირებელი შესხურება, წინაშესხურებიდან მინიმუმ 10-12 დღის ინტერვალით.

3. ივლისის ბოლო, აგვისტოს დასაწყისი – ტკიპების საწინააღმდეგო შესხურება, რომ არ მოხდეს მათი გადასვლა ახლად ჩამოყალიბებულ კვირტებში.

4. აგვისტო -ფოთლებსა და ყლორტებზე კვირტის ტკიპას კვლავ გამოვლენისას მაკორექტირებელი შესხურება წინა შესხურებიდან 10-12 დღის ინტერვალით. შეწამვლას ვახდენთ ზემოთ ჩამოთლილი პრეპარატებით, რომელსაც ჩავთვლით საჭიროდ. არცერთ შემთხვევაში წინა შესხურებაზე ეგამოყენებული ინსექტიცი და კარიციდი არ მეორდება. აღსანიშნავი აისიც, რომ აღნიშნული პრეპარატებისა და შესაბამისი ფუნგიციდების ნარევით ჩატარებული წამლობ აშესაძლებლობას იძლევა, კვირტის ტკიპასთან ერთად, ვაკონტროლოთ ხილის მცენარისათვის ამ პერიოდებისათვის დამახასიათებელი სხვა მავნებლები და დაავადებები.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ბათიაშვილიირ., დეკანომეგ; - ენტომოლოგია. თბილისი; 1974წ.
2. ყანჩაველი გ. - ენტომოლოგია – II გამოცემა. თბილისი; 1976წ.
3. ყანჩაველ ლ., ბალდავაძე ა., გეგენავა გ., ფერაძეი., ბუაჩიძე კ., ჭაიძა ნ.- მცენარეთადაცვა. თბილისი; 1977წ.

Аграрные науки

ВРЕДИТЕЛЬСТВО КЛЕЩА ОРЕХОВОЙ ПОЧКИ Н. ЧАЧХИАНИ-АНАСАШВИЛИ, Н. САНТЕЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье представлены повреждения ореховой почки клещами, распространение и отрицательное хозяйственное значение, био-экология вредителя и методы борьбы. Вредитель повреждает почти все виды ореха, поврежденная почка увеличивается в диаметре до 10 см.

Сперва светло-зелёного цвета, а затем краснеет и в конце становится коричневой. Внутри надутых почек клещи в большом количестве. Весной и летом клещи находятся на листьях и на побегах. Затем поселяются на почках будущего года. При интенсивном размножении в одной повреждённой почке до 100-1000 клещей может оказаться. По данным некоторых авторов в повреждённой почке может оказаться до 30000 клещей. Против вредителя должны применить следующие препараты: масай, энвидор, талав, омайт, вертимек, актелик, алпак и др.

Agricultural sciences

WRECKING OF TICK OF NUT BUD

N. CHACHKHIANI-ANASASHVILI, N. SANTELADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

In the article presented damage of nut bud pliers, spread and negative economic value, bio-ecology of wrecker and methods of fight. A wrecker damages almost all types of nut, the damaged bud is increased in a diameter to 10 cm. At first light green color, and then reddens and in the end becomes brown. Into the inflated buds pliers are in great numbers. In spring and summer pliers are on leaves and on sprouts. Then settle on the buds of next year. At intensive reproduction in one damaged bud to 100-1000 pliers can appear. According to some authors to 30000 pliers can appear in the damaged bud. Against a wrecker have to apply the following preparations: masay, envidor, talav, omayt, vertimek, aktelik, alpak and other.

აგრარული მეცნიერებები
კოვენტის შემცველობა ჩაის კლასტაციის ბანასხლაზ მასალაში

თემა ძუშებით

აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი
აგრარული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესწავლით კოფერენციის შემცველობა ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო და საშემოდგომო გასხვლის მასალაში. დაგენერირების ჩაის განასხლავი მასალის გამოყენების მიზანშეწონილობა ბუნებრივი კოფერენციის მისაღებად. ნაჩვენებია, რომ კოფერენციის შემცველობა მნიშვნელოვნად დაბალია გახული საუკუნის 80-ანი წლების ჩაის ნედლეულთან შედარებით.

შესავალი

კოფერენციის მისაღები ნედლეულს გარდა ჩაის წამოების ნარჩენებისა (ყვითელი მტვერი, მონახვები ჩაი, ბუსუსები, და დეროები) მიეკუთვნება აგრეთვე ჩაის პლანტაციის განასხლავი მასალა [1-3].

ჩაის პლანტაციის განასხლავი მასალა წარმოადგენს მწვანე აგურა ჩაის ნედლეულს. თუმცა შავი და მწვა ბაიხის ჩაის წარმოების ნედლეულს წარმოადგენს ჩაის ბუჩქის ორ-სამ ფოთლიანი ახალგაზრდა დუები, მწვანე აგურა ჩაის დასამზადებლად გამოიყენება ხნიერი, მოუხეშო და უხეში ფოთლები, რომლის დამზადება წარმოებს შემოდგომაზე ხარისხოვანი ჩაის ფოთლების კრეფის დამთავრების შემდეგ და ადრე გაზაფხულზე ჩაის პლანტაციების ფორმირების დროს. განარჩევენ ნედლეულის ორ სახეს: ერთს იყენებენ მწვანე აგურა ჩაის საპირედ, მეორეს – შიდა მასალად.

პირველ შემთხვევაში ლაო-ჩას მასალა შედარებით ნაკლებ უხეშია. ამიტომ მას ჩვეულებრივ ამზადებენ შემოდგომაზე, როცა ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია შესუსტებულია, მაგრამ შეწყვეტილი არაა. გარდა ამისა, საპირე მასალის დამზადებისათვის იყენებენ მესამე ხარისხის ჩაის ფოთოლს. რაც უფრო ნაზია ფოთოლი, მით უფრო ხარისხიანია საპირე მასალა.

რაც შეეხება შიდა მასალას, ის ძირითადად შედგება უხეში დუებისაგან მწვანე და მოყვავისფრო დეროების მინარევებით, ამასთან ფოთლები უნდა იყოს მასალის სართო წონის არანაკლებ 70 %, ხოლო დანარჩენი 30 % მოდის მწვანე და გახევებულ დეროებზე.

კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევის მასალას წარმოადგენდა ჩაის პლანტაციის საგაზაფხულო და საშემოდგომო გასხვლის ნედლეული.

საანალიზო მასალაში კოფერენციის შემცველობას ვსაზღვრავდით გოსტ 19885-74 -ის მიხედვით [3].

შედეგები და მათი განხჯა

ჩვენს ექსპერიმენტებში გამოვიყენეთ ოზურგეთის რაიონის ჩაის პლანტაციების საშემოდგომო და საგაზაფხულო გასხვლის მასალა. მასში შევისწავლეთ მექანიკური შედგენილობა და კოფეინის შემცველობა. შედეგები მოცემულია ცხრილებში 1-3.

ცხრილი 1

ლაო-ჩაის ნედლეულის მექანიკური შედგენილობა

ფრაქცია	საშეალო წონა, გ	ფრაქციის შემცველობა	
		1 კბ ფოთლის წონაკში	%
საგაზაფხულო გასხვლის მასალა:			
–ღეროები ფოთლებით	1,94	142,85	
–ცალკეული ფოთლები	0,50	133,4	8,71
–ყვავილის ბუტონები	–	3,9	13,34
–გარეშე მინარევები	–	5,6	
		0,39	
		0,56	
საშემოდგომო გასხვლის მასალა:			
–ღეროები ფოთლებით	0,22	82,0	8,20
–ცალკეული ფოთლები	0,50	912,0	91,2
–ყვავილის ბუტონები	–	4,0	0,40
–გარეშე მინარევები	–	2,0	0,20

ცხრილი 2

საგაზაფხულო გასხვლის ჩაის მასალის მექანიკური შედგენილობა

ნედლეული	ნიმუშები					საშეალო
	1	2	3	4	5	
ფოთლები	76,5	80,7	78,4	78,2	80,2	78,8
ღეროები	23,5	19,3	21,6	21,8	19,8	21,2
მათ შორის:						
–მწვანე	20,0	16,2	17,0	18,0	17,2	17,68
–მოყავისფრო	3,5	3,1	4,6	3,8	2,6	3,52

ცხრილი 3

კოფეინის შემცველობა ჩაის განასხვლავ მასალაში

№№	ნედლეული და ნიმუშები	კოფეინის შემცველობა, % მშრალ მასაზე
1.	საშემოდგომო გასხვლის ნედლეული	
	1	1,63
	2	1,71
	3	1,74
	4	1,86
	5	1,89
საშუალო		1,77
2	საგაზაფხულო გასხვლის ნედლეული	
	1	1,54
	2	1,42
	3	1,39
	4	1,28
	5	1,41
საშუალო		1,41

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოფეინის შემცველობით ჩაის პლანტაციის განასხვლავი მასალიდან უფრო მდიდარია საშემოდგომო გასხვლი სნედლეული (კოფეინის შემცველობა საშუალოდ 1,77% საგაზაფხულო გასხვლის ნედლეულში 1,41%-თან შედარებით).

უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ჩაის პლანტაციის ორივე მასალაში კოფეინის შემცველობა რამდენადმე დაბალია გასული საუკუნის 80-ანი წლების ნედლეულთან შედარებით.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Лазишивили Л.А. К вопросу контроля технологических процессов переработки лао-ча. юл. ВНИИЧПиСК, 1953, 1,46
2. Тенеишвили П.П. Влияние тяжелой подрезки на качество чая. Бюл. ВНИИЧП и СК, 1940, 2, 20.
3. Martinek R, Wolman W. Xanthines , tanins and sodium in coffee, tea and cocoa. J.Amer.Med. assoc, 1955, 158,1030.
4. ГОСТ 19885-74. Чай. Методы определения содержания танина и кофеина. М.: изд. стандартов, 1975–6с.

Аграрные науки

СОСТАВ КОФЕИНА В МАТЕРИАЛЕ СЧАЙНЫХ ПЛАНТАЦИЙ

Т. КУЧУХИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Докторант докторской программы Аграрного факультета «Технология и экспертиза
переработки агросырья»

Резюме

В статье представлены результаты изучения чайного сырья (материал с весенней и осенней подрезки чайных плантаций) с целью получения кофеина. Установлена уместность использования указанного чайного сырья для получения естественного кофеина. Показано, что состав кофеина в чайном материале значительно низок по сравнению с показателями 80-ых годов.

Agricultural sciences

CONCENTRATION OF CAFFEINE IN TEA PRUNED MATERIAL

T. KUCHUKHIDZE

AkakaiTsereteli State University

(PHD Student, Doctoral Program of Agrarian Faculty "Agricultural raw materials Processing
Technology and Expertize")

Summary

Concentration of caffeine was defined in tea pruned material both in autumn and spring. It is expedient to utilize tea pruned material in order to get natural caffeine. *It has been shown that*, concentration of caffeine is lower compared with tea raw materials in the 1980s.

პრეზენტაციები საიტზე
ნანა შაბათია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიის მიზანია დაგვანახოს, საიტზე პრეზენტაციის შექმნის როლი ბიზნესის განვითარებაში. სწორად შედგენილი პრეზენტაცია საშუალებას იძლევა თქვენი რეპუტაციის გაზრდისათვის. არსებობს პრეზენტაციის სხვა და სხვა სახე, მათგან მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და კომერციული, თუ თქვენ ცდილობთ გაზარდოთ გაყიდვები, ხელმძღვანელობები კლიენტით. თუ მიზანი არის ინვესტიცია, მაშინ სარგებელი იქნება ორიენტირებული მომგებიანობაზე. თქვენ შეგიძლიათ დაინტერესდეთ მედია საინფორმაციო საშუალებებითაც.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ პრეზენტაციის შექმნა საიტზე უნდა იყოს მოტივირებული, მომხმარებელს უნდა პქნონდეს სურვილი თვისტორიკად შეცვალოს საკუთარი ბიზნესის მასშტაბები, პრეზენტაციის შექმნის დროს საჭიროა იხელმძღვანელოთ იმ მონაცემებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ პრეზენტაციის საუკეთესო ვარიანტის წარმოდგენაში.

პრეზენტაციას შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია:

- პროდუქტის ან სერვისის შესახებ, რომელაც უზრუნველყოფს;
- პირადად თქვენ, როგორც ლიდერი ან მთელი გუნდი;
- თქვენი კომპანიის შესახებ, როგორც საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი და გამყიდველი;
- პერიოდის განმავლობაში თქვენი საქმიანობის შედეგების შესახებ (წარმოება, გაყიდვები, საქველმოქმედო საქმიანობა და ა.შ.).

პრეზენტაციის ჩვენება თუ გადაწყვიტეთ, იგი შეგიძლიათ ორი სახით წარმოადგინოთ. პრეზენტაცია შეიძლება იყოს საგანმანათლებლო ან კომერციული. თუ თქვენ ცდილობთ გაზარდოთ გაყიდვები, ხელმძღვანელობები კლიენტით. თუ მიზანი არის ინვესტიცია, მაშინ სარგებელი იქნება ორიენტირებული მომგებიანობაზე. თქვენ შეგიძლიათ დაინტერესდეთ მედია საინფორმაციო საშუალებებითაც.

არსებობს ბევრი სახის მომსახურება, სადაც შეგიძლიათ გააკეთოთ პრეზენტაცია საიტისთვის, შესთავაზოთ ინსტრუმენტები. თითქმის ყველა მათგანი მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას. ზოგიერთი რესულენტოვანიცაა, მაგალითად Prezi რესულ ენოვანი ვერსიაა.

შეგიძლიათ პრეზენტაციის შექმნა პირდაპირ სამსახურში იცროსოფტ PowerPoint-ში ან გადმოიწეროთ მზა სლაიდები, ამ შემთხვევაში პრეზენტაციაზე ჯგუფის მუშაობის შესაძლებლობა არის საუკეთესო ვარიანტი. შესაძლებელია აუდიო, ვიდეო კლიპები, რეპერტუარის თემების დიდი შერჩევა. ფასიანი ვერსია წელიწადში ღირს 159\$. უფასო ვერსია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტებისა და სტუდენტებისათვის (თუ არსებობს დადასტურება შესწავლა).

SlideShare - აქ შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი პრეზენტაცია სერვერზე ატვირთვის გზით და მიიღოთ დამატებითი ტრაფიკი საიტზე. ასევე შეგიძლიათ აკონტროლოთ აუდიტორია რომელიც დაინტერესებულია თქვენი საქმიანობით. უფასო ვერსია საშუალებას გაძლიერ გამოაქვეყნოთ პრეზენტაცია 100 მბ-და, თქვენი შესაძლებლობების გაფართოების და საძიებო სისტემის პოპულარიზაციის მიზნით, აირჩიეთ ტარიფის გეგმა 19 ჭ-დან 249 ჭ-მდე. 50% ფასდაკლება ვრცელდება სასწავლო მასალებზე.

Project - გამოიყენება ნებისმიერი მოწყობილობისათვის. ინტერფეისი არ არის საუკეთესო, მაგრამ აქვს ფუნქციონალური დირექტულება. სასურველია გავიგოთ რომელი სოციალური მედიის გამოყენებაა უფრო უფექტურია. ხელმისაწვდომია უფასო და ფასიანი ვერსიები. ანგარიშზე სავალდებულოა დომენის გამოყენება.

გულწრფელობა - თქვენ არ გააკეთებთ პრეზენტაციას "ამისთვის tick", მაგრამ გააკეთებთ ხალხისთვის. ამ მეთოდის შევასებისას, უკეთესია, რომ არ გამოიყენოთ იგი. და თუ გამოიყენებთ, გააკეთე გულიდან.

- **ემოციურობა** - მნიშვნელოვანია, რომელიც უნდა გადაეცეს თქვენს მაყურებელს, მათ უნდა გაიგონ, თუ რას აკეთებთ და რატომ მოგწონთ ეს ბიზნესი. თქვენ ამ შემთხვევაში "აინფორმაციურებთ" მათ, თქვენი ყურადღება უზრუნველყოფს სათანადო დონეზე, იმას რომ მიზნები მიღწეულია, შეგიძლიათ დაითვალიოთ ქმედება - ზარი, განცხადება, პარტნიორი წინადადება ან ინტერესი მედიიდან.

- **"ხმამაღალი განცხადებები"** - ყურადღება მიაქციეთ საინტერესო განცხადებებს, მაგრამ ის უნდა იყოს არგუმენტით გამყარებული. ნუ დაუშვებოთ საკუთარი თავის მოტყუებას ან მკითხველების დიად მოტყუებას.

- **Conciseness** - ნუ შევაცდები ერთმანეთისგან განსხვავებული ერთზე მეტი ტექსტი" განალაგოთ ერთ სლაიდზე. გსურთ სპეციალისტები? დაწერე სტატია და გადაადგილეთ საიტის შესაბამის მონაკვეთში.

ინფორმაციულობა - არ მიიღოთ სიტყვასიტყვით რჩევები თითოეულ სლაიდზე და მიაღწიოთ რადიკალურ მინიმიზმს. ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი.

საიტზე პრეზენტაციის შექმნისათვის საჭიროა გამოიყენოთ ვიზუალური ეფექტები:

- **შრიფტი** - რაც შეიძლება მარტივი, ადვილად გასაგები, ზომა 25 დან 30 ქინძისთავამდე, არ დაიწყოთ "თამაში შრიფტებით," წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველის ყურადღება გაიფანტება .

- **ფერები** - უნდა ასახავდეს თქვენს კორპორაციულ ჩრდილებს. თავიდან ავიცილოთ ძალიან კონტრასტული კომბინაციები და "მჟავა" ფერები.

- **სურათები** - უნდა იყოს ნათელი, ფოტოები ან სურათები უნდა იწვევედნენ ცალსახად ემოციებს. უმჯობესია თავიდან აიცილოთ ფერწერის ობიექტები.

- **დიაგრამები** - თუ თქვენ პრეზენტაციაში დიაგრამის ნორები არსებობს, დიაგრამების გამოყენებისას (წრიული, სვეტი და ა.შ.) აირჩიეთ თითოეული მათგანის ფერი, მიეცით მოკლე ახსნა, თუ რომელი ასახვებს თქვენ სქემას.

- **ინფორმაცია** - ინფორმაციის მიწოდება საუკეთესო გამოსავალია. ნათელი, საინტერესო ინფორმაცია შეიძლება გახდეს თქვენი წარმატების ნახევარი.

- **აუდიო და ვიდეო** - თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ თქვენი პრეზენტაცია რეგლამის, ან საკუთარი წარმოების, ან ავტორის თანხმობით.

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ კომბინირებაზე:

გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რომელიც გთავაზობთ მომსახურებას პრეზენტაციების შესაქმნელად. უკეთესია წინასწარ იცოდეთ, თუ როგორ უნდა

შექმნათ სლაიდები, რომელთა დამატებითი ფუნქციები თქვენთვისაა შესაძლებელი. სლაიდების მხარდასაჭერად შეგიძლიათ გამოიყენოთ აუდიო და ვიდეო კლიპები. მაგალითად:

- თქვენი პრეზენტაციისთვის mp3- ჩანაწერების დამატება. ატვირთეთ იგი მარტივი მოთამაშის სერვერზე ან სხვა აუდიოჩანაწერის სერვისით. ამის შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ იგი თქვენს პრეზენტაციებში.

პრეზენტაციის დამატება SlideShare- ს საშუალებას გაძლევთ YouTube- დან ვიდეოების ჩასმისათვის. გამოიყენეთ ფოტო სლაიდები და პირდაპირი ბმული თქვენს საიტზე.

- კამტასის სტუდიის მსგავსად, შეგიძლიათ თქვენი კომპიუტერის ეკრანიდან სურათის გადაღება და პრეზენტაციაში გაზიარება. ასევე შეგიძლიათ ჩაწეროთ კომენტარი, რომელიც ამ ვიდეოს თანხმელებ თანხმობას მიიღებს.

- თქვენი პრეზენტაცია შეიძლება დაიბლოკოს ავტორის აუდიო ჩანაწერით. PODSTER- ის დახმარებით შეგიძლიათ ჩაწეროთ რეალურ ინფორმაცია თქვენი სფეროსთვის და გაუზიაროთ თანამოაზრე ადამიანებს. ჩანაწერი ინახება საიტზე, სადაც ყველას შეუძლია მოუსმინოს მას. ყველა ვიდეო დაუხარისხებელია.

რა განსხვავებაა პრეზენტაციას ვებსაიტზე და ცოცხალ შესრულებაზე?

ონლაინ პრეზენტაციაში აუდიტორიის ყურადღების ზეგავლენა არ ჩანს, გახსოვდეთ, რომ "არ გემის", თქვენ არ შეგიძლიათ ახსნა ყველა განცხადება და აუდიტორიის შეკითხვის პასუხის გაცემა, ამიტომ მნიშვნელოვანია თქვენი პრეზენტაციის სიცხადისა და ლოგიკის მონიტორინგი.

დასკვნა

სწორად შედგენილი პრეზენტაცია-ეს არის დიდი პლუსი თქვენი რეპუტაციისათვის. როგორც ჩანს, ეს ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, მაგრამ დირს ცდად, და პრაქტიკაც მოგვემთ ბრწყინვალე შედეგს: თქვენი კლიენტები მიიღებენ კიდევ ერთ სერიოზულ მიზეზს, თქვენ მიიღებთ თანამოაზრე პარტნიორებს და თავად პრესა გთავაზობთ ინტერვიუს.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. Нэнси Дуарте. Slide:ology. Искусство создания выдающихся презентаций.
2. Алексей Каптерев. Мастерство презентации. Как создавать презентации, которые могут изменить мир.
3. Мартин Сайкс, Никлас Малик, Марк Вест. От слайдов к историям. Пошаговая методика создания убеждающих презентаций

Наука о информации

ПРЕЗЕНТАЦИИ НА САЙТЕ Н. ШАКАЯ

Государственный университет Акакия Церетели
Резюме

Цель статьи - показать нам роль создания презентации по бизнесу в развитии бизнеса. Правильно оформленная презентация позволяет повысить вашу репутацию. Существует другой вид презентации, наиболее важным из которых является образовательный и

коммерческий, если вы пытаетесь увеличить продажи, руководствуется клиентом. Если целью является инвестирование, то пособие будет ориентировано на прибыльность. Вы также можете заинтересоваться средствами массовой информации.

В статье показано, что создание презентации должно быть мотивировано на сайте, а заказчик должен качественно изменить размер своей деятельности, а при составлении презентации необходимо следить за данными, которые будут способствовать представлению лучшей версии презентации.

Informacion science

PRESENTATIONS ON THE SITE

N. SHAKAIA

Akaki Tsereteli State University

Summary

The purpose of the article is to show us the role of creating a presentation on business in business development. Correctly designed presentation allows you to enhance your reputation. There is another kind of presentation, the most important of which is educational and commercial, if you are trying to increase sales, is guided by the client. If the goal is to invest, the benefit will be profit-oriented. You may also be interested in the media.

The article shows that the presentation should be motivated on the site, and the customer should qualitatively change the size of its activities, and when preparing the presentation, it is necessary to monitor the data that will contribute to presenting the best version of the presentation.

სამეცნიერო სამიანობის მხარდამჭვრი პროგრამები

თ. ნადირაძე-ბოგოლიამიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნამრობები განხილულია საქართველოში მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ხელს უწყობებს ბიზნესის განვითარებას საქართველოში. განხილულია მათი დადებითი და უარყოფითი და ნაჩვენებია პრობლემების გადაწყვეტის გება.

სამეცნიერო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა აპრობირებული მეთოდია თანამედროვე პირობებში. „აწარმოე საქართველოში“ ყველაზე პოპულალური პროექტია საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, ექსპორტის ხელშეწყობას, სასტუმრო ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და კინონდუსტრიის განვითარებას. პროექტი არამარტო აფინანსებს წარმატებულ ბიზნეს იდეებს, არამედ ხელს უწყობს ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებას და დოკუმენტაციურ უზრუნველყოფას ტრენინგებისა და კონსულტაციის გზით. საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორებს უტარდებათ ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგები და მომზადებული ბიზნეს გეგმის კონკურსში გამარჯვებულები დებულობენ თანა დაფინანსებას. გარდა ბიზნეს გეგმის შედგენის ტრენინგისა წარმატებულ ბენეფიციარებს უტარდებათ ბიზნეს აღმინისტრირების ტრენინგი.

პროგრამაში ჩართვა ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

- მონაწილე უნდა იყოს სრულწლოვანი.
- არ უნდა იყოს საჯარო მოხელე.
- არ უნდა გააჩნდეს მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.
- კონკურსში გამარჯვებული განახორციელებს 20% თანხობრივ თანადაფინანსებას, უნდა დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად (გარდა დ.დ.გ.-სგადამხდელისა).

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ იმყოფება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დაქვემდებარებაში, რომელიც ზრუნავს სამეცნიერო გარემოს გაუმჯობესებაზე. ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოებს გადაიარაღებაში, რათა გააკეთონ ექსპორტზე ორიენტაცია. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერა მდგომარეობს: საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებაში პირველი 24 თვის განმავლობაში; სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა (50%) პირველი 48 თვის განმავლობაში (არა უმეტეს 2,5 მილიონი ლარისა);

პროექტის მოთხოვნა: სესხის 80% დაიხარჯოს ძირითადი ფონდების შეძენაზე, 20% საბრუნავი საშუალებების შეძენაზე, წარმოების პროფილი უნდა შედიოდეს პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალში. „აწარმოე საქართველოში“

გასცემს სესხებს რეგიონში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის, რისთვისაც: შეიძლება გადასახადების თანადაფინანსება 24 თვის განმავლობაში არა უმეტეს 300 000 ლარისა; კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცესო განაკვეთის თანადაფინანსება 24 თვის განმავლობაში; უზრუნველყოფაში თანამონაწილები (<2,5 მლნ. ლარი); საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსება. მოთხოვნაა: სესხის 80% დაიხარჯოს ძირითადი კაბიტალური დანახახარჯებისათვის, სატუმრო უნდა მდებარეობდეს საქართველოს ტერიტორიაზე გარდა თბილისისა და ბათუმისა.

„აწარმოე საქართველოში“ დიდ ყურადღებას უთმობს ექსპორტის მოცულობის გადიდებას, კერძოდ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება:

- საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზებზე.

• სავაჭრო მისიების ორგანიზება. ექსპორტიორი კომპანიებისათვის შეხვედრების ორგანიზება.

• უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან.

• სავაჭრო პლატფორმა www.tradewithgeorgia.com-ზე რეგისტრაცია.

• ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდება. ექსპორტისთვის საჭირო სერთიფიკატებზე ინფორმაციის მიწოდება.

• უცხოურ ბაზებზე არსებულ ტარიფებზე ინფორმაციის მიწოდება, კონკრეტულ ბაზებზე ტარიფის დადგენა.

• ექსპორტ მენეჯერების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება .

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. ეს მიმართულება ეგრეთწოდებული ფანჯარაა, რომელიც ეხმარება უცხოელ ინვესტორებს საინტერესო პროექტების მოძიებაში, მეორე მხრივ ეხმარება საინტერესო იდეებს რათა მოიპოვონ დაფინანსება და იქნან განხორციელებული. ამისთვის პროექტი აკეთებს სტატისტიკურ კვლევებს აყალიბებს კომუნიკაციის ფორმებს და გეგმავს სამუშაო ვიზიტებს.

განვიხილოთ „ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა (შ) საქართველოში“ მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თ / შ პროგრამების გუნდი ახორციელებს ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების პროგრამას (შ) საქართველოში. 2003-2015 წლების განმავლობაში შ პროგრამამ შეიძინა სათანადო გამოცდილება და 176 ბენეფიციარ საწარმოსა და 100-მდე საკონსულტაციო კომპანიასთან თანამშრომლობით განახორციელა 223 პროექტი.

შ პროგრამა ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ნაწილობრივი დაფინანსების გზით. პროგრამა სთავაზობს საწარმოებს პროფესიული საკონსულტაციო მომსახურების ფართო არჩევანს და გასცემს გრანტს პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

პროექტის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, მაგრამ შეზღუდულია გრანტის თანხა, თითოეული პროექტისათვის მაქსიმუმ 10 000 ევროს ოდენობით.

შ პროგრამა არ ეხმარება საწარმოებს, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ

დახმარებას ან რადიკალურ რესტრუქტურიზაციას. შპ პროგრამა არ გასცემს სუბსიდიებს წარსულში განხორციელებული პროექტების დასაფინანსებლად.

ამრიგად პროექტის ფარგლებში კომპანია კლიენტებს გაუწევს შემდეგი სახის კონსულტაციებს: ბაზრის შესწავლა და მარკეტინგული დაგეგმვა; ბიზნესის დაგეგმვა; პროექტის განხორციელების ალბათობის შესწავლა; პარტნიორების მოძიება, რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაცია; სოფლის მეურნეობა; პროგრამა თანამშრომლობს "ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკოან"(EBRD).

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით რეგიონებში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მიკრო და მცირე გრანტების სახით დამტკიცებული გეგმების 40% ტრადიციულად სოფლის მეურნეობის დარგზე მოდის, თუმცა, ამასთანავე, აღსანიშნავია მომსახურების სფეროს კუთხით დაფინანსებული საქმიანობებიც, კერძოდ სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესები, მეტალისა და პლასტმასის სამქროები, ავეჯის წარმოება, ავტო-ტექ. მომსახურების, სილამაზისა და ესთეტიკის სალონების გახსნა. საყურადღებოა, რომ დღეისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესების 99%-ს მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ, რომლებიც არსებული სამუშაო ძალის 40%-ს ასაქმებენ, მაგრამ მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, აღნიშნული ბიზნესების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 16%-ს შეადგენს. არსებული ვითარების გამომწვევ მიზეზად ბიზნესების მხრიდან სახელდებოდა ფინანსებზე შეზღუდული წვდომა და ინფორმაციისა თუ ცოდნის ნაკლებობა.

მიუხედავად იმისა, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამა უოველწლიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება მასში ჩართული მეწარმეებიდან გამომდინარე, სააგენტო არ აღრიცხავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი მის მიერ მხარდაჭერილი კომპანია გაკოტრდა, ხოლო რამდენი აგრძელებს მუშაობას. რომელ სფეროში რა თანხის ინვესტირებაა საშუალოდ საჭირო 1 სამუშაო ადგილი შესაქმნელად და სად უფრო სტაბილურია დასაქმება. უცნობია რომელი მიმართულებით უფრო ხარჯეფექტურია სახელმწიფო ფინანსების მიმართვა. რომელ სფეროში ჯობია მეწარმეობის განვითარების სააგენტო რომ გააქტიურდეს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, სასტუმროების თუ სხვა.

ამასთან არაა დათვლილი თუ რა ოდენობის გრანტები თუ როგორი ტიპის დახმარებას მოაქვს უკეთესი შედეგი. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წელს, კოოპერატივების შექმნის წახალისების მიზნით, პროგრამის ორივე კომპონენტში (საბრუნავი საშუალებები და ძირითადი საშუალებები) განხორციელდა ცვლილებები. საბრუნავი საშუალებების კომპონენტით ძირითადად სარგებლობდნენ მიკრო და მცირე ფერმერები, თუმცა მისი ეფექტი უფრო სოციალური იყო. ფინანსური (სახელმწიფო) რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული კომპონენტი შეიცვალა და ამჟამად მის ფარგლებში ხდება მხოლოდ სეზონური პროექტების დაფინანსება გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება სესხის ქვედა ზღვარს, რომელიც 5,000-დან 20,000 ლარამდე გაიზარდა. ამ ცვლილების მიზანი იყო მცირე ფერმერების წახალისება, რომ გაერთიანდენ და შექმნან კოოპერატივები.

„გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა“

ორგანიზაცია VANTAGE-ის საქმიანობა მიზნად ისახავს ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დახმარებას საექსპორტო გაყიდვების

გაზრდაში, საერთაშორისო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის გზით.

აღნიშნული მიზნის მიღწევას **GVANTAGE** სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასთან, გადამუშავებასა და მარკეტინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დამაბრკოლებლების შემსუბუქებით ახორციელებს. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენის დანერგვის გზით **AGVANTAGE** გრძელვადიანი კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდასაც უწყობს ხელს.

პრიორიტეტული პროდუქტებია: ნედლი ხილი და ბოსტნეული - ვაშლი, კარტოფილი, სუფრის ყურძენი, მწვანილი, მანდარინი, ხახვი, კენკრა და ა.შ.; გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული - ვაშლის წვენი, გაყინული ბოსტნეული, ტყემალი, აჯიკა, ლევაის მურაბა და ა.შ.; სპეციალური ბოსტნეული - ხოკი, წაბლი, თხილი და ა.შ.; იმპორტის ჩანაცვლება - რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქტები, გადამუშავებული ხორცის პროდუქტები და ა.შ.

ორგანიზაცია საქმიანობს:

- თანამშრომლობა ქართველ მწარმოებლებთან და გადამამუშავებლებთან საერთაშორისო ბაზარზე მათი წარმატებით მუშაობის მიზნით;
- ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გასატანად სტრატეგიების დამუშავება;
- გადამუშავების ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების გაუმჯობესების მეთოდების დამუშავება;
- უცხოელი მყიდველების მოძიება და მათთან ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დაკავშირება;
- ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დახმარება ლიზინგის საშუალებით ტექნიკის შესაძენად საჭირო დაფინანსების მოძიებაში.

პროგრამა - „იაფი სესხი“. პერიოდი: 2007 -დან დღემდე. „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდა „იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამის თანდართული ქვეპროგრამები: „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამა და „რეგიონული ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამების მიზანს წარმოადგენს კერძო მეწარმეებისთვის შედავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ გზით ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების, რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილების, „იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის შედავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფა, მისი შემდგომი აღმინისტრირება და მონიტორინგი დაევალა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს.

„იაფი სესხის“ პროგრამის „რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის მიზანია კერძო მეწარმეებისათვის შედავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდით რეგიონალური ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის

ბენეფიციარები არიან ზემოაღნიშნულ სფეროში მომუშავე და ბიზნესის დაწყების მსურველი მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვეპროგრამა ფინანსდება 10 000 000 ლარით.

ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები, განხორციელების პრინციპებია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარადგენს წინასწარ შერჩეულ პროექტებს. დამტკიცებული პროექტები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის სესხად გამოყოფის მეშვეობით. ბენეფიციარ საწარმოებს მოეთხოვებათ პროექტების თანადაფინანსება (თანამონაწილეობა) და სესხების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი დასაშვებია პირველადი იპოთეკით, მაღალრეიტინგული კომერციული ბანკების გარანტით, მაღალრეიტინგული სადაზღვევო კომპანიების მოწმობით (პოლისით) ან პირველადი გირავნობით.

ბენეფიციარი საწარმოები კვარტალურად ამზადებენ და წარუდგენენ ინფორმაციას ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, წარუდგენს მათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის სექტორებში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ, აგრეთვე აღნიშნულ სექტორებში ბიზნესის დაწყების მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში საკუთარ საქმიანობას განავითარებენ საქართველოს რეგიონებში.

„იაფი სესხის“ პროგრამის „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამის მიზანია, საქართველოს მთავრობამ იაფ სესხები ხელმისაწვდომობის გაზრდით ხელი შეუწყოს ახალი საწარმოების შექმნას საქართველოს რეგიონებში, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ზრდას და მათ აქტიურ დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზარზე. „ექსპორტის წახალისების“ პროგრამა ასევე გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ინვესტიციების მოზიდვას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. პროგრამის საერთო ფონდი 25 000 000 ლარია.

„100 ახალი სასოფლო-სამუშაო“ პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და აგრობიზნესის განვითარება, რეგიონებში სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების ამუშავების გზით სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა და შედეგად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

პროგრამის განხორციელების მიზნით, მთავრობის მიერ შერჩეულ იქნა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამუშაო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც ფორმირებულ იქნა 100-ზე მეტ ლობად. აღნიშნული ლობების გარდა შესაძლებელია, ინვესტორმა თავად შეარჩიოს სასურველი მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამუშაო დანიშნულების (მინიმალური ფართი 5ჰა) მიწის ფონდიდან, ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომელთა საკუთრებაში არის სასოფლო-სამუშაო მიწის არანაკლებ 5ჰა.

პროგრამის ამოცანებია: სოფლის მეურნეობის საწარმოების შექმნის ხელშეწყობა; სასოფლო-სამუშაო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მარკეტინგის განვითარება;

ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილის გაზრდა შიდა ბაზარზე; სასოფლო-სამუშაო პროდუქციის მოცულობის ზრდა და ექსპორტის

ხელშეწყობა; რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვა; რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია: ინვესტორი, გამარჯვების შემთხვევაში, იხდის ლოტის დირებულების 20%-ს; წინასწარ შეთანხმებული პირობების შესრულების შემთხვევაში, ინვესტორი მიიღებს ლოტზე 80%-იან ფასდაკლებას. პროგრამის ფარგლებში განიხილება სამი ტიპის პროექტი : პირველადი წარმოება - მეცხოველეობა, მესაქონლეობა, მედორეობა, მეფრინველეობა, მეფუტერეობა, მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა და ა.შ. აგრეთვე, მემცენარეობა: მეხილეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა და სხვ; გადამუშავება - დახარისხება - დაფასოება, შეყინვა და მეორადი გადამუშავება, გაყინვა, კონსერვირება, პრესერვირება; საწარმო ჯაჭვი - სოფლის მეურნეობის პროდუქტის შენახვის, გადამუშავების, სასაქონლე სახის მიცემისა და ბაზარზე დამკვიდრების მთლიანი ციკლი. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები: შემოთავაზებული უმაღლესი ფასი; წარმოდგენილი ბიზნესგეგმის დამაჯერებლობა და აქტუალობა; დადგენილი სამუშაო ადგილების რაოდენობა; დადგენილი ინვესტიციების მოცულობა; პროექტის განხორციელების ვადა; გადასამუშავებელი ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის შეფასებითი მოცულობა.

სამწუხაროდ ამ პროგრამებზე თანმიმდევრული მონიტორინგისა და სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო მათ ეფექტურობაზე დასკვნების გაკეთება ძალიან გართულებულია, რაც ჩვენი აზრით ცალკე კვლევის და შესაბამისი სამსახურების ძალისხმევის საგანს წარმოადგენს.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის უმნიშვნელოვანებისა სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა იმისათვის, რომ სწორად დაგეგმოს და განახორციელოს მისი საქმიანობა. დღისათვის ის ფაქტობრივად ბრმად ხარჯავს სახელმწიფო ფინანსებს. მისთვის უცნობია, როგორც პროგრამის პირდაპირი შედეგები, ასევე მისი არაპირდაპირი ზეგავლენა ეკონომიკაზე.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. მიკრო ბიზნესის წამოწყება/გაფართოება <http://qartuli.ge/geo/main/micro-and-small-business/>
2. საქართველოს მთავრობის განკარგულება 395 2008 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი, სახელმწიფო პროგრამა“იაფი კრედიტის“, „რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული საწარმოს გამარჯვებულად დამტკიცებისა და სესხის გამოყოფის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188673>.

Экономика и бизнес

ПРОГРАММЫ ПОДДЕРЖИВАЮЩИЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКУЮ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ

Т. НАДИРАДЗЕ-ГОГОЛАДЗЕ

Государственный Университета Акакия Церетели

Резюме

В статье рассмотрены некоторые действующие программы поддерживающие предпринимательскую деятельность. Отмечены положительные стороны и недостатки этих программ и показаны пути решения проблем.

Economics & business

ENTREPRENEURIAL ACTIVITIES SUPPORTING PROGRAMS

T. NADIRADZE-GOGOLADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The paper deals with several important projects that promotes business development in Georgia. It discusses positive and negative sides and also shows the ways to solve problems.

სამეცნიერო სამთანიშვილო კაფებით უზრუნველყოფის პრობლემები
სამართველოში

თ. ნადირაძე-ბობოლაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნამრობელი განხილულია ის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით დგას საქართველოს წინაშე ძინების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის დარგში. დასახულია გზები, რომლებიც დაეხმარება მოსახლეობას გაერკვეს მოთხოვნად სპეციალობებში და მიიღოს შესაბამისი გადამზადება. საჭიროა უნივერსიტეტების როლის გაზრდა კადრების გადამზადების საქმეში და შესაფერისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის მოტივაციის ზრდა შრომის უნარების დაუფლებაში.

მსოფლიოში საინოვაციო პოლიტიკა განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად არის მიჩნეული. ეს განაპირობებს ინოვაციური განვითარების იდეების განხორციელებას, ამიტომ ჩვენი კვლევის აღრესატს წარმოადგენს უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები, მეწარმეთა და ფერმერთა გაერთიანებები, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები. კადრების მოთხოვნის მიხედვით გადამზადება ხელს შეუწყობს ნოვაციების დანერგვას წარმოებასა თუ მომსახურებაში და დაგვეხმარება მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. იმისათვის, რომ დროის შესაბამისად მოვამზადოთ კადრები საჭიროა შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც მჭიდროდ ითანამშრომლებენ უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანიზაციები, მეწარმეები და ფერმერები, საკონსულტაციო სამსახურები. მათი ერთობლივი მუშაობით მიიღწევა ინოვაციური მიმართულებების საკადრო უზრუნველყოფა, ეს კი ქვეყანას კონკურენტულს გახდის მსოფლიო დონეზე.

უწყვეტი განათლების კონცეფცია დინამიურად ცვალებად მსოფლიოში განვითარების გარანტიას წარმოადგენს. უწყვეტი განათლების პირობებში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობა, განსაკუთრებით საკურადღებო და მნიშვნელოვანია ისეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვენებისათვის როგორიც საქართველოა. გადამზადების პროცესი დიდი ინტენსივობით უნდა მიმდინარეობდეს იმ მიმართულებით, რომელიც საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის არსებული მდგომარეობისათვის. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

ამჟამინდელი მდგომარეობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი ახორციელებს 70-ზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ პურსებს. სულ ცენტრმა ბოლო 3 წლის მანძილზე გადამზადა 4000-მდე მსმენელი, მათ შორის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო ტრენინგ-მოდულები გაიარა 2500-ზე მეტმა ლექტორ-

მასწავლებელმა რაც თვალსაჩინოა გასული წლების მაჩვენებლებთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, რეგიონის ინოვაციური პოტენციალი თავის თავში მოიცავს ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ სისტემას. ახლა გვინდა შევჩერდეთ უმაღლესი სკოლის ინოვაციურ პოტენციალზე. ინოვაციური პოტენციალის განვითარება შეიძლება მოხდეს ორ გვარად: ინერციული გზით და აქტიურად. უფრო მომგებიანი აქტიური მიმართულებაა, ამისთვის კი სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს გაფართოებული ინოვაციური კვლავწარმოების მთელი რიგი ზომების შემუშავება და რეალიზაცია. ამასთან ფინანსური რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს პრიორიტეტული პროექტების მხარდასაჭერად, ისეთი პროექტებისა, რომლებიც სინერგიულ ეფექტს იძლევა მთელი ეკონომიკისათვის. მდგრადი განვითარების მაქსიმალური ტემპი შეიძლება მიღწეული იქნას იმიტაციური ინფესტიციური ზრდიდან ინოვაციურ ზრდაზე გადასვლის გზით. ჩამოყალიბებული სამეცნიერო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და განვითარების პროგრამების გაერთიანებით შეიძლება შეიქმნას კეთილსამედო გარემო ინოვაციური სექტორის ხედრითი წილის გაზრდისთვის, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებელი დაწესებულებები. ძირითადი მაჩვენებელი ინოვციური მოდგაწეობისა შეიძლება იყოს ინფესტიციური მიმზიდველობა. თუ ქვეყანა ხელს არ შეუწყობს მის ტერიტორიაზე გამრავლდეს სამეცნიერო-აკლევითი დაწესებულებები, საკონსტრუქტორო ონგარიზაციები, უმაღლესი სკოლები, სამეცნიერო ტექნიკური დანაყოფები, პროფესიული დაწებულებები, მაშინ ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ბრძოლა ინოვაციური სრულყოფისათვის და შესაბამისად ინფესტიციების მოდინებაც. ინოვაციურ განვითარებას ხელს შეუწყობს ტექნიკარების, დარგთა შორისი ინფორმაციული ცენტრის, კონსალტინგური ფირმების შექმნა. კარგი გარემო შეიძლება შექმნას უნივერსიტეტების აქტიურმა ინოვაციურმა მოდგაწეობამ. დაინტერესება შეიძლება გაიზარდოს ინოვაციების კომერციალიზაციის გზით. გაფართოებული ინოვაციური კვლავწარმოების ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს უნდა შეადგენდეს :

- ცოდნის გენერაციის ქვესისტემა, უმთავრესად უმაღლესი სკოლა და ამასთან განათლების და პროფესიული მომზადების სფერო.

- ინოვაციური მომსახურეობის და პროდუქციის წარმოების ქვესისტემა.

- ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც თავის თავში მოიცავს კვლავწარმოების ფინანსურ უზრუნველყოფას.

არაკონკურენტულ საფუძველზე გაცემული საბიუჯეტო რესურსები ხელს უშლის პრიორიტეტულ მიმართულებაში მეცნიერული კვლევების წარმართვას.

კვალიფიციური მენეჯერების, პატენტოლოგების, იურისტების უკმარისობა ხელს უშლის ინტელექტუალური მოდგაწეობის ობიექტების მიერ ეფექტური პოლიტიკის რეალიზებას.

საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის ბაზად უნდა იქცეს სამეცნიერო-ინოვაციური კომპლექსები. უმაღლესი სკოლის სტრუქტურაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანაყოფებთან ერთად უნდა შედიოდეს ინოვაციური და ბიზნეს სტრუქტურები.


სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ინოვაციური და საწარმოო მოდგაწეობის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და პუმანიტარული მომზადების ინტეგრაცია საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ და რეალიზება გავუკეთოთ სასწავლო

პროცესში ინოვაციურ და საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც დაგვეხმარება მრავალდონიანი სკულპტურული მომზადებაში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კადრების მომზადებას მაღალ ტექნოლოგიებზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია ინოვაციების მართვაში აქტიურად ჩავრთოთ ახალგაზრდობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს:

- ეკონომიკური აქტივობის ზრდას.
- შიგა ბაზრის განვითარებას.
- რეგიონის რესურსების სრულ გამოკვლევას.
- ბიზნესის ინოვაციური აქტივობის ზრდას.
- ახალი ტექნოლოგიების და ნოუ-ჰის დანერგვას.
- საერთაშორისო, რეგიონთაშორისი კავშირების შექმნას და განვითარებას.
- დასაქმებულობის და ცხოვრების დონის ზრდას.

საინტერესოა როგორ იყენებენ ბიზნესმენები ადგილობრივ რესურსებს. მათ მიერ ადგილობრივი რესურსების გამოყენება ძალიან დაბალია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ინფორმაციის მიუწვდომლობით ან თვითონ ბიზნესის მხრიდან იმ კადრის არ არსებობით, რომელიც შეძლებდა ინფორმაციის მოპვებას. მდგრამარეობის ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ როგორ ეწყობა ხელი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირებას, რომელიც ასე რიგად საჭიროა. საინტერესოა, რომ ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტი გარდა იმისა, რომ დგას ქვეყნისა და რეგიონისათვის უმაღლესი განათლების კადრების მომზადების სამსახურში, ასევე ხელს უწყობს იმ საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირებას, სადაც ხდება კადრების გადამზადება პროფესიულ პროგრამებზე. იმ პროგრამებზე, რომელზეც დიდი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე.



სქემა 1. მოსწავლეთა აქტივობა პროფესიულ პროგრამებზე

პროგრამები: 1. ძრავის შემკეთებელი; 2. სავალი ნაწილის ტექნიკოსი; 3. სამაცივრე მოწყობილობის ტექნიკოსი; 4. ელექტრიკოსი; 5. მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი; 6. სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაცია; 7. სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი; 8. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი; 9. გიდი; 10. აგროლოჯისტიკის ოპერატორი; 11. მცირე ბიზნესის მწარმოებელი; 12. პიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი; 13. სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი; 14. ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; 15. ავტომობილის ზეინკალი; 16. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი; 17. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნიკოსი; 18. ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი.

თუ დავაკვირდებით 2014-2017 წლებში ამ სპეციალობაზე გადამზადებული მოსწავლეების რიცხოვნობას, რომელიც მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი მივხვდებით თუ რა პროფესიებზე იზრდება მოთხოვნა, რა პროფესიების შესწავლას სჭირდება მოტივაცია. საჭიროა სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს პროფესიული სწავლების ასეთ ფორმებს, განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულებების (როგორიც არის უნივერსიტეტი) ფარგლებში. ეს დაზოგავს მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გაამარტივებს მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მოძიებას და ეკონომიკურად მიმზიდველი იქნება.

ახალგაზრდობა ქვეყნისათვის კველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა, როგორც დემოკრატიული განვითარების ასევე ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზაცია საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების, თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების განუხრევლ ყურადღებას.

საქართველოს მოსახლეობის მსოშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. იმათგან, ვინც მუშაობს ოფიციალურად, დაახლოებით 50% დაკავებულია საბიუჯეტო სექტორში, დაახლოებით 16% - სახელმწიფო კომპანიებში. კერძო სექტორი ჯერჯერობით ვერ თამაშობს აქტიურ როლს დასაქმების საკითხში. მიუხედავად უმუშევრობის მაღალი დონისა ახალგაზრდებში, საქართველოს ამ მხრივ თავისი სპეციალისტი აქვს: 2003 წლის შემდეგ. მმართველობით ორგანოებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა მოსვლამ გააჩინა ერთგვარი ეიჯიზმის სინდრომი – მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული დამოკიდებულება საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ.

საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვანი ყურადღების საგანი უნდა გახდეს ქვეყნისათვის. ამ პრობლემის გადაჭრა და ახალგაზრდების სამეცარმეო გარემოში ჩართვა დაგვეხმარება, როგორც უმუშევრობის დონის შემცირებაში, ასევე ახალგაზრდა ჯანსაღი სამუშაო მაღის ქამყნიდან გადინების აღკვეთაში.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდების მეწარმეობრივი შესაძლებლობების რეალიზაციის და მათი ამ პროექტებში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

პრობლემა თვით ამ ახალგაზრდების ინდიფერენტული დამოკიდებულებაა და მოტივაციის დაბალი დონეა.

რეგიონებში არსებული მმიმე სოციალურ- ეკონომიკური პირობები აღრმავებს ახალგაზრდობის გულგრილ დამოკიდებულებას საკუთარი ბიზნესის დაწყების გუთხით. ბევრს გააჩნია გარკვეული აზრი, მაგრამ ვერ ხედავს გაყიდვების ბაზარს ადგილზე. ეს პრობლემა მძაფრად დგას სოფლის მეურნეობაშიც.

ცხადია კერძო საფინანსო სექტორისათვის ახალგაზრდების დაფინანსება მით უმეტეს დასაწყისში დიდ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფო და საერთაშორისო სექტორს შეუძლია ახალგაზრდა მეწარმეებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა იაფი კრედიტის ან გრანტის გაცემის გზით. ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფესიების მოთხოვნაზე, თუ რომელ პროფესიაზეა უფრო მეტი მოთხოვნაა ქვეყანაში.

გამოკითხვებმა აჩვენა ის საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონში ბიზნესის განვითარებას:

- არასტაბილური ეკონომიკური გარემო (არამდგრადი საგადატო კურსი და მოსახლეობის დაბალი მსჯედველურნარიანობა).

- კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატაკლიზმები (ძირითადად სოფლისმეურნეობაში).

- შიდა და გარე მიგრაცია.

- რეგიონში განვითარებულ დარგებში არსებული მაღალი კონკურენცია.

საქართველოში შრომის უნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია, რაც ხელს უწყობს მათ ქვეყნიდან გადინებას.

არ ტარდება კვლევები რა სახის სპეციალისტებზეა მოთხოვნა, რა შეიძლება გახდეს მოთხოვნადი უახლოეს მომავალში. პრობლემაა კვალიფიციური კადრის და დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირება. საინტერესო იქნება უნივერსიტეტებში შეიქმნას „კარიერული წინსვლის“ განყოფილებები სადაც მოთავსდება ინფორმაცია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დასამქმებელთაოვის. ეს თავის მხრივ გაზრდის კარგად სწავლის მოტივაციას და თან საშუალება იქნება დასამქმებელთაოვის სწორი ინფორმაციის მიღებაზე.

აქედან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო დონისძიებათა ნუსხა:

-სახელმწიფო სტრუქტურებმა მთელი ძალისხმევა უნდა მიმართონ ახალგაზრდებში მოტივაციის დონის ამაღლებისათვის, კერძოდ, უნდა დაფინანსდეს წარმატებული ახალგაზრდული პროექტები და უნდა მოხდეს მათი პოპულარიზაცია. ეფექტური იქნება გამოფენების და შეხვედრების მოწყობა ახალგაზრდებისათვის:

-განათლების და ცოდნის დონის ამაღლება. გამრავლდეს რეგიონში პროფესიული გადამზადების ცენტრები.

-გამოვლინდეს პრიორიტეტული სფეროები რეგიონში და მოხდეს მათი რეკლამირება.

-ეველაფერი იქნას გაპეტებული კერძო სექტორის და ახალგაზრდობის იდეების დასაახლოვებლად.

-ახალგაზრდობისათვის გრანტების და სხვა სახის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

-სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება ახალგაზრდობის ინოვაციურობის მხარდასაჭერად.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ქობულაძე ნ. უწყვეტი განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო <http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI2015/eJournal/Papers/KobuladzeNato.pdf>.
2. როსტიაშვილი თ. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2009.
3. ატიონალ შტატისტიკს ფფიცე თვ ეორგია; მპლოყმენტ ანდ ნემპლოყმენტ წწწ. გეოსტატ. გე ისტრიბუტიონ თვ პოპულაციონ აგ თვ 15 ანდ თლდერ ბე ეცონომიკ სტატუს ინ ურბან არეას, 1998—2009.

Экономика и бизнес

ПРОБЛЕМЫ ОБЕСПЕЧЕНИЯ КАДРАМИ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Т. НАДИРАДЗЕ-ГОГОЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В работе рассмотрены существующие на сегодняшний день в Грузии проблемы обеспечения квалифицированными кадрами бизнес. Приведены решения, которые помогут людям определить востребованные специальности и пройти соответствующую переподготовку. Необходимо повысить роль Университетов в переподготовке кадров и создание соответствующей инфраструктуры. Важно также повысить мотивацию молодежи для повышения трудовых навыков.

Economics & business

PROBLEMS OF PROVIDING SKILLED WORKERS TO ENTREPRENEURIAL

ACTIVITIES IN GEORGIA

T. NADIRADZE-GOGOLADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The paper discusses the problems that are present in Georgia in the field of providing qualified personnel to business. There are ways to help the population learn about special needs and take appropriate training. It is necessary to increase the role of universities in staff training and to develop suitable infrastructure. It is important to motivate youth to master labor skills.

სამრეწველო აირების გოგირდის დიოქსიდისან გაფანდის სტელი
და მშრალი მეთოდები

ლ. გოგირდი, ნ. ხაზარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისთვის ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის სწრაფ განვითარებასთან ერთად ხორციელდება გარემოს ძლიერი დაბინძურება მავნე ნივთიერებებით, რაც იწვევს გარემოში არსებულ კანონზომიერებათა დარღვევას. ნაშრომში განხილულია გოგირდის დიოქსიდის მავნე ზეგავლენა გარემოზე და დახასიათებულია გაწმენდისა სველი და მშრალი მეთოდები.

ცნობილია, რომ ყველაზე უფრო მეტად ჰაერს აბინძურებს სამრეწველო წარმოება, კერძოდ, საწარმოების მიერ გამოყოფილი მავნე აირები. ამ მხრივ გამოირჩევა მეტალურგიული წარმოება. SO₂-ით ჰაერის გაჭუჭყიანების მნიშვნელოვანი წყაროა აგლომერაციული საწარმოები. კოქსოქიმიური საწარმო ჰაერს აჭუჭყიანებს მტვრით და აქროლადი ნაერთებით, ხოლო ფერადი მეტალურგიის გამონაყოფი აირები შეიცავს ტოქსიკურ მტვრისებურ ნივთიერებებს.


თბოელექტროცენტრალები და საქვაბე დანადგარები სათბობის წვის შედეგად ატმოსფეროში გამოყოფენ ნამწვ აირებს. გაჭუჭყიანების რაოდენობა დამოკიდებულია საწვავის ხარისხზე. ქვანახშირის წარმოებაში გაჭუჭყიანების წყაროა ფუჭი ქანების ნაყარი და ტერიკონიკები, რომელთა შიგნითაც მიმდინარეობს თვითწვის ხანგრძლივი პროცესი. პირიტისა და ნახშირის წვის შედეგად გამოიყოფა გოგირდის დიოქსიდის და ნახშირბადის უანგეულები და ფისვან ნივთიერებათა გამოხდის პროდუქტები. SO₂-ის შემცველი ნარჩენი აირებით ატმოსფეროს დაბინძურების ძირითადი წყაროებია: მეტალურგიული წარმოება (ჰავი და ფერადი), თბოენერგეტიკული დანადგარები, სადაც იწვის გოგირდშემცველი სათბობი და ასევე ქიმიური მრეწველობა. SO₂-ის შემცველი ნარჩენი აირების შედარებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სპილენძსადნობი წარმოება.

ნამწვი აირები SO₂-ის მცირე შემცველობით მიიღება ასევე სხვადასხვა საწარმოებიდანაც. მაგ: გოგირდმჟავის წარმოების კონტაქტური აირები, რომლებიც მიიღება გოგირდმჟავის წარმოებისას საკონტაქტო აპარატში SO₂-ის SO₃-ად გარდაქმნისას და SO₃-ის შთანთქმისას, რადგანაც არცერთი პროცესი სრულყოფილად არ ხორციელდება. მინის წარმოების ნარჩენი აირები. მინის წარმოებაში ხოდას ეკონომის მიზნით ცვლიან ნატრიუმის სულფატით. მინის ხარშვის პროცესში ნატრიუმის სულფატიდან გოგირდი გადადის ნარჩენ აირში SO₂-ის სახით. თუ ხოდის 50-70%-ს ნატრიუმის სულფატით შეცვლით, მაშინ ნარჩენ აირში SO₂-ის შემცველობა აღწევს 0.25-0.3

გოგირდის დიოქსიდი მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც უარყოფით, მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, გარემომცველ ბუნებაზე, ფლორაზე, ფაუნაზე. მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება ირდვევა, თუ ჰაერი შეიცავს 0.0002%-ზე მეტ SO_2 -ს. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჰაერში არსებული ტენის რაოდენობა. ტენის მომატებისას მცენარის სახეობისგან დამოუკიდებლად, მათ მიერ გოგირდის დიოქსიდის ამთვისებლობა სწრაფად იზრდება. გოგირდის დიოქსიდის მავნე ზემოქმედების მიმართ ყველაზე უფრო მგრძნობიარები არიან პარკოსნები, მარცვლოვანი კულტურები და წიწვოვანი მცენარეები. ხეხილს ნაკლები მიდრეკილება გააჩნია დიოქსიდის ზემოქმედებაზე. ატმოსფეროში გოგირდის დიოქსიდის ხანგრძლივობა განსაზღვრულია, რადგანაც მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა რეაქციებში (ფოტოქიმიური, კატალიზური და სხვა), იუანგება და წარმოქმნის სულფატებს. ნაწილობრივ SO_2 ფოტოქიმიური დაუანგვის შედეგად გარდაიქმნება SO_3 -ად $\text{SO}_2 + \text{O}_2 = 2\text{SO}_3$ რომელიც რეაგირებს ატმოსფეროში არსებულ წყლის ორთქლთან გოგირდმჟავის აეროზოლის წარმოქმნით



SO_2 -ის ძირითადი ნაწილი ტენიან გარემოში – ჰაერში წარმოქმნის მჟავა ჰიდრატს $\text{SO}_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$, თანდათანობით იუანგება სულფატამდე.



და მჟავა წვიმის სახით ბრუნდება დედამიწაზე.

სამრეწველო და ნარჩენი აირების გოგირდის დიოქსიდისგან გაწმენდის მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია გასაწმენდი აირის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, თვითონ აირში გოგირდის დიოქსიდის კონცენტრაციაზე, ასევე აირში სხვა მინარევების არსებობაზე, ადგილობრივ პირობებზე. მეთოდის არჩევისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ წარმოების მასშტაბი, ადგილობრივი ნედლეულის არსებობა, რომელიც საჭიროა მშთანთქმელი ხსნარის მოსამზადებლად და გაწმენდის შედეგად მიღებული პროდუქტის მოთხოვნილება. არსებობს აირების გოგირდის დიოქსიდისგან გაწმენდის სველი და მშრალი მეთოდები.


აირების SO_2 -გან გაწმენდის სველი მეთოდები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1) ამიაკური მეთოდები – აირების SO_2 -გან გაწმენდისას ერთდროულად მიიღება ამონიუმის სულფიტი და ბისულფიტი, რომლებიც გამოიყენება როგორც სასაქონლო პროდუქტი, ან შლიან მჟავით მაღალკონცენტრული SO_2 -ის და შესაბამისი მარილის წარმოქმნით.

2) ნეიტრალიზაციის მეთოდი – ამ დროს მიიღება სულფიტი და სულფატი.

3) კატალიზური მეთოდი – დაფუძნებულია SO_2 -ის დაუანგვაზე კატალიზატორის არსებობისას განზავებული გოგირდმჟავის მიღებით.

აირების გაწმენდა SO_2 -გან ამიაკური მეთოდით. ამიაკური მეთოდით ნარჩენი აირების SO_2 -გან გაწმენდა ეფუძნება $25-30^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე SO_2 -ის ამონიუმის სულფიტ-ბისულფიტის წყალსნართან ურთიერთქმედებაზე რეაქციის განტოლებებით:





გოგირდის დიოქსიდის მშთანთქმელად ამიაკური წყლის გამოყენებას სხვა მშთანთქმელებთან შედარებით (მწვავე ნატრიუმი, სხვადასხვა ტუტები)

წყალსხმარები) ახასიათებს თავისებურება, რაც ამიაკის აქტოლადობაში გამოიხატება.

აირების გაწმენდა SO_2 -ის ნეიტრალიზაციით მეთოდით

სოდის მეთოდი დაფუძნებულია SO_2 -ის სოდის ხსნარით შთანთქმაზე. ბისულფიტის წარმოქმნის პროცესი რამოდენიმე სტადიად მიმდინარეობს, წარმოიქმნება ბიკარბონატი და სულფიტი



აირში 0,3%-ზე ნაკლები გოგირდის დიოქსიდის შემცველობისას SO_2 -ის სასაქონლო პროდუქტად მიღება გამნელებულია, რადგანაც პარალელურად მიმდინარეობს $NaHSO_3$ -ის დაუანგვა თხევად ფაზაში. ამ შემთხვევაში ხსნარი აუცილებლად უნდა გაჯერდეს SO_2 -ით.

აირების გაწმენდა კატალიზური მეთოდებით

კატალიზურ მეთოდებს მიეკუთვნება ის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ უტილიზირებული SO_2 -ის უშავლო გადამუშავებას გოგირდებად. ცნობილია კატალიზური გაწმენდის მეთოდის რამოდენიმე სახესხვაობა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება გამოყენებული კატალიზატორის ბუნებით და მექანიზმით. ესენია: პიროლიზური, ოზონკატალიზური, რკინის, თხევად-კონტაქტური და ა.შ.

აირების SO_2 -გან გაწმენდის მშრალი მეთოდები

სოდა-ალუმინური მეთოდი ხორციელდება სორბენტის შეტივტივებულ და უძრავ ფენაზე. SO_2 -ის შემცველი ნამწვი აირი შედის 315°C CO რეაქტორში ნატრიუმის ალუმინატით. აირის ურთიერთქმედებით სორბენტან წარმოიქმნება ნატრიუმის სულფატი და ალუმინის ოქსიდი. სორბენტის რეგენერაცია ხორციელდება 650-780°C აღმდეგნი აირის დამატებით, რომელიც მიიღება გაზოილის გაზიფიკაციით ან ბუნებრივი აირის კონვერსიით. ამრიგად სულფატური გოგირდი აღდგება გოგირდწყალბადის წარმოქმნით, რომელიც გამოიყენება კლაუსის მეთოდით გოგირდის მისაღებად, ხოლო რეგენერაციული სორბენტი ბრუნდება ციკლში. SO_2 -ის ამოდების ხარისხი შეადგენს 90%-ს.

ოქსიდ-მანგანუმიანი მეთოდი დაფუძნებულია ორთქლისგან გაწმენდილი ცხელი აირის ურთიერთქმედებაზე მანგანუმის ოქსიდის Mn_2O_3 ფხვნილთან აბსორბერში 130-330°C ტემპერატურაზე $MnSO_4$ -ის წარმოქმნით. ადსორბენტს ამუშავებენ ამიაკით ან NaO -ის ხსნარით $MnSO_4 + 2NaOH = MnO + Na_2SO_4 + H_2O$ MnO იუანგება ჰაერის ჟანგბადით Mn_2O_3 -მდე, გამოაშრობენ და ბრუნდება პროცესში, ხოლო ნატრიუმის სულფატის ხსნარს აორთქლებენ სასაქონლო პროდუქტის გამოყოფამდე ან განიცდის ელექტროლიზს, რის შედეგადაც ა რეგენერირდება და წარმოიქმნება განზავებული გოგირდმჟავა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სასაქონლო პროდუქტი

ოქსიდ-სპილენიანი მეთოდი დაფუძნებულია ალუმინის ოქსიდზე დაფენილი სპილენის ოქსიდის ხორბენტის გამოყენებაზე. SO_2 -ის სპილენის ოქსიდთან ურთიერთქმედებისას, ჟანგბადის არსებობისას, მიიღება სპილენის სულფატი (300°C ტემპერატურაზე). სორბენტის რეგენერაცია ხდება ამიაკით 450°C-ზე. წარმოქმნილი გოგირდის დიოქსიდი (38%) გადამუშავდება, ხოლო აღდგენილი სორბენტი ბრუნდება ციკლში. მეთოდის ნაკლია პროცესის სირთულე, გაწმენდის

დაბალი ხარისხი და შედარებით ძვირადღირებული ნაერთის – ამიაკის მნიშვნელოვანი ხარჯი.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. Атмосфера воздух, его загрязнение и охрана. www.ecosistema.ru. 28.05.2006
2. В. Страус. Промышленная очистка газов, Москва, Химия, 1981, ст.616.
3. Энергетика и окружающая среда. www.energo.ru. 20.07.2005

Химическая инженерия

ВЛАЖНЫЕ И СУХИЕ МЕТОДЫ ОЧИСТКИ ПРОМЫШЛЕННЫХ ГАЗОВ ОТ ДИОКСИДА СЕРЫ

Л. ГОБЕДЖИШВИЛИ, Н. ХАЗАРАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Сегодня, при быстром развитии химической и нефтеперерабатывающей промышленности, загрязнение окружающей среды вызвано вредными веществами, которые вызывают нарушение существующих процессов в окружающей среде. В статье рассматривается вредное воздействие диоксида серы на окружающую среду, а также влажные и сухие методы очистки промышленных газов.

Chemical engineering

WET AND DRY METHODS FOR CLEANING INDUSTRIAL GASES FROM SULFUR DIOXIDE

L. GOBEISHVILI, N. KHAZARADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

Today, with the rapid development of the chemical and oil refining industry, environmental pollution is caused by harmful substances that cause disruption of existing processes in the environment. The article deals with the harmful effect of sulfur dioxide on the environment, as well as wet and dry methods of cleaning industrial gases.

Химическая инженерия

ЭКСПЕРИМЕНТ И ОПТИМИЗАЦИЯ ПРОЦЕССОВ ЭКСТРАКЦИИ
ЧАЙНЫХ ЛИПИДОВ

ЦУЦКИРИДЗЕ Н. Р.

Государственный Университет Акакия Церетели

Выбраны параметры оптимизации процесса экстракции чайного сырья водой-концентрация сухих веществ в экстракте и качество продукции; Реализованна матрица центрального композиционного ротатабельного планирования эксперимента второго порядка и получены адекватные уравнения регрессии. Оптимальные режимы производства найдены методом неопределенных множителей Лагранжа дополниий эксперимент, проведенный оптимальных режимах экстракции чайного сырья, дал хорошую сходимость: расхождения не превышали 5% для качества целого продукта и 7% для концентрации сухих веществ.

Скорость диффузии липидной фракции при экстрагировании растительного сырья зависит от многочисленных факторов, учет которых не всегда представляется возможным. Лабораторные исследования позволили выбрать параметры оптимизации, влияющие на них факторы и их уровни. Условия эксперимента при экстрагировании липидной фракции чая органическим растворителем (трихлорэтиленом) приведены в таблице 1.

Таблица 1
Условия эксперимента при экстракции чайных липидов

Факторы	Температур а $t^{\circ}\text{C}$	Время $\tau, \text{ч.}$	Соотношени е раств/ чай н, л/кг	Доля нежной фракц. K, %
Кодовое обозначение	X_1	X_2	X_3	X_4
Основной уровень	60	6,5	5	30
Интервал варирования	10	1,5	1	10
Нижний уровень	50	5,0	4	20
Верхний уровень	70	8,0	6	40
«Звёздная точка»-2	40	3,5	3	10
«Звёздная точка»+2	80	9,5	7	50

Параметрами оптимизации были приняты:

1. Выход целевого продукта из единицы сырья В, кг/т,
2. Энергозатраты на переработку единицы сырья З_э, доллар/т,
3. Производственные затраты на выработку единицы продукта С_п, доллар/кг,
4. Себестоимость продукции С_с, доллар/кг.

Реализация матрицы центрального композиционного ротабельного планирования второго порядка (ЦКРП) позволила получить следующие адекватные уравнения регрессии:

$$B=50+2,5X_1+2X_2+3X_3+1,5X_4-0,6X_1^2-0,6X_2^2-0,2X_3^2-0,5X_4^2-1,5X_1X_4 \quad (1)$$

$$Z_e=125+6X_1+7X_2+15X_3+4X_1^2+3X_1X_3 \quad (2)$$

$$C_p=(Z_e+240)/B \quad (3)$$

$$C_c=(Z_e+240+3c)/B \quad (4)$$

Где З_э - стоимость 1 тонны чайного сырья в долларах.

Значимость коэффициентов уравнений регрессии проверена по критерию Стьюдента, а адекватность моделей – по критерию Фишера. Данные сведены в табл.2

Таблица 2

К статистическому анализу уравнений регрессии (1) –(4)

Показатели	f ₁	f ₂	S _y ²	S _{нед}	F _{расч.}	F _{табл.}
B	6	10	12	27,96	2,33	4,06
Z _э	6	19	28	70,85	2,53	3,90

Анализ одномерных сечений поверхностей откликов (рис.1) показывает, что все рассмотренные факторы существенно влияют на параметры оптимизации. Исключение составляет только X₄ (доля нежной фракции в сырье), который практически не оказывает влияния на энергозатраты Z_э. Для параметра В (выход целевого продукта) все факторы имеют экспериментальные (максимумы) точки в области эксперимента или близи нее:

X₁=1,67, X₂=2,08, X₃=1,875, X₄=1,5. Для параметра Z_э (энергозатраты) экспериментальные точки (минимумы) имеет только X₁=-0,75. При увеличении факторов X₂ и X₃ энергозатраты линейно увеличиваются. Все факторы для параметров оптимизации C_п и C_с имеют экспериментальные (минимумы) точки. Видно, что оптимальные параметры следует искать при X₁, X₂, X₃>0.

Анализ уравнений (1)-(4) показывает, что доля энергозатрат на единицу продукции составляет не более 20%, других производственных затрат – до 35%, а остальное приходится на сырье, при этом, последние две затраты можно считать условно постоянными величинами, соответственно, 240 и 350 долларов на тонну сырья.

Для решения задачи оптимизации производственного процесса экстрагирования липидной фракции чая нелинейного планирования можно формулировать следующим образом:

$$B=B(X_1) \rightarrow \text{Max.}$$




Рис.1 Графики одномерных сечений поверхностей откликов параметров оптимизации

при ограничениях

$$3_i = 3_i(X_1) \leq m \cdot 180 \text{ доллар/т, } m = 0,80, 0,85, 0,90, 1,00 \quad -2 \leq X_i \leq 2 \quad i = 1,2,3,4.$$

Решение системы уравнений дало результаты, приведенные в табл.3

Таблица 3

Результаты оптимизации производственного процесса экстрагирования чайных липидов

Параметры и факторы	Варианты				
	0	1	2	3	4
m	1,00	0,95	0,90	0,85	0,80
X_1	1,23	0,98	0,80	0,69	0,63
$t^{\circ}\text{C}$	72	70	68	67	66
X_1	2,08	1,79	1,50	1,21	0,92
τ , ч.	9,60	9,20	8,75	8,30	7,90
X_1	1,8	1,32	0,83	0,27	-0,24
n , л/кг	6,9	6,3	5,8	5,3	4,8
X_1	0,36	-0,04	-0,30	-0,46	-0,55
K, %	33	30	27	25	24
3_a , доллар/т	188,1	170,7	157,3	144,2	133,1

C_n доллар/кг	7,686	7,269	7,171	7,155	7,231
C_c доллар/кг	13,968	13,469	13,484	13,669	13,998
B кг/т	55,7	56,5	55,4	53,7	51,6

Анализ результатов оптимизации производственного процесса экстрагирования чайных липидов показал, что максимальный выход целевого продукта на единицу чайного сырья наблюдается при $m=0,95$ (вариант 1), несмотря на сравнительно большие значения энергозатрат (170,7 доллар/кг) и себестоимость продукции (13,469 доллар/кг) достаточно низки. Минимальные производственные затраты наблюдаются во втором-третьем вариантах (7,15...7,17 доллар/кг), а минимальная себестоимость – во втором и первом




Рис.2. Графики изменений параметров оптимизации по вариантам

вариантах (13,4513,50 доллар/кг) Графики изменения параметров оптимизации по вариантам показаны на рис.2

Проведенные исследования позволили разработать технологию. Экстрагирования липидной фракции из грубого чайного сырья органическим растворителем.

EXPERIMENT AND OPTIMIZATION OF PROCESSES OF EXTRACTION OF TEA LIPIDS

N. TSUTSKIRIDZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The factoros are selektded economical yardsticks of an optimality of processes of extraction of tea loidis a/exit of target commodity and manifacturing ecspenditures on discharge of a unit of produktion/and influencing on them. The realization CCRP (center composition rotatru pian) has allwed to receive adeqate equations of regressions depicting process. The method of acritical Lagrangian multiplicties retries optimum regines of support of a manufacturing process of extraction Ill.2. Tabl.3.

ქიმიური ინჟინერია

მოგლობები და უხეში ჩაის ფორმის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაცია 6. ცუცირიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეზიუმე

მცენარეული ნედლეულის ექსტრარგირებისას ხსნად ნივთიერებათა დიფუზიის სიჩქარე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ხსნადი ჩაის ექსტრარგირების პროცესის ოპტიმიზაციის რეჟიმები პარამეტრების დასაზუსტებლად გამოვიყენეთ ურთიერთსაწინააღმდეგო დინების ორშეკიანი უწყვეტი მოქმედების ექსტრაქტორი. ექსპერიმენტმა კარგი შედეგი აჩვენა, გაზომვის ცდომილება არ აღემატება 5%-ს კომპ-თვის და ცნ-ს 7%.

ფიზიკური მეცნიერებები
ადამიანის რაზიაციული დასხივების ზღვრულად დასაშვები დოზების დადგენის
არობლება და მისი ბამოთვლის დაზუსტებული მეთოდი

ამირან უბულავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მას შემდეგ, რაც რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომიტეტის ადამიანის რადიაციული დარბევის ზღვრულად დასაშვებ დოზად დაადგინა 0,017 რენტგენი დღეში, საჭირო გახდა დასხივების დოზების ძალიან ზუსტი ანგარიში. „რენტგენის“ განმარტებიდან გამომდინარე, ცხადია, მზის ერთი და იგივე რადიაციის დროს ერთხა და იმავე პირობებში, მზეზე ერთი და იგივე დროით ყოვნისას, შესაძლებელია ერთმა ადამიანმა მეტი დასხივება მიიღოს, კიდრე მეორებმ, რაც გამოწვეული იქნება მათი მოცულობების სხვაობის გამო. ეს კი დღის წესრიგში აუკენებს ადამიანის მოცულობის მაღალი სიზუსტით გაზომვის აუცილებლობას. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ხელსაწყო და მეთოდი, რომლის გამოყენებითაც ძალიან მაღალი სიზუსტით შეიძლება გაიზომოს ადამიანის მოცულობა, რომლის გათვალისწინებით, ადამიანს, შეიძლება, ზუსტად განეხაზღვროს მზის რადიაციის პირობებში მზეზე ყოვნის ოპტიმალური დრო წერილებში.

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის შუა წლები აღინიშნებოდა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული აღმოჩენებით: 1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა, ვილჰელმ კონრად რენტგენმა აღმოაჩინა X სხივები, რომელსაც შემდგომში რენტგენის სხივები ეწოდა. 1896 წელს ფრანგმა მეცნიერმა ანრი ბეკერელმა - ბუნებრივი რადიაქტივობა, ხოლო 1934 წელს ცოლ-ქმარმა ირენ და ფრედერიკ ჟოლიო-კიურებმა აღმოაჩინეს ხელოვნური რადიაქტივობა. აღნიშვნული აღმოჩენების დასრულებისთანავე შემჩნეული იყო, რომ მაიონიზებელი გამოსხივება ძალიან მავნედ მოქმედებს ადამიანზე. მაშინვე სცადეს გამოვნახათ ისეთი დოზები, რომელთა მოქმედებასაც ადამიანის ორგანიზმზე არ მოჰყვებოდა მავნე შედეგები. ყოველივე ამას თავისი ისტორია აქვს, მაგრამ მანამდე, მოკლედ მიმოვისილთ რადიაციული დასხივების არსი.

დასხივების დოზა

ორგანიზმზე მაიონიზებელი გამოსხივების მოქმედება ივევს ბიოლოგიურ რეაქციას. ამ რეაქციის ეფექტი დამოკიდებულია 1 სმ² ქსოვილის მიერ შთნოქმული ენერგიის რაოდენობაზე.

1 სმ² ქსოვილის მიერ შთანთქმულ ენერგიას დასხივების დოზა (D) ეწოდება, ხოლო ენერგიას, რომელსაც შთანთქავს 1 სმ² ქსოვილი დროის ერთეულში (t), დასხივების დოზის სიმძლავრეს (P) უწოდებენ. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$P = \frac{D}{t}$$

თუ ქსოვილი სხივდება მუდმივი სიმძლავრით, მაშინ დასხივების დოზა ტოლი იქნება:

$$D = Pt$$

არჩევენ შთანთქმულ დოზას და ექსპონიციურ დოზას. თითოეულ მათგანს თავისი განმარტება და ერთეული გააჩნია, მაგრამ ჩვენ მას ახლა დაწვრილებით არ განვიხილავთ. ჩვენთვის მთავარია დასხივების დოზის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ერთეულით - „რენტგენით“ გამოსახვა და ანგარიში.

ადსანიშნავია, რომ 1 რენტგენის ტოლი დოზით 1 სმ² ჰაერზე მოქმედების დროს 0,11 ერგი ენერგია შთანთქმება, ხოლო 1 სმ² ქსოვილზე მოქმედების დროს 0,11 X 770 = 85 ერგი, ვინაიდან ქსოვილის სიმკვრივე 770-ჯერ მეტია ჰაერის სიმკვრივეზე. მაშასადამე, ერთეული „რენტგენი“ (რ.) შეიძლება სხვაგვადრადაც გამოითქვას (სწორედ ესაა ჩვენთვის ყველაზე მოსახერხებული და მისაღები):

„რენტგენი“ - ეს არის გამოსხივების ისეთი რაოდენობა, რომლის 1 სმ² ქსოვილზე მოქმედების შედეგად შთანთქმება 85 ერგი ენერგია.

„რენტგენის“ ფიზიკური განმარტებიდან ნათელი ხდება, რომ ამ ერთეულის გამოყენება შეიძლება ყოველგვარი მაიონიზებელი გამოსხივების მიმართ.

დასხივების დოზების პიგიენური ნორმირება

ბიოლოგიური დაზიანების სარისხი, როგორც ცნობილია, ძირითადად განისაზღვრება ორგანიზმის დასხივების დოზით. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ გენეტიკური მოქმედების თვალსაზრისით ზღვრული დოზა არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უნდა მცირე იყოს დასხივების დოზა, მისი მოქმედება მაინც გამოიწვევს უარყოფით ეფექტს. თუმცა, ამ საკითხის მიმართ ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებობს რაღაც ზღვრული დოზა, რომლის მოქმედება არ იწვევს ეფექტს, სხვები კი ამას უარყოფენ. ამიტომაცაა, რომ დასხივების ზღვრული დასაშვები დოზის სიდიდე მრავალჯერ შეიცვალა, კერძოდ ი დასაშვები დოზის სიდიდე თანდათან მცირდებოდა, რაც განპირობებული იყო დიაგნოსტიკისა და გაზომვის ტექნიკის განვითარებით.

ადსანიშნავია, რომ დასაშვები დოზების შემუშავებას თავისი ისტორია აქვს. თავდაპირველად ეს დოზა დადგინდა 1902წელს და თანამედროვე გადაანგარიშებით ეს დოზე დადგეში 10 რენტგენის ტოლი იყო.

1925 წლიდან ზღვრულად დასაშვებ დოზად რეკომენდებული იყო დადგეში 0,1-0,2 რენტგენით დასხივება, ხოლო 1934 წელს რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა, რომელიც 1928 წელს ჩამოყალიბდა, დასაშვებ დოზად დააწესა ყოველდღიური დასხივება 0,2 რენტგენით. ადსანიშნავია, რომ ერთეული „რენტგენი“ სწორედ ამ კომისიის მიერ იყო შემოღებული.

1996 წლიდან კი ზღვრულად დასაშვებ დოზად დადგინდა 0,017 რენტგენი და დადგინდა. ანუ, წლიური დასხივების დოზა არ უნდა ყოფილიყო 5 რენტგენზე მეტი.


ზღვრულად დასაშვები დოზების ასეთი ცვლილება დაკავშირებულია სამედიცინო კვლევების განვითარებასთან. თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია ორგანიზმის უმნიშვნელო დაზიანებების დაიქსირება, რაც წინათ მედიკოსებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა.

ადნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია დასხივების დოზების ძალიან ზუსტი ანგარიში. „რენტგენის“ განმარტებიდან გამომდინარე, ცხადია, მზის ერთი და იგივე რადიაციის დროს შესაძლებელია, ერთმა ადამიანმა მეტი დასხივება მიიღოს, ვიდრე მეორემ, რაც გამოწვეული იქნება მათი მოცულობების

სხვადასხვაობის გამო. ეს დღის წერიგში აყენებს ადამიანის მოცულობის მაღალი სიზუსტით გაზომვის აუცილებლობას.

ადამიანის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, ჩვენ შევქმენით ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა, გაიზომოს ნებისმიერი ფორმის მქონე სხეულის მოცულობა. მისი სქემატური გამოსახულება მოცემულია ნახ. 1-ზე.

ხელსაწყოს აღწერა:



ნახ. 1.

ხელსაწყოს მთავარ ნაწილს წარმოადგენს მისი ცილინტრული ბალონი (1), როემლშიც ჰერმეტულად მოძრაობს დგუში (2) ავისი ჰერმეტული საცობი (12). დგუშის დერძის თავზე ტვირთის ან წვრილსაწონების მოსათავსებლად ხრახნულად დამაგრებულია მცირე ზომის დისკო (3). ბალონი დახურულია სახურავით (4), რომლის ნახვებში ჰერმეტულად მოძრაობს გდუშს დერძი (13). სახურავს აქვს სპეციალური დამჭერი ხრახნი (5), რომელიც გამოიყენება დგუშის ცალკეულ მდგომარეობაი დასამაგრებლად. მინის ბალონის ერთ-ერთი მსახველის გასწვრივ დამაგრებულია სკალა (6), რომლის მეშვეობითაც ხდება ბალონში მოთავსებული გაზის ან წყლის მოცულობის ათვლა. ბალონის ქვედა ნაწილში დამონტაჟებულია თერმომეტრი (7) და მანომეტრი (8). უკიდურეს ქვედა და უკიდურეს ზედა ნაწილებში ბალონს აქვს მცირე დიამეტრის მქონე ნახვრეტები (9) და (10), რომლებიც სპეციალური საცობებით ჰერმეტულადაა დახული. მინის ბალონი მთელი თავისი აღჭურვილობით ხისტად დამაგრებულია ელექტროქურაზე (11). ელექტროქურა იმავრდოულად წარმოადგენს ხელსაწყოს სადგარს, რომელსაც გააჩნია ჩამოთველი (14).

წარმოდგენილი ხელსაწყოს გამოყენებით შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ლაბორატორიული სამუშაობს შესრულება. განვიხილოთ ერთი მათგანი.

ნებისმიერი სირთულის ფორმის მქონე სხეულის მოცულობის გამოთვლა

სხეულის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, ხელსაწყოს ვხდით სახურავს, ვიღებთ დგუშს და ცილინდრში ვათავსებთ საკვლევ სხეულს. მისი მოცულობა აღვნიშნოთ Vx-ით. მოცემული მომენტისათვის ხელსაწყოს (9) და (10) ნახვრეტები ორივე დიას. ამის შემდეგ ცილინდრს ვარგებთ დგუშს, ვახურავთ სახურავს, დგუში მოგვყავს რაიმე მდგომარეობაში, ხოლო ქვედა ნახვრეტს ვახშობთ

საცობით, შემდეგ კი, სკალის გამოყენებით, ვზომავთ ცილინდრში დგუშის ქვეშ მოთავსებული ჰაერის მოცულობას. იგი ტოლია: ($V_0 - V_x$)-ის, სადაც V_0 არის სკალის მიხედვით ათვლილი მოცულობა, ხოლო V_x - საკვლევი სხეულის მოცულობა. მოცემული მომენტისათვის დგუშის ქვეშ მოთავსებული ჰაერის წნევა, ცხადია, ტოლია ატმოსფერული წნევისა (P_{atm}), რომელიც ცდის დაწყებამდე წინასწარ იზომება ბარომეტრით (ან ჩვენივე ხელსაწყოთი). რაც შეეხება მანომეტრის ჩვენებას, იგი ამ მომენტისთავის, რა თქმა უნდა, ნულის ტოლია. მოცემული პარამეტრებით დავწეროთ ბოილ-მარიოტის კანონი:

$$(P_{atm}) (V_0 - V_x) = C$$

ყოველივე ამის შემდეგ, დგუში AB მდგომარეობიდან გადაგვეავს C მდგომარეობაში. უნებრივია, ვიდებთ ახალ პარამეტრებს: მანომეტრის ჩვენება (P_1), შეკუმშული ჰაერის მოცულობა ($V_1 - V_x$), სადაც V_1 არის სკალის მიხედვით ათვლილი მოცულობა და დგუშის ქვეშ მოთავსებული ჰაერის წნევა - ($P_{atm} + P_1$), სადაც P_1 მანომეტრის ჩვენებაა. ამ ახალი პარამეტრების გათვალისწინებით კვლავ გწერთ ბოილ-მარიოტის კანონს:

$$(P_{atm} + P_1) (V_1 - V_x) = C \quad (2)$$

(1) და (2) ტოლობების შედარება გვაძლევს:

$$P_{atm} (V_0 - V_x) = (P_{atm} + P_1) (V_1 - V_x)$$

აქედან

$$V_x = \frac{P_{atm} (V_1 - V_0 + P_1 V_1)}{P_1} \quad (3)$$

მე-3 ტოლობით და ამ მეთოდით ძალიან მაღალი სიზუსტით შეიძლება ვიანგარიშოთ როგორც ჩვენთვის საინტერესო სხეულის მოცულობა, ისე კონკრეტულად ადამიანის მოცულობაც, რომელსაც სხვა დროს დაწვრილებით განვიხილავთ.

აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა თითოეულ ადამიანს მზის მოცემული რადიაციული ფონიდან გამომდინარე, თავისი მოცულობის მიხედვით ზუსტად ვუანგარიშოთ მზეზე დაყოვნების დრო წუთებში, რაც განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს ზღვისპირა კურორტებზე, პლაჟებზე, მაღალ მთაში და ზოგადად უველგან, სადაც მაღალია ბუნებრივი თუ სელოვნური რადიაციული ფონი.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. კ. გელაშვილი, „რადიაციული ჰიგიენა“, გამომც. „განათლება“, ბთ. 1983 წ.
2. კ. გელშვილი, „რადიაციული ჰიგიენის პრაქტიკული საკითხები“, გამომც. „განათლება“, თბ. 1983 წ.
3. რ. ხაზარაძე, „ადამიანი და რადიაცია“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988 წ.
4. А. Б. Рубин, Биофизика, Москва Высшая школа, 1987 г.

Физические науки

**ПРОБЛЕМА УСТАНОВЛЕНИЯ ПРЕДЕЛЬНО ДОПУСТИМОЙ ДОЗЫ
РАДИАЦИОННОГО ЗАРЯЖЕНИЯ ЧЕЛОВЕКА И УТОЧНЕННЫЙ
МЕТОД ЕЁ ВЫЧИСЛЕНИЯ**

А. УГУЛАВА

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

При одинаковых углах, находясь на солнце, люди получают радиационное облучение по разным дозам, что зависит от объема тела. В статье приведена схема прибора и описан метод с помощью которых с большой точностью возможен определить объем разных тел, в том числе и человеческого тела. Опираясь на этом данном, можно установить оптимальное время пробивания на солнце для каждого человека при различной солнечной радиации.

Physical sciences

**THE PROBLEM OF DETERMINING THE PERMISSIBLE DOSE OF HUMAN
IRRADIATION AND THE ADJUSTED METHOD OF CALCULATING IT**

A. UGULAVA

Akaki Tsereteli State University

Summary

We know that different humans receive different dose of solar radiation while being under the sun light, which is caused by the difference between their circumferences. In the given article, there's described a tool, which can measure the circumferences of various bodies, including humans and allow us to calculate the optimal time for any individual to stay under solar radiation.

აპტორთა საჟურადლებოდ!

უკრნალი „ნოვაცია“ არის საერთაშორისო სტანდარტის ნომრის მქონე (ISSN) რეცენზირებადი და რეფერირებადი სერიული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგებს ქართველობიურ, პუმანიტარულ, ეკონომიკურ, მათემატიკურ, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, საინჟინრო და აგრარულ მეცნიერებათა დარგებში. გამოიცემა წელიწადში ორჯერ (პირველი ნომრისათვის სტატიები მიიღება 15 აპრილამდე, მეორე ნომრისათვის - 15 ნოემბრამდე). უკრნალში დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენს საერთაშორისო დონის ნაშრომებს.

უკრნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიული გამოქვეყნება.

სტატიები გამოსაქვეყნებლად მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორის სურვილისამებრ, ქვეყნება ორიგინალის ენაზე), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სამ ენაზე (ქართული, რუსული და ინგლისური) დაწერილი რეზიუმე სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

სამეცნიერო სტატიების გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

➤ სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 4 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი (A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდი, მინდვრები ზევით და ქვევით – 2,4 სმ, მარცხნივ – 2,5 სმ, მარჯვნივ - 3 სმ, აბზაცი – 0,8 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;

➤ სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

➤ ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი - Acadnusx, 11 pt;

➤ ინგლისური და რუსული ტექსტისათვის შრიფტი - Times New Roman, 11 pt;

➤ მარჯვენა ზედა კუთხეში – მეცნიერების დარგი (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (**OECD**) სამეცნიერო დარგების კლასიფიკაციი (**FOS**);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის სათაური;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – ავტორთა სახელი და გვარი;

➤ შემდეგ სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – ანოტაცია სტატიის ენაზე (არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის შინაარსი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (რეზიუმე არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა) (ანოტაციისაგან განსხვავებულ ენაზე);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (არანაკლებ 5 დასახელება);

➤ სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;

➤ მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;

➤ ავტორი/ავტორები პასუხს აგებს სტატიის შინაარსა და ხარისხზე.

გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ქაღალდზე ნაბეჭდი (1 ებჯემალარი) და ელექტრონული (ცენტრის მატარებელზე) სახით. სტატიას თან უნდა ახლდეს დარბის სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი რეცენზია.

კურნალის ბეჭდვა ხორციელდება ავტორთა ხარჯებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., 102, მთავარი რედაქტორი ნინო ხელაძე, ტელ. (+995 431) 22 34 44, 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

Журнал «НОВАЦИЯ» является рецензируемым и реферативным серийным изданием, имеющим Международный стандартный номер ISSN, который печатает результаты важных исследований в грузинологических, гуманитарных, экономических, математических, механических, химических, биологических, инженерных и аграрных областях наук. Журнал издается два раза в год (для первого номера статьи принимаются до 15 апреля, для второго – до 15 ноября). Опубликованные в журнале статьи являются научными работами Международного уровня.

Целью журнала является содействие развитию науки, оперативная публикация новых достижений и результатов исследований ученых и специалистов.

Статьи для публикации принимаются на грузинском, русском или английском языках (по желанию авторов, публикуется на языке оригинала), к которой должно прилагаться резюме на трех языках (грузинском, русском и английском), число авторов статьи не более 5.

Научная статья оформляется по следующим правилам:

- Объем статьи не менее 4 и не более 12 страниц (формат страницы А4, интервал 1,15, поля - верхнее и нижнее – 2,4 см, левое – 2,5 см, правое - 3 см, абзац – 0,8 см, без нумерации страниц и переносов) включая рисунки, графики, таблицы, резюме и перечень литературы;
- Статья выполняется в текстовом редакторе Word;
- Шрифт для грузинского текста - Acadnusx, 11pt;
- Шрифт для русского и английского текста – Times New Roman, 11pt;
- В правом верхнем углу пишется научное направление (Классификатор научных направлений (**FOS**) Организации экономического сотрудничества и развития(**OECD**));
- Через строчку – название статьи;
- Через строчку – имя и фамилия авторов;
- Полное название организации, где выполнена работа;
- Аннотация статьи (не более 1000 печатных знаков);
- Через строчку – текст статьи;
- Через строчку – резюме на грузинском, русском и английском языках (не более 1000 печатных знаков);
- Через строчку – список литературы (не менее 5 названий);
- Рисунки и иллюстрации должны быть выполнены в формате JPEG или BMP;
- Математические формулы выполняются с использованием редактора Equation;
- Автор/авторы несет ответственность за содержание статьи.

СТАТЬИ ДЛЯ ПУБЛИКАЦИИ В РЕДАКЦИЮ ПРЕДСТАВЛЯЮТСЯ В НАПЕЧАТАННОМ (1 ЭКЗ.) И ЭЛЕКТРОННОМ (НА ЛЮБОМ НОСИТЕЛЕ) ВИДЕ. К СТАТЬЕ ДОЛЖНА ПРИЛАГАТЬСЯ РЕЦЕНЗИЯ, ПОДПИСАННАЯ СПЕЦИАЛИСТОМ СООТВЕТСТВУЮЩЕЙ ОТРАСЛИ.

Журнал издается за счет авторов.

За дополнительной информацией обращаться по адресу: 4600, г. Кутаиси, пр. Молодежи 102, главный редактор Нино Хеладзе, т. (+995 431) 22 34 44, 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.